პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ამხ. ბოგომოლოვი დაინიშნა საბჭოთა საელჩოს მრჩევლად ლონდონში.
- დაიხურა ინგლისის კომპარტიის ყრილობა.
- სტუდენტთა დემონსტრაცია ჩან-კაი-შის წინააღმდეგ შანხაიში.
- გადადგა ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან-ჩენ-ტინი.
- ეკონომიური კრიზისი შეერთ. შტატებში გრძელდება.
- პოლიციის თავდასხმა მუშებზე ვარშავაში.
- ამიერ-კავკასიაში ტვირთების გადმოზიდვის მოწესრიგება.

ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 280 (2626)

იმპერიალისტების უხეირო ცდა

საბჭოთა კავშირისა და მუკდენის მთავრობათა წარმომადგენლების მიერ ნიკოლსკ - უსურიისკში ხელმოწერილი ოქმი ადასტურებს, რომ მუკდენი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ისევ ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას ერთად - ერთი შესაძლებელი გზით — საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების საშუალებით. თუ მუკდენი კონფლიქტის დაწყების დღიდან ხუთი თვის განმავლობაში მიღებული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მისთვის სრულიად უიმედოა და დამღუპველი ანტი - საბჭოთა ავანტიურა და, თუ უახლოეს ხანში დაამტკიცებს, რომ იგი მზად არის საქმით შეასრულოს ახლად ნაკისრი ვალდებულებანი, მაშინ შეიძლება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტის სრული ლიკვიდაციის იმედი გვქონდეს.

ეს ლიკვიდაცია საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება იქნება, რადგან მან თავისი ნაცადი, ურყევი მშვიდობიანობისა და სიმტკიცის წყალობით გააქარწყლა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მტრების ბნელი ზრახვები, თავზარდამცემი ლახვარი ჩასცა იმ პროვოკატორებსა და თავდამსხმელებს, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ჩვენს შორეულ - აღმოსავლეთის სანაპიროებზე სამხედრო გართულებანი შეექმნათ.

მაგრამ ამას ვერ შეურიგდებიან, და არც სურთ შეურიგდნენ, ის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებსაც, უეჭველია, დღემდე არ დაუტოვებიათ იმედი, რომ ისარგებლონ ამ კონფლიქტით, კერძოდ, ხელი მოითბონ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე.

ჩრდ. - ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის განცხადებანი, — რაზედაც მათ საბჭოთა მთავრობის ღირსეული და ნათელი პასუხი მიიღეს, — ამას სრული სიცხადით ადასტურებენ.

ამ სახელმწიფოების გამოსვლის თვალთმაქცობა, — რომლებმაც ესოდენ მოულოდნელი გულის-ამაჩუყებელი მზრუნველობა გამოიჩინეს ჩინეთის მიმართ, იმ ჩინეთისა, რომელიც დღემდე დამონებული ჰყავთ ძალად დაკისრებული უთანასწორო ხელშეკრულებებით, — ისეთი სიცხადითა და საფუძვლიანად გამოააშკარავა საბჭოთა მთავრობამ, რომ ამ მომენტზე შეჩერება არა ღირს.

საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრებიც კი ვერ უარჰყოფენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის ჩინელი ხალხის ერთად-ერთი უანგარო მეგობარი, რომ იგი ჩინეთთან ურთიერთობას ამყარებს და მომავალშიაც დაამყარებს თანასწორობისა და ინტერესების ერთიანობის საფუძველზე და, რომ ჩინეთს საბჭოთა კავშირი ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება ნაცად მეგობრად და მოკავშირედ იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი იმპერიალისტებთან აწარმოებს სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის უცხოელი მოძალადეებისაგან და ჩინეთის დამმონავებლებისაგან. ჩვენ არ გვჭირდება იმის მტკიცება, რომ არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებთ ჩინეთის თვით ერთ მტკაველ მიწა - წყალზედაც კი, რომ ჩვენ ოდნავადაც არ ვეხებით ჩინელი ხალხის უწმინდეს უფლებებს და დამოუკიდებლობას.

სწორედ ამიტომ, იმპერიალისტები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რომ მორჩილი ჩინელი გენერლების საშუალებით გართულება შეექმნათ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის და ამით შეესუსტებიათ და გაექარწყლებიათ ის მძიმე ბრძოლა, რომელსაც ჩინელი ხალხი აწარმოებდა და კვლავაც აწარმოებს იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის გამოსვლა ადასტურებს, რომ მუკდენთან დაწყებული უშუალო მოლაპარაკება მათ შიშისა და უკმაყოფილების გრძნობას უქმნის.

მართლაც, რატომ **მაშინ არ მოაგონდათ** მშვიდობიანობის ამ უანგარო მოციქულებს კელოგის პაქტი და ომის საფრთხე, **როცა ეს საფრთხე იქმნებოდა და დღითი-დღე იზრდებოდა ჩინეთის სამხედრო წრეების შეუჩერებელი პროვოკაციული მოქმედების წყალობით, და რატომ გაახსენდათ ახლა, როცა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წყალობით ეს საფრთხე ისპობა.** მათ უეჭველად ეცოდინებოდათ ის ნაბიჯები, რომლებიც მუკდენმა გადასდგა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების განხორციელების მიზნით, ეცოდინებოდათ ის ნაბიჯები, რომელთა შესახებაც მხოლოდ ამ დღეებში სწერდნენ „ტან“-ი და იმპერიალისტების სხვა ორგანოები თავშეუკავებელი გაბოროტებითა და სასოწარკვეთილებით.

ყველამ იცის, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ახლა მათთვის არაჩვეულებრივს, მშვიდობიანობის დამცველთა როლში გამოდიან, მხოლოდ **ამ დღეებში ცდილობდნენ — საერთაშორისო ჩარევის მანქანა აემოძრავებიათ**, ყველამ იცის, რომ ეს ცდა **ვერ მოხერხდა**, ერთის მხრით, იმპერიალისტების ბანაკში არსებული დაუძლეველი ურთიერთი ანტაგონიზმის წყალობით (კერძოდ, იპონიის პოზიცია უაღრესად თავდაჭერილი იყო), მეორეს მხრით, ჩან სიუ-ლიანის გამოსვლის წყალობით, რის თავიდან აცილებასაც იმპერიალისტები უშედეგოდ ცდილობდნენ. მუკდენის მთავრობის მიმართვამ იმპერიალისტების გეგმები არია, მაგრამ ერთგვარი დაბნევისა და არევდარევის შემდეგ მათ მაინც გადასწყვიტეს უკანასკნელად ეცადათ და ზეგავლენა მოეხდინათ დაწყებული მოლაპარაკების მიმდინარეობაზე. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ნანკინის მთავრობის პროვოკაციული როლის შესახებ, ვინაიდან ჩვენ უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ნანკინი იმპერიალიზმის მორჩილ აგენტურას წარმოადგენს და მისი კარნახით მოქმედობს.

ფაქტები საკმაოდ ცხადად და უდავოდ ადასტურებენ, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის გამოსვლის მიზანი ის არის, რომ შეაფერხონ და ჩაშალონ საბჭოთა კავშირისა და მუკდენის მოლაპარაკება. ამ სახელმწიფოებს თითიც არ გაუნძრევიათ, რომ **დარიგებით მიემართათ ჩინელი გენერლებისათვის მაშინ, როცა საბჭოთა საზღვარზე განუწყვეტელი თავდასხმა და თარეში სწარმოებდა, როცა მშვიდობიან მონაპირე მოსახლეობას სისტემატიურად ტყვიას უშენდნენ**; ეს სახელმწიფოები სდუმდნენ და ლოდინში იყვნენ მაშინაც, როცა, მრავალი უნაყოფო გაფრთხილების შემდეგ, საბჭოთა სამხედრო სარდლობა იძულებული ხდებოდა საპასუხო მოსაგერიებელი მოქმედება დაეწყო. ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი შეტაკებანი „მშვიდობიანობის მოციქულებს“ საიმედო გზად მიაჩნდათ იმ კონფლიქტის შემდგომი **გამწვავებისათვის, რომლის** გადაჭრა მათ მხოლოდ საერთაშორისო ჩარევის საშუალებით წარმოედგინათ.

კელოგის პაქტის მტკიცე დამცველებმა **ერთი სიტყვაც კი** ვერ გამოსძებნეს იმ არაჩვეულებრივი მხეცობისა და ძალმომრეობის დასაგმობად, რომლებსაც მანჯურიაში დიდ ხანს განიცდიდა საბჭოთა **მრავალი ათასი მუშა.** ეს ფაქტები, რომლებმაც საზღვარზე უაღრესად გამწვავებული მდგომარეობა შექმნეს, მათ მყუდროებას არ უფრთხობდნენ. **მათი წარმოდგენით, კელოგის პაქტს სრულებითაც არ არღვევდა ჩინეთის სამხედრო წრეების პროვოკაციული მოქმედება.** მათ ენა ამოიდგეს **მხოლოდ მაშინ,** როცა მუკდენს სხვის იარაღად ყოფნა მობეზრდა, როცა საბჭოთა მთავრობისადმი ჩან სიუე-ლიანის მიმართვის წყალობით შესაძლებელი შეიქმნა კონფლიქტის სრული ლიკვიდაცია და იმ პირობების მოსპობა, რომელთაც შეეძლოთ შემდგომი გართულების გამოწვევა.

ამგვარად, ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის გამოსვლას **მშვიდობიანობის საქმესთან საერთო არაფერი აქვს** და პირდაპირ საწინააღმდეგო მიზნებს ისახავს; მისი მიზანია ახალი ილუზიები შეუქმნას ზოგიერთ მუკდენელ გენერლებს და უკან დაახევინოს უცხოელთა დახმარების იმედით.

საეჭვოა, რომ ეს ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდეს, ვინაიდან მუკდენს, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა თავის ზურგზე ეწვნია ანტისაბჭოთა თამაშის ნაყოფი, წარმოდგენა შეუძლია იმის შესახებ, თუ რა კატასტროფიული შედეგების გამოწვევა შეუძლია ამ თამაშს. არც ნანკინისათვის მიმზიდველს — საერთაშორისო ჩარევისა და აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე კონტროლის დაწესების პერსპექტივას შეუძლია ოდნავ მაინც შეასხას ფრთები მუკდენელ მოღვაწეებს. იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევის ცდას ერთსულოვან წინააღმდეგობას გაუწევენ ჩინელი ხალხის უფართოესი ფენები, რომლებიც მოითხოვენ კონფლიქტის დაუყოვნებლივ მოწესრიგებას საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების გზით.

მაგრამ რაკი კარგად ვიცით, რომ ჩინელი პოლიტიკანები სიმტკიცეს არიან მოკლებულნი და უცხოეთის გავლენას ემორჩილებიან, თვალი არ უნდა დავიბრმავოთ იმაზე, რომ ასეთს „სამშვიდობო“ გამოსვლებს შეიძლება შედეგად მოჰყვეს ერთგვარი ახალი გართულებანი ჩინეთთან მოლაპარაკების დროს და ჩვენ ხელახლა დაგვჭირდეს იმავე სიმტკიცის, გაბედულებისა და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად ყოფნა, რასაც ჩვენ დღემდე ვიჩენდით.

საბჭოთა კავშირი იყო და რჩება მშვიდობიანობის ბურჯად, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის გამარჯვება, ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური იმპერიალისტების ცრუ-პაციფისტურ ხრიკებს და დროიანად გავაქარწყლოთ მათი ოინები.

„პრავდა“
4 დეკემბერი.

უნდა გავაჯანსაღოთ მშენებლობა

ფაბრიკა - ქარხნების აგებასა და საბინაო მშენებლობაზე ჩვენში მილიონები იხარჯება. მაგრამ ეს დიდძალი თანხები, მიუხედავად ზოგიერთი თვალსაჩინო მიღწევებისა მშენებლობის გაჯანსაღების საქმეში, მაინც ვერ იძლევიან იმ ეფექტს, რომელსაც ისინი გამოიღებდნენ გეგმიანი და რაციონალური მუშაობის შემთხვევაში. ის მასალა, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება, ამ მხრივ მეტად მძიმე სურათს ხატავს. თუმცა მშენებლობა, ჩვენში არსებულ ხელსაყრელ კლიმატიურ პირობების გამო, თითქმის მთელი წლის განმავლობაში წარმოებს, მაგრამ ის მაინც ფართოდ ზამთრის მიწურულიდან იშლება. საჭიროა ამ თავითვე გავითვალისწინოთ ჩვენი მშენებლობის პრაქტიკის ნაკლოვანებანი და დავსახოთ ღონისძიებანი მათი ასაცილებლად, რათა მომავალ საამშენებლო სეზონს მომზადებული შევხვდეთ. შეუწყნარებელია დაუდევრობა ზოგიერთი ორგანიზაციებისა, რომელნიც ფიქრობენ, რომ ნაადრევია ამაზე ზრუნვა, ყველაფერი შემდეგ გაკეთდებაო. ისინი ყურებს იბერტყავენ მხოლოდ მაშინ, როცა საამშენებლო სეზონი უკვე დაწყებულია, მაგრამ, ცხადია, მოუმზადებლად სახეიროს ვერაფერს გააკეთებენ. ამის მაგალითები ჩვენ არა ერთი და ორი მოგვეპოვება. ამიტომ, ვიმეორებთ, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ საამშენებლო სეზონისათვის მზადებას.

ეს კი მოითხოვს პირველ ყოვლისა წარსულის გამოცდილების შესწავლა-შეფასებას. განვლილ 1928-29 წლის მშენებლობას ჩვენში განსაკუთრებული სიძვირე ახასიათებდა. ამ მხრივ დიდად გადავაცილეთ 1927-28 წელიწადსაც. ამავე დროს სათანადო ორგანიზაციებს ქონდათ მიცემული მტკიცე დირექტივა მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების შესახებ. მაგრამ ეს დირექტივა დიდ წილად ქაღალდზე დარჩა. ან როგორ უნდა მომხდარიყო სხვანაირად, როცა, მაგალითად, საამშენებლო მასალას ზოგი მათგანი წინასწარ არ იმარაგებს და იწყებს მის ძებნას მხოლოდ მაშინ, როცა სეზონი გაჩაღებულია. საჭირო მასალას მაშინ ისინი ან სულ ვერ შოულობენ, ან თუ შოულობენ, ძვირად უხდებათ მისი შეძენა. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საამშენებლო მასალის დამზადება ადგილობრივ შეიძლებოდა, რომ ის დროზე ყოფილიყო შეკვეთილი, მაგრამ ზოგ ორგანიზაციას შეკვეთის მიცემა „ავიწყდება“ და ისინი იძულებული ხდებიან ეს მასალა შორიდან მოიტანონ, რისთვის, რა თქმა უნდა, ზედმეტ ფულს ხარჯავენ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კერძო მოიჯარადრე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განდევნილი მშენებლობიდან. ეს ეხება საამშენებლო მასალების წარმოებასაც, მით უფრო ამ მასალების გადაზიდვა - გადმოზიდვის საქმესაც.

შემდეგი საყურადღებო მომენტია საამშენებლო მასალების მწარმოებელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სუსტი მუშაობა; მათი პროდუქცია როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრით ხშირად სანახევროდაც არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამასთან, საქმის არა რაციონალურად დაყენების გამო, ეს პროდუქცია ძვირადაც ღირს.

მწვავედ დგას ჩვენში კვალიფიციურ მშენებელ მუშების საკითხიც. მათი რაოდენობა მცირეა. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ბევრგან მშენებლობის ტემპის შეფერხება. მშენებელი ორგანიზაციები იძულებული ხდებიან ნაკლებად კვალიფიციური მუშები მოიწვიონ, რაც, თავის თავად ცხადია, მშენებლობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. დაინტერესებული დაწესებულებები დიდად არ იტკივებენ თავს იმაზე, რომ დროზე გამოარკვიონ, თუ რამდენი მუშა ხელი ესაჭიროება მათ, რომ ისინი წინასწარ გამოძებნონ, არც იმაზე, რომ მოამზადონ მშენებელთა კადრები და ასწიონ არსებულთა კვალიფიკაცია. რაკი მშენებელ მუშებს შევეხეთ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც, რომ მათ შორის ძალიან სუსტად წარმოებს კულტურული და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მუშაობა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ საამშენებლო პროექტების შედგენის საკითხი. ეს საქმე კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული. პროექტების დიდ ნაწილს სხვადასხვა ტეხნიკური დეფექტები ახლავს. რად ღირს თუ გინდ ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ავლაბარში თეატრის ასაგებად მოედანი დაგეგმეს, საამშენებლო მასალაც მოიტანეს და დიდი ხნის შემდეგ ირკვევა, რომ თეატრისათვის ეს მოედანი საკმარისი არ არის. თბილისის ტრამვაელთა სახლები, რომელნიც ციხეებს უფრო გვანან, ვიდრე საცხოვრებელ ბინებს, ყველას თვალწინ გვიდგას. მსგავსი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყოველივე ეს აიხსნება კონტროლის სისუსტით და იმით, რომ ჩვენ საქმეს ზოგჯერ ვანდობთ ნაკლებად მომზადებულ სპეციალისტებს.

მაგრამ პროექტების საკითხის მოუწესრიგებლობა ზემოთქმულით არ ამოიწურება: მეტად ჭიანურდება მათი შედგენა და დამტკიცება. პროექტმა უნდა გაიაროს მრავალი ინსტანცია, სადაც ბიუროკრატიზმის ნაშთები კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მის დამტკიცებას ისიც აძნელებს, რომ მას ხშირად დეფექტები ახასიათებს, და საჭირო ხდება მისი უკან დაბრუნება და გადასინჯვა.

უკეთესად ვერ არის ხარჯთაღრიცხვების და მშენებლობის ფინანსიურად უზრუნველყოფის საკითხის მდგომარეობა. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ მშენებლობა ჩატეულიყო თავდაპირველად შედგენილ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, ხშირად ხარჯები ორჯერ, სამჯერ და უფრო მეტადაც სჭარბობენ ამ ხარჯთაღრიცხვას. ეს აიხსნება, ერთი მხრით, თვით ხარჯთაღრიცხვის არარეალობით, სინამდვილესთან შეუფარდებლობით, მეორე მხრით, კი მშენებელ ორგანოების უთავბოლობით და დანაშაულებრივი ხელგაშლილობით.

პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვათა ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მათ განხილვაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ მუშათა მასები, რომელთაც შეეძლოთ მრავალი საქმიანი წინადადების წამოყენება, გარდა იმისა, რომ ამ საქმეში მუშების ჩაბმა ხელს შეუწყობდა მათი საწარმოო აღზრდას.

ბოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო გარემოება. როგორც ვიცით, სამრეწველო ცენტრებში ბინების დიდი ნაკლებობაა. ამის შესანელებლად საწარმონი ვალდებული არიან განსაზღვრული ანარიცხები გაიღონ საბინაო ფონდისათვის. ეს ანარიცხები მნიშვნელოვან თანხას შეადგენენ, მაგრამ ბევრი სამეურნეო ორგანო მათ სულ სხვა დანიშნულებას ახმარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გავატაროთ მშენებლობის გასაჯანსაღებლად. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ამ საქმეში მტკიცე გეგმიანობის შეტანა. სერიოზულად გამომუშავებულ გეგმის საფუძველზე ჩვენ თავის დროზე უნდა მოვემზადოთ საამშენებლო სეზონისათვის — მასალების წარმოების და მომარაგების საქმის რაციონალიზაციით, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების საკითხის მოწესრიგებით, მშენებლობაზე ფინანსების დაუბრკოლებლად მიწოდებით, მუშა-ხელის კვალიფიკაციის აწევით და მისი სწორი განაწილებით. კერძო კაპიტალის განდევნით მშენებლობიდან, უკანასკნელზე სათანადო ორგანოების და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებით და სხვ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ მშენებლობის დროზე დაწყებას და დამთავრებას, მის გაიაფებას, მშენებლობის ხარისხის აწევას. ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ ის უამრავი საშუალებები, რომლებსაც სახელმწიფო იღებს მშენებლობისათვის, მიზანშეწონილად გამოვიყენოთ, რათა მათ მოკლე დროში მაქსიმალური ეფექტი მოგვცენ. ჩვენ დაუზოგავად უნდა შევებრძოლოთ დაუდევრობას და უყაირათობას, რასაც ამდენი ზარალი მოაქვს ქვეყნისათვის და ასე აფერხებს მშენებლობის გაშლას და მის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას.

შეთანხმება მუკდენთან

მუკდენი დასთანხმდა 1924 წლის შეთანხმების მტკიცედ დაცვაზე

იმპერიალისტების ცდა--შეაფერხონ და ჩაშალონ მოლაპარაკება

საბჭოთა მთავრობის პასუხი ააშკარავებს იმპერიალისტების ბნელ მახინაციებს

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

შეთანხმება მუკდენთან

1 დეკემბერს ნიკოლსკ-უსურიისკში მოვიდა მუკდენის მთავრობის წარმომადგენელი, დიპლომატიური კომისარი ცაი იუნ-ჟენი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის წევრთან ლი შაო-გენთან ერთად, რათა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტთან (ხაბაროვსკში) სიმანოვსკისთან განეხილა პროცედურა საბჭოთა მთავრობის იმ წინასწარი პირობების მე-2 პუნქტის შესრულებისა, რომლებიც მიიღო მარშალმა ჩან სუე-ლიანმა თავის დეპეშაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე 1929 წლის 26 ნოემბრის თარიღით.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად ცაი იუნ-ჟენმა მუკდენის მთავრობის სახელით და სიმანოვსკიმ საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით 3 დეკემბერს ხელი მოაწერეს ქვემომოყვანილ ოქმს:

1. მუკდენის მთავრობის სახელით დიპლომატიური კომისარი **ცაი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ლიუ გადაყენებული იქნება გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან.**

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი ხაბაროვსკში სიმანოვსკი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც გამგეობის თავმჯდომარე ლიუ გადაყენებული იქნება გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან, საბჭოთა კავშირის მთავრობა, თანახმად იმ განცხადებისა, რომელიც ამხ. ლიტვინოვმა 29 აგვისტოს სიტყვიერად გადასცა გერმანიის ელჩს მოსკოვში, მზად იქნება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მმართველისა და მისი თანაშემწის თანამდებობაზე ემშანოვისა და ეისმონტის ნაცვლად წამოაყენოს ახალი პირები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის მთავრობა იტოვებს უფლებას დანიშნოს ემშანოვი და ეისმონტი სხვა თანამდებობებზე აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, რაზედაც ცაიმ სიტყვიერ საუბარში სიმანოვსკისთან თანხმობა განაცხადა.

2. დიპლომატიურმა კომისარმა ცაიმ მუკდენის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ვინაიდან ამ უკანასკნელს სურს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კონფლიქტის მოგვარებას ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და მოსპოს ყოველი საბაბი შემდგომი გართულებისათვის, **იგი სასტიკად დაიცავს მუკდენისა და პეკინის 1924 წლის შეთანხმებებს, როგორც მთლიანად, ისე ცალკე ნაწილებში.**

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტმა ხაბაროვსკში ამხ. სიმანოვსკიმ მთავრობის სახელით კმაყოფილებით მიიღო ცნობად კომისარ ცაის განცხადება, რომ **მუკდენის მთავრობა სასტიკად დაიცავს 1924 წლის შეთანხმებებს**, და თავის მხრივ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც ყოველთვის იდგა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ შეთანხმებათა ნიადაგზე, თავისთავად ცხადია, სასტიკად დაიცავს ამ შეთანხმებებს, როგორც მთლიანად, ისე ცალკე ნაწილებში. ზემოხსენებული განცხადებები, რომლებსაც ამ ოქმის პირველი და მეორე პუნქტები შეიცავენ, ითვლება მიღებულად ორივე მხრის მიერ.

ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დეკლარაცია

3 დეკემბერს საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს გადასცა ორი დეკლარაცია — ერთი საფრანგეთის და მეორე ამერიკის მთავრობის სახელით. ამერიკის მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია:

„შეერთებული შტატების მთავრობა და ხალხი გასაგები მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობაში მომხდარ ამბებს იმ ფაზაში, რომელიც განვითარდა ჩრდილოეთ მანჯურიაში 10 ივლისის ამბების შემდეგ შექმნილი მდგომარეობიდან.

ამა წლის 8 ივლისს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, მოლაპარაკების წესით სახელმწიფო მდივანსა და ხუთ სახელმწიფოს ვაშინგტონელ წარმომადგენლებს შორის, მიიღო ზომები იმისათვის, რომ მიეპყრო ჩინეთისა და რუსეთის მთავრობების ყურადღება იმ მითითებებზე, რასაც იძლევა ხელშეკრულება ომის უარყოფის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია როგორც ჩინეთის, ისე რუსეთის მიერ. რუსეთის და ჩინეთის მთავრობებმა თავის დროზე გააკეთეს საჭირო ფორმალური განცხადებები, რომლებშიაც ირწმუნებოდნენ, რომ არ მიმართავდნენ ომს, თუ კი თითონ მათ არავინ დაესხმოდა თავს. მას შემდეგ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა 55 სახელმწიფომ, მათ შორის ჩინეთმა და რუსეთმაც.

ამერიკის მთავრობას სურს ხელახლა მიაქციოს თქვენი ყურადღება მითითებებს ომის უარყოფის შესახებ, განსაკუთრებით ხელშეკრულების მეორე პუნქტს, რომელშიაც ნათქვამია: „ხელშეკრულების დამდები მაღალღირსეული მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი არ მიმართავენ არავითარ საშუალებას, გარდა მშვიდობიანისა, იმისათვის, რომ მოაგვარონ ან ლიკვიდაცია უყონ ყოველი ხასიათისა და წარმოშობის კონფლიქტებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან მათ შორის“. ამერიკის მთავრობა სარგებლობს შემთხვევით, რათა გამოსთქვას თავისი სერიოზული იმედი, რომ ჩინეთი და რუსეთი თავს შეიკავებენ მტრული ზომებისაგან ან ხელს აიღებენ ასეთ ზომებზე და შესაძლებლად ჩასთვლიან მიაღწიონ ახლო მომავალში ურთიერთთან შეთანხმებას იმით, რომ მშვიდობიანი საშუალებით მოაგვარებენ იმ საკითხებს, რომლებიც ამჟამად მათ შორის არსებული კონფლიქტის საგანს წარმოადგენენ. ამერიკის მთავრობა ფიქრობს, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც დამყარდება მომავალში ჩინეთისა და რუსეთის მიმართ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მხრივ, აუცილებლად თვალსაჩინოდ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გზით შეასრულებენ ისინი თავიანთ ამ საზეიმო დაპირებებს“.

საფრანგეთის დეკლარაცია თითქმის იდენტიურია ამერიკის დეკლარაციისა.

იმავე დღეს ნორვეგიის ელჩმა ურბიმ ამხ. ლიტვინოვს ბრიტანეთის მთავრობის სახელით გადასცა განცხადება, რომელიც ანალოგიურია ამერიკის განცხადებისა, მხოლოდ იმით განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან, რომ მასში არ არის ლაპარაკი ბრიტანეთის მთავრობის დამოუკიდებელ მოქმედებაზე, არამედ შეიცავს მითითებებს ამერიკის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებსაც ბრიტანეთის მთავრობა უერთდება.

საბჭოთა მთავრობის პასუხი

გუშინვე ამხ. ლიტვინოვმა საკავშირო მთავრობის სახელით გადასცა ერბეტს საფრანგეთის და ამერიკის მთავრობებისათვის, ხოლო ურბის — ბრიტანეთის მთავრობისათვის საპასუხო განცხადებანი. ამერიკის მთავრობისადმი მიმართულ განცხადებაში ნათქვამია:

„1. საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის პირველსავე დღიდან აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და, წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოთა მაგალითისა, მას ერთხელაც არ მიუმართავს საომარ მოქმედებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავდაცვისათვის აუცილებელ ზომებს, რომლებიც გამოწვეული იყო პირდაპირი თავდასხმით საბჭოთა კავშირზე, ან ზოგიერთ სახელმწიფოს შეიარაღებული ჩარევით მის საშინაო საქმეებში. მშვიდობიანობის ამ პოლიტიკას იგი განუხრელად მისდევდა და განზრახული აქვს მისდიოს, დამოუკიდებლად პარიზის ხელშეკრულებისა ომის უარყოფის შესახებ.

2. ნანკინის მთავრობა უკანასკნელი წლების განმავლობაში გაურბოდა წამოჭრილი დავის დიპლომატიური გზით მოგვარების ჩვეულებრივ მეთოდებს და აწარმოებდა საბჭოთა კავშირის მიმართ ხელშეკრულებათა ჩვეულებრივ საერთაშორისო ნორმების დარღვევის პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირს არ მოუხვევია მისთვის თავზე იარაღის ძალით ან ზეგავლენის რაიმე სხვა ზომით, არამედ დადებული იყო სრული თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე, და, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულებებში ნებაყოფლობით აიღო ხელი ექსტერიტორიალობაზე, საკონსულო იურისდიქციასა და სხვა პრივილეგიებზე, რომელთა გაუქმებასაც სხვა სახელმწიფოების მიერ დღემდე ამაოდ სცდილობს ჩინეთის მთავრობა.

3. ამ პოლიტიკის უაღრეს გამოხატულებას წარმოადგენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება გარეშე ყოველგვარი გაფრთხილებისა და რაიმე წინასწარი პრეტენზიის წარმოდგენისა გზის საერთო მართვა-გამგეობის შესახებ არსებულ შეთანხმებათა ამა თუ იმ დარღვევაზე.

4. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ნანკინის მთავრობის ასეთი საქციელი, მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის ან საფრანგეთის წინააღმდეგ, მიჩნეული იქნებოდა ამ ქვეყნების მთავრობის მიერ საკმაო საბაბად იმ შენიშვნების გამოყენებისათვის, რომლებიც გააკეთეს მათ, როდესაც ხელს აწერდნენ პარიზის ხელშეკრულებას ომის უარყოფის შესახებ. საბჭოთა მთავრობა თავის დროზე აცხადებდა, რომ იგი არ სცნობს ამ შენიშვნებს და თითონ განზრახული არა აქვს ისარგებლოს ამ შენიშვნებით.

5. ნანკინის მთავრობა არ დასჯერდა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის უკანონოდ ხელში ჩაგდებას, მან მანჯურია-საბჭოთა საზღვრის გასწვრივ მოახდინა მობილიზაცია არმიისა, რომლის ცალკე ნაწილებიც, ამ არმიაში მყოფ რუს კონტრ - რევოლიუციონერ ბანდიტებთან ერთად, სისტემატიურად ესხმოდნენ თავს საბჭოთა კავშირს, გადმოდიოდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, ესროდნენ წითელი არმიის ნაწილებსა და სანაპირო სოფლებს, სძარცვავდნენ და ძალას ატანდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ამ მოქმედებით მათ თვალსაჩინო ზიანი მიაყენეს საბჭოთა კავშირს ადამიანთა დახოცვით და ქონების განადგურებით. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, რაც ეძლეოდა ნანკინის მთავრობას გერმანიის მთავრობის საშუალებით, ეს თავდასხმები არ სწყდებოდა, არამედ უფრო ხშირდებოდა და უფრო ინტენსიური ხდებოდა. ამ თავდასხმებმა აიძულა შორეულ - აღმოსავლეთის არმია, თავდაცვის ინტერესებისათვის და საზღვართან მოსახლე მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მიეღო კონტრზომები.

ამრიგად, წითელი არმიის მოქმედება გამოწვეული იყო აბსოლიუტურად აუცილებელი თავდაცვის მოსაზრებებით და ოდნავაც არ წარმოადგენს პარიზის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულების დარღვევას, რაც არ შეიძლება ითქვას იმ სახელმწიფოთა ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩინეთის ნავთსადგურებში მყოფ შეიარაღებული ძალების შესახებ, რომლებმაც დღეს მიმართეს საკავშირო მთავრობას იდენტიური განცხადებებით.

6. საკავშირო მთავრობა აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიმართა მას თავის განცხადებით იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა და მუკდენის მთავრობებს შორის უკვე შეთანხმებულია მთელი რიგი პირობები და სწარმოებს უშუალო მოლაპარაკება, რაც ჰქმნის იმის საშუალებას, რომ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი დაჩქარებით იქნას მოგვარებული. ამ გარემოების გამო ხსენებული მომართვა არ შეიძლება არ იქნას მიჩნეული ყოვლად გაუმართლებელ ზეგავლენად მოლაპარაკებაზე, და, მაშასადამე, სრულებითაც ვერ ჩაითვლება მეგობრულ აქტად.

7. შემდეგ საკავშირო მთავრობა აღნიშნავს, რომ პარიზის ხელშეკრულება ომის უარყოფის შესახებ არ ითვალისწინებს, რომ რომელიმე ცალკე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი სარგებლობდეს ამ პაქტის დამცველის ფუნქციებით. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ განუცხადებია თანხმობა იმაზე, რომ რომელიმე სახელმწიფოებმა თითონ ან ურთიერთთან შეთანხმებით მიითვისონ ასეთი უფლება.

8. საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ მანჯურია - საბჭოთა კონფლიქტი შეიძლება მოგვარებულ იქნას მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, ჩინეთისათვის ცნობილ და მუკდენის მთავრობის მიერ უკვე მიღებულ პირობათა საფუძველზე, და, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაუშვას ვინმეს ჩარევა ამ მოლაპარაკებაში ან კონფლიქტში.

9. დასასრულ, საკავშირო მთავრობას არ შეუძლია თავისი განცვიფრება არ გამოსთქვას იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც საკუთარი სურვილისამებრ არავითარ ოფიციალურ ურთიერთობაში არ იმყოფება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან, შესაძლებლად სთვლის მიმართოს მას რჩევითა და მითითებებით“.

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებისადმი მიმართული განცხადებები სავსებით ისეთივეა, როგორც ზემომოყვანილი განცხადება, მარტო იმ განსხვავებით, რომ მათში არ არის მე-9 პუნქტი.

პრესის გამოძახილი

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 3 დეკემბერი. ბურჟუაზიულ გაზეთებში გამოქვეყნდა ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის ნოტა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისადმი არის მიმართული. ზოგიერთი გაზეთი ნოტის გაგზავნის მთავარ ინიციატორად ამერიკას სთვლის, სხვებს კი ინიციატორად ბრიანი მიაჩნია. „ფიგარო“-ს აზრით, სახელმწიფოების გამოსვლა დაგვიანებულია იმდენად, რამდენადაც ომის უშუალო საფრთხე უკვე აცილებულია თავიდან.

„ენფორმასიონ“-ი აღნიშნავს, რომ იაპონია არ არის კმაყოფილი სახელმწიფოების ჩარევით ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში.

პარიზის პოლიტიკურ წრეებში ჩარევას ხსნიან, როგორც ისეთ ცდას, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას ჩინეთის ის პოზიციები, რომლებიც მას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში უჭირავს, და დაიფაროს ჩინეთი წითელი არმიის შემდგომი რეპრესიული ზომებისაგან. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ გამოსვლის მიზანია დაეხმაროს ნანკინს იმაში, რომ მან საბჭოთა კავშირთან წარმოებულ წინასწარ მოლაპარაკებაში ზეგავლენა მოახდინოს მუკდენზე.

„ლიუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა ყოველგვარი პირობის გარეშე უერთდება იმ გამხეცებულ იმპერიალისტურ ინტრიგას, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული.

„იბადება ეჭვი,—სწერს გაზეთი,— მუკდენმა საბჭოთა პირობები მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ მოიპოვოს დრო ახალი ინტრიგების მოსამზადებლად. ნანკინის მთავრობა, რომელიც ეგრეთწოდებულ „დიდ“ სახელმწიფოთა დირექტივების მიხედვით მოქმედებს, ყველაფერს სჩადის იმისათვის, რომ გააჭიანუროს კონფლიქტი და გამოიწვიოს მასში იმპერიალისტების ჩარევა. საბჭოთა კავშირი შეიძლება მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ მას აქტიურად მხარს დაუჭერს მთელი საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი“.

ჩინეთის ორმაგი მარცხი

ტოკიო, 3 დეკემბერი. „ნიცი-ნიცი“ სწერს: „აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებით ჩინეთმა ორმაგი მარცხი განიცადა: პირველი—ხუთი თვის კონფლიქტის შემდეგ მუკდენი იძულებული გახდა მიეღო საბჭოთა მთავრობის ყველა პირობები; მეორე—დამარცხდა ის მიმართვა, რომელიც ნანკინის მთავრობამ სახელმწიფოებს გაუგზავნა. ამ მიმართვამ ის ერთად-ერთი შედეგი გამოიღო, რომ ამერიკამ წამოაყენა წინადადება, რათა სახელმწიფოებმა მოაწყონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შეერთებული მართვა-გამგეობა. (ადს).

გარეშე ჩარევა გაართულებს მდგომარეობას

ტოკიო, 3 დეკემბერი. „სიუგაი სიოგიო“-ი ეხება ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტს და სწერს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხის მშვიდობიანი მოგვარება შედეგად მოჰყვება საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ უკანასკნელ გადამჭრელ ზომებს.

გაზეთის აზრით, მესამე მხარის ჩარევა გაართულებს მდგომარეობას. (ადს)

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

გერმანია და იმპერიალისტების დეკლარაცია

ბერლინი, 3 დეკემბერი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მემორანდუმის გამო ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ამერიკის მთავრობის ღონისძიებებს მშვიდობიანობის დასაცავად.

ვინაიდან გერმანია, რომელსაც მინდობილი აქვს ორივე მხრის ინტერესების დაცვა, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, ამიტომ გერმანიის მთავრობას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ რა ვადაში და რა ფორმით გადასდგას საკუთარი ნაბიჯები კონფლიქტის ირგვლივ. ამას გარდა, გერმანიის მთავრობამ იცის, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის უშუალო მოლაპარაკებაა კონფლიქტის მოგვარების შესახებ. გერმანიის მთავრობა ამერიკის მთავრობასთან ერთად, მოელის, რომ მოდავე მხარეები, იმ ვალდებულებებთან შეფარდებით, რომელნიც კელოგის პაქტიდან გამომდინარეობენ, ხელს აიღებენ სამხედრო ღონისძიებებზე თავიანთი მიზნების მისაღწევად.

გერმანიის მთავრობას იმედი აქვს, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად დაწყებული უშუალო მოლაპარაკება ახლო მომავალში წარმატებით დამთავრდება. (ადს)

ჰენდერსონი ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

ლონდონი, 3 დეკემბერი. თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე ჰენდერსონმა განაცხადა, რომ როგორც მას ჩინეთის ელჩმა 23 ნოემბერს აუწყა, ჩინეთის მთავრობა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის საკითხის გამო ამზადებს მიმართვას ერთა ლიგისადმი.

შემდეგ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა ინგლისის ელჩს ჩინეთში: რადგან მოხდა ჩინეთის ტერიტორიის ოკუპაცია, საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს ერთა ლიგამ.

შემდეგ ჰენდერსონმა სთქვა: რადგან ჩინეთი და საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტის მონაწილენი არიან, ამიტომ მათზე ზეგავლენის ყველაზე უფრო უკეთესი გზა იქნება, თუ პაქტის მონაწილენი ნოტებს გაუგზავნიან, ვიდრე ის, რომ საქმე გადაეცეს ერთა ლიგას, როგორც პირველ ინსტანციას. (ადს).

იაპონია რჩება ჩაურევლობის პოზიციაზე

ტოკიო, 3 დეკემბერი. იაპონიის ოფიციალურ წრეებში განაგრძობენ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩაურევლობისა და სახელმწიფოთა საერთო გამოსვლაში მონაწილეობის არ მიღების პოზიციაზე დგომას. (ადს).

ჩინელ მაჰმადიანთა მღელვარება

შანხაი, 3 დეკემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, განსუს პროვინციაში ხელახლა იფეთქა მაჰმადიანთა აჯანყებამ. აჯანყებულებმა ისარგებლეს გომინდანის დამარცხებით და ხელთ იგდეს რამდენიმე ქალაქი. (ადს).

ჩინელი სტუდენტების დემონსტრაცია

შანხაი, 3 დეკემბერი. ჩინელი სტუდენტების ჯგუფმა (ერთი ვერსიით — კომუნისტებმა) 1-ლ დეკემბერს მოაწყო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს გომინდანის ოფიციალური ორგანოს „რიპებლიკენ დეილი ნიუს“-ის შენობის ფანჯრებს. დემონსტრანტები გაიძახოდნენ; „ძირს იმპერიალიზმი“, „ძირს გომინდანი“, „ძირს ჩან კაი-ში“. (ადს).

მორგანი ფულს აწვდის ჩან სუე-ლიანს

პეიპინი, 3 დეკემბერი. დემპო ცუსინის სააგენტოს ცნობით, ჩან სუე-ლიანმა მორგანთან დასდო შეთანხმება 20 მილიონი დოლარის სესხად მიღების შესახებ. სესხი მოხმარდება სამხედრო საქმეს. (ადს).

ნანკინი უბრძანებს ჩან სუე-ლიანს

პეიპინი, 3 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ უბრძანა ჩან სუე-ლიანს გადასცეს ნანკინის გზათა სამინისტროს პეიპინ-მუკდენის რკინის გზის შემოსავალი. გარდა ამისა, მუკდენში მიელიან ნანკინის დელეგატებს იმაზე მოსალაპარაკებლად, რომ მოძრავი შემადგენლობა მანჯურიიდან გატანილ იქნას სამხრეთში. ყველა ამით ნანკინს უნდა, გომინდანის მხრივ საშიშროების შემცირების გამო, ზეგავლენა მოახდინოს ჩან სუე-ლიანზე. (ადს).

ვან ჩენ-ტინი გადადგა

ტოკიო, 3 დეკემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო ნანკინიდან იუწყება, რომ ვან ჩენ-ტინი გადადგაო. მან თავის თავზე მიიღო იმ მარცხის პასუხისმგებლობა(რომელიც ჩინეთის დიპლომატიამ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის ირგვლივ განიცადა. (ადს).

შანხაი, 3 დეკემბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჩენ-ტინმა გადასწყვიტა—წლის დამლევს შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ. მაგრამ ჩან კაი-შიმ მოითხოვა ვან ჩენ-ტინის დატოვება. თუმცა ამავე დროს ჩან კაი-შის იგი მიაჩნია პასუხისმგებლად მთავრობის პოლიტიკის დამარცხებისათვის. (ადს).

კრიზისი ამერიკაში გრძელდება

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. ჰუვერის ოპტიმისტურ განცხადებათა მიუხედავად, **კრიზისი ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება. რკინის გზის ტვირთზიდვა მცირდება.** მცირდება ფოლადის ჩამომსხმელი და საავტომობილო მრეწველობის წარმოებაც. ვაჭრობის დეპარტამენტის ცნობით, სამრეწველო პროდუქცია ოქტომბერში უფრო მცირეა, ვიდრე სექტემბერში. (ადს)

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ამხ. ბოგომოლოვის დანიშვნა ლონდონში

მოსკოვი, 4 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა გაანთავისუფლა ამხ. ბოგომოლოვი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან პოლონეთში, მისი დანიშვნის გამო სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩევლად ინგლისში. (ადს)

როდის შეუდგებიან ელჩები თანამდებობის ასრულებას

ლონდონი, 3 დეკემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, შეკითხვების საპასუხოდ, ჰენდერსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაასახელოს სწორი თარიღი, თუ როდის შეუდგებიან თავიანთ თანამდებობის ასრულებას ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ელჩები, მაგრამ იმედი აქვს, რომ ელჩები თავიანთ თანამდებობას დაიჭერენ მახლობელ დღეების განმავლობაში. კონსერვატორ სმიზერსის შეკითხვაზე—ხომ არ წარმოადგენს ამ საქმის გადადება ახალ დაბრკოლებათა შედეგს? — ჰენდერსონმა უარყოფითი პასუხი გასცა. (ადს)

შვეციის კომპარტიის ყრილობა

ამხ. დენგელის სიტყვა

სტოკჰოლმი, 3 დეკემბერი. შვეციის კომპარტიის ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა **დენგელმა**. დენგელმა დახატა იმ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის სურათი, რომელიც მთელ მსოფლიოში სწარმოებს. დენგელმა აღნიშნა, რომ კომუნისტურ პარტიებში მემარჯვენე ელემენტები იმ დროს დაიბადნენ, როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალი დაადგა მტკიცე პოზიციას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. მისი სოციალ-ფაშისტურ გადაგვარების გამო. შვეციის კომპარტიის კრიზისი არ არის განმარტოებული მოვლენა. იგი მჭიდროთ არის დაკავშირებული ოპორტუნისტული ელემენტების გაწმენდის პროცესთან გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა კომპარტიებში. შვეციის რენეგატები მხოლოდ იმეორებენ ბრანდლერის მიერ გადაღეჭილ აზრებს. დენგელმა უარჰყო შვეციის მემარჯვენეთა თეორია შვეციის თავისებური პირობების შესახებ, აღნიშნა მემარჯვენეთა ორპირული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის საკითხში და განაცხადა, რომ ამ ვაჟბატონების მიმართ შესაძლებელია მხოლოდ ერთი ხაზი—ბრძოლა და კვლავ ბრძოლა.

დენგელმა თავისი სიტყვა დაამთავრა იმ რწმენის გამოთქმით, რომ რენეგატების მიერ მოტყუებული მუშები დაუბრუნდებიან პარტიასო.

ლინდერუტის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა პეტერსონმა, რომელმაც ანალიზი გაუკეთა მემარჯვენეების გამოსვლებს საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ. პეტერსონმა დაასურათა საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობა. პეტერსონის სიტყვას დელეგატები მხურვალე ტაშით შეეგებნენ. (ადს).

ნორვეგიის კომპარტიის წარმომადგენლის დაპატიმრება

სტოკჰოლმი, 3 დეკემბერი. შვეციის პოლიციის უფროსმა გამოაქვეყნა ცნობა ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის არვიდ ჰანსენის დაპატიმრების შესახებ. ჰანსენს აბრალებენ შვეციის შინაურ საქმეებში ჩარევას, რადგან მან ყრილობაზე გამოსვლის დროს „გაილაშქრა ჩილბუმის საქციელის წინააღმდეგ“. ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ჰანსენის დაპატიმრების წინააღმდეგ და ხელისუფლებასთან გაგზავნა დელეგაცია, რომელსაც დაევალა მოითხოვოს ჰანსენის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. პოლიცია აცხადებს, რომ ჰანსენი ამ ცოტა ხანში გაძევებული იქნება შვეციის საზღვრებიდან. (ადს).

ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა

მოითხოვენ ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას

ლონდონი, 3 დეკემბერი. ინდოეთის პროფკავშირების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს ინდოეთის ვიცე-კოროლის განცხადებას, აგრეთვე ნერუს იმ მოხსენებას, რომელშიაც ინდოეთის დომინიონად გადაქცევის პროექტი იყო წამოყენებული. კონგრესის რეზოლიუცია მოითხოვს ინდოეთისათვის სრულ დამოუკიდებლობას და ინდოეთში რესპუბლიკის დაარსებას. 1930 წლის ყრილობამდე გადაიდო იმ საკითხის განხილვა—შეუერთდნენ თუ არა ინდოეთის პროფკავშირები წყნარ-ოკეანეს სამდივნოს. კონგრესის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სუბხას ბოსი, მდივნად დეშპენდე. კონგრესს გამოეყო მემარჯვენე ფრთა ჯოშის მეთაურობით. ამ ფრთის ბელადებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ისინი კონგრესს ბრალს სდებენ იმაში, რომ მისი ახლანდელი შემადგენლობა „მოსკოვის ემხრობა“-ო. (ადს).

რეფორმისტების ცილისწამება

ლონდონი, 3 დეკემბერი. როგორც ბომბეიდან იუწყებიან, იმ გამარჯვების გამო, რომელიც პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის კონგრესზე მემარცხენე ფრთამ მოიპოვა, პროფმოძრაობის რეფორმისტული ფრთის ბელადები ყოველნაირად ცდილობენ მიჩქმალონ რევოლიუციონური ფრთის ზრდა და მნიშვნელობა.

ამავე დროს მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელებს ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან ყოველდღე მოსდით მრავალი დეპეშა, რომლებშიაც ეს ორგანიზაციები მემარცხენე ფრთას ჰპირდებიან ყოველმხრივ დახმარებას ინდოეთის პროფმოძრაობის რეფორმისტული ბიუროკრატების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვში შედიან: ბენგალ-კაუნპურის რკინის გზის მუშათა კავშირი, მადრასის, აჰმედაბადის, კაუნპურის და სხვა ქალაქების მუშათა პროფკავშირები. ჯამშედპურის მელითონეთა კავშირის წევრთა ნაწილმა დაადგინა— შეუერთდეს ინდოეთის პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთას. (ადს)

პოლიცია შეშფოთებულია

რეველი, 3 დეკემბერი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ესტონეთის მუშათა დელეგაცია დაიბარეს პოლიციაში, სადაც დელეგაციის წევრებს ჩვენება ჩამოართვეს.

„ტრუდოვიკების“ გაზეთის ცნობით, პოლიციის მოქმედება გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა კავშირის მუშებსა და ესტონეთის მუშათა დელეგაციას შორის დადევა ხელშეკრულება შეჯიბრების შესახებ, რომლის ძალითაც ესტონეთის მუშები კისრულობენ იბრძოლონ ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. (ადს)

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მუშების მკაცრი პროტესტი
იმპერიალისტების თავხედური ჩარევის გამო
საბჭოთა კავშირისა და მუკდენის მოლაპარაკების ჩასაშლელად

გუშინ საღამოს თბილისის მთელ რიგ საწარმოებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის იმპერიალისტების თავხედური დეკლარაციების გამო, რომლის მიზანია ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის ხელის შეშლა

თბილისის პროლეტარები ერთსულოვნად აცხადებენ: ღირსეულ პასუხს გავცემთ მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციულ გამოსვლებს.--არავის მივცემთ უფლებას ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში.--იარაღით ხელში დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს.--მსოფლიო იმპერიალიზმის განცხადებას ვუპასუხებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერებით.--ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარებაში არ ვსაჭიროებთ მსოფლიო იმპერიალიზმის შუამდგომლობას

ღირსეულად ვუპასუხებთ

გუშინ, საღამოს 9 საათზე, რკინის გზის მუშათა ფაკულტეტის შენობაში შესდგა მუშფაკის მსმენელთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა საერთო კრება. ამხ. ლ. რუხაძემ კრებას გააცნო ჩინეთ საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება და აღნიშნა, რომ მსოფლიო იმპერიალისტები ცდილობენ ჩაერიონ ამ მოლაპარაკებაში და ხელი შეუშალონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მუშა მსმენელები, რომლებმაც სასტიკი პროტესტი განაცხადეს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტების უკანასკნელ პროვოკაციულ გამოსვლების წინააღმდეგ და მოითხოვეს, რათა საბჭოთა კავშირმა სათანადო პასუხი გასცეს მსოფლიო იმპერიალიზმის გამოსვლას.

კრებამ მოხსენების ირგვლივ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: ჩვენ, მუშფაკელები ვაცხადებთ, რომ საფრანგეთის, ამერიკის და ინგლისის იმპერიალისტების გამოსვლა ჩინეთ-საბჭოთა მოლაპარაკების დროს, ნიშნავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას. ჩვენ არავის უფლებას არ მივსცემთ, ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში და იმპერიალისტების „შუამდგომლობა" არ გვესაჭიროება.

ამერიკის, ბრიტანეთის და საფრანგეთის იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლის საპასუხოდ, რკინის გზის მუშფაკელებმა კრებაზე ჩამოაყალიბეს დამკვრელი რაზმი, რომელშიაც ჩაეწერა 100 მუშფაკელი, რაზმელებმა განაცხადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

— : —

ჩვენი პასუხი იმპერიალისტებს
(აბრეშუმის საქსოვი ძველი ფაბრიკა)

აბრეშუმის საქსოვ ძველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მირზოევი. მომხსენებელმა გააცნო კრებას ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ ჩინეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა საბჭოთა კავშირის წინადადებაზე, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ძველი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მაგრამ ამერიკის, ბრიტანეთის და საფრანგეთის იმპერიალისტებს სურთ ხელი შეუშალონ ამ მოლაპარაკებას.

კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ამერიკის, ბრიტანეთის და საფრანგეთის იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლების წინააღმდეგ. მუშები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ მაშინ, როდესაც ჩინეთის იმპერიალისტებმა დაიკავეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა და თავს ესხმოდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს, მსოფლიო იმპერიალისტები ამას არ სთვლიდნენ კელოგის პაქტის დარღვევათ და არ იცავდნენ საბჭოთა კავშირს, მაგრამ როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის თითქმის უკვე მიღწეულია შეთანხმება, ისინი აწყობენ პროვოკაციულ გამოსვლებს ნანკინის იმპერიალისტების დასაცავად.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები, მთელი საბჭოთა კავშირის მუშებთან ერთად, აცხადებენ, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულება მოგვარდება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით, სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე. ჩვენ, მუშები ვუცხადებთ საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ არავის მივცემთ უფლებას ჩაერიოს ამ მოლაპარაკებაში და გასწიოს შუამავლობა, მოვითხოვთ მთავრობისაგან, რათა დაუნდობელი პასუხი გასცეს მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ მუშები ვაცხადებთ, რომ როგორც ყოველთვის, ეხლაც მზათ ვართ დავიცვათ მსოფლიოში ერთად ერთი სოციალისტური სახელმწიფო იმპერიალიზმისაგან.

უფლებას არ მივცემთ ჩაერიონ ჩვენ შინაურ საქმეებში
(თბ. დეპო)

გუშინ, საღამოს თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა ინფორმაციული მოხსენება ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების განცხადების შესახებ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ირგვლივ.

მოხსენების ირგვლივ გამოვიდნენ მუშები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიო იმპერიალისტების უკანასკნელ პროვოკაციულ გამოსვლებს მუშათა კლასი ყოველთვის მისცემს სათანადო პასუხს. ჩვენ, დეპოს მუშებიც ყოველთვის მზად ვართ დავიცვათ ჩვენივე მთავრობა

— : —

იწონებენ საბჭოთა კავშირის პასუხს

თბილისის ტრამვაის მუშებმა, თავიანთ საერთო კრებაზე განაცხადეს, რომ ჩინეთ- საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობების მოლაპარაკების გზით, მსოფლიო იმპერიალისტების ჩარევის გარეშე. ტრამვაის მუშები ერთსულოვნათ იწონებენ საბჭოთა კავშირის პასუხს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებისადმი.

ყოველთვის მზათ ვართ დავიცვათ სოც. სამშობლო

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"-ს მუშ-მოსამსახურეებმა მოისმინეს ინფორმაცია მსოფლიო იმპერიალისტების უკანასკნელი ნოტის შესახებ. კამათში გამოსულ მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მისცენ შესაფერი პასუხი მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციულ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ, „პროლეტარი"-ს მუშები, ერთხმად ვაცხადებთ, რომ არავის მივცემთ უფლებას ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მუშები აცხადებენ, რომ იმპერიალისტების გამოსვლას ჩვენ ვუპასუხებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებით.

— : —

არ ვსაჭიროებთ იმპერიალიზმის შუამდგომლობას

ტყავტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშებმა მოისმინეს ინფორმაციული მოხსენება მსოფლიო იმპერიალიზმის საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ და ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

ჩვენ არ ვსაჭიროებთ იმპერიალისტების შუამდგომლობას ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარებაში. ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშები მოვითხოვთ ჩვენი მთავრობისაგან, რათა გასცეს სასტიკი პასუხი ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის პროვოკაციულ გამოსვლებს.

ერთგულათ დავიცავთ საბჭ. კავშირს

გალეტის ფაბრიკის მუშები აცხადებენ, რომ როგორც ერთი, ყველანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მსოფლიოში ერთად ერთ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მხოლოდ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ. იმპერიალისტების თვალთმაქცურ განცხადებას ვუპასუხებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებით.

გავაძლიერებთ საბჭ. კავშ. თავდაცვას

26 კომუნარის რაიონის ულმერთო მუშა-ქალთა კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების უკანასკნელი ნოტის შესახებ. მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო მსოფლიო იმპერიალიზმის პროვოკაციული გამოსვლების და აღნიშნა, რომ იმპერიალისტებს სურთ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მშენებლობას.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ულმერთო მუშა-ქალებმა, —პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ცანავამ, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენ უფრო მჭიდროდ უნდა დავკავშირდეთ, გავატაროთ გასამხედროება მუშა-ქალებში საბჭოთა კავშირის თავდასაცავად და, თუ საჭირო იქნება, მივცეთ შესაფერი პასუხი მსოფლიო იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, შემდეგ ილაპარაკა ულმერთო ქალმა ამხ. ბაბაიანმა, — ორატორი მოუწოდებს ყველა მუშა-ქალს იმპერიალისტების საპასუხოთ უფრო მჭიდროთ დაირაზმონ ულმერთოთა კავშირში და სასტიკი პასუხი გასცენ საბჭოთა კავშირის მტრებს.

შაქარლამის ფაბრიკის მუშა-თურქ-ქალმა ამხ. აკპერ-ზადემ განაცხადა, რომ ჩვენ, თურქი ქალები დღემდე ჩამორჩენილი ვართ, მაგრამ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვაში მივიღებთ მხურვალე მონაწილეობას. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი რაიონის თურქ-ქალების გასამხედროება. ჩვენ უფრო ფართოდ გავშლით ამ კამპანიას თურქ-ქალთა შორის და ერთგულად დავიცავთ სოციალისტურ მთავრობას მსოფლიო იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

მზად ვართ შევადგინოთ მოხალისეთა რაზმი
(თელასი)

თელასის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, მოსმენილ იქნა ამხ. ვაშაკიძის ინფორმაცია ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში ჩარევის შესახებ.

ცნობამ იმის შესახებ, რომ აღნიშნული მთავრობები ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას, დამსწრეთა შორის აღშფოთება გამოიწვია. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მუშები, რომელთაც ენერგიული პროტესტი განაცხადეს ჩვენს შინაურ საქმეებში იმპერიალისტების ჩარევის გამო. მათ ფიცი დასდეს, რომ მტკიცედ დაიცავენ სოციალისტურ სამშობლოს და არავის მისცემენ ნებას ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის მშრომელებს აშენონ სოციალიზმი.

მუშებს ხმას შეუერთდნენ ინჟინერ-ტეხნიკოსებიც.

კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია, შემდეგი: თუ საჭიროება მოითხოვს, თელასის მუშა-მოსამსახურეები შექმნიან მოხალისეთა ცალკე რაზმს და იარაღით ხელში ჩაებმებიან მებრძოლთა მოწინავე რიგებში, ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

ფართოდ გავშალოთ კოლხელშეკრულებათა კამპანია
20 დეკემბრისათვის დამთავრებული უნდა იქნეს მთელი მუშაობა
ჭიათურის მემაღაროები კისრულობენ მარგანეცის ამოღების და გარეცხვის გადიდებას 94 პროც.

როგორ მიმდინარეობს კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

კოლხელშეკრულებათა კამპანიის სუსტად გაშლამ, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ კამპანიასთან ერთად ტარდება სოციალისტური შეჯიბრების სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებების დადების კამპანია, გავლენა იქონია მოსამზადებელი მუშაობის დანიშნულ ვადაში დამთავრებაზე; თბილისში კავშირებმა მხოლოდ 20 ნოემბრისათვის დაამთავრეს კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების შედეგების განხილვა საერთო კრებებზე, ზოგიერთ ცალკე კავშირებში კი (მეტყავეთა, მკერავთა და განათლების მუშაკთა კავშირები) ეს მუშაობა გაგრძელდა 25 ნოემბრამდე.

პროვინციაში მდგომარეობა კიდევ უფრო ტარესია. დღემდე საქ. პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას არ აქვს ცნობები ადგილობრივ საკავშირთაშორისო ორგანოებიდან, ის არასრული ცნობები კი, რომლებიც მიღებულია ადგილებიდან, ამბობენ, რომ ბევრგან ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის კამპანიის პირველი ნაწილი (ქუთაისი, აფხაზეთი, აჭარისტანის სამთა-მადნო მუშათა კავშირი). მუშაობის გასაუმჯობესებლად და ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, აჭარისტანზე, აფხაზეთზე, ქუთაისის ოლქზე, ბორჯომზე, ტყიბულზე, ჭიათურაზე, კახეთზე, და აგრეთვე პროვინციის მსხვილ წარმოებებზე მიმაგრებული არიან ს. პ. კ. საბჭოს და კავშირების ცენტრ. გამგეობების პასუხისმგებელი მუშაკები.

ს. ქ. პ. ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები მიმაგრებული არიან აგრეთვე თბილისის ყველა მსხვილ წარმოებებზე

ტიპიურ ხელშეკრულების დამუშავება

კოლხელშეკრულებაში შესატან სანიმუშო მუხლების განხილვა საერთო კრებებზე დაიწყო 20 ნოემბრიდან. მკერავთა კავშირში სანიმუშო მუხლების განხილვას წინ არ უძღოდა ხელშეკრულებების ახალი პროექტის შედგენა. კრებებს დაესწრო მუშების 60 პროც.

გემო-კვების მუშაკები პროექტებს იხილავდნენ შემდეგი წარმოებების მუშების საერთო კრებებზე: საკანდიტრო ფაბრიკაში—დაესწრო მუშების 100 პროც., მუშკოოპის [illegible]—70 პროც., რძის ნაწარმოების ქარხანაში—100 პროც., მეფრინველეობის ბაზაში—62 პროც.

პროვინციაში პროექტების განხილვის კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. განხილვა უკვე დამთავრებულია მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში და ბორჯომის სატკეპნ ქარხანაში.

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკებმა პროექტები განიხილეს იუსტიციის კომისარიატში, ფინსახკომში და მუშკოოპში, სადაც კავშირის მიერ წამოყენებულ პროექტში შეტანილია შემდეგი დამატებები: გადიდებული იქნეს შვებულება ერთ თვემდე იმ მუშაკებისათვის, რომელთაც სამუშაო დღე მოწესრიგებული არ არის; შეტანილი იქნეს ჯამაგირში უქმეების წინა დღეების ორი საათის ხელფასი.

სამთა-მადნო მუშებმა პროექტების განხილვა უკვე დაამთავრეს ჭიათურაში. ტყიბულში განხილვა ეხლახან დაიწყო. მეტად ცუდი მდგომარეობაა აღნიშნული კავშირის ბათომის განყოფილებაში, სადაც ჯერ წინა ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებაც კი არ დაუწყიათ.

ძალიან ჩამორჩა მკერავთა კავშირი, სადაც ხელშეკრულება ჯერ კავშირის ცენტრ. გამგეობის სხდომაზეც კი არ განუხილავთ.

კომუნალურ მუშაკთა კავშირში ხელშეკრულებები განხილულია ავჭალის წყალსადენში, სადაც დაესწრო მუშების 85 პროც., თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებაში—53 პროც. და ტრამვაიში.

ყველა დანარჩენ კავშირებში პროექტების განხილვა დაიწყო პირველ დეკემბრიდან.

კამპანიისათვის კულტსამსახურის გაწევა დღემდე ძალზე ცუდათ არის დაყენებული. არც ერთი კლუბი შესაფერ ყურადღებას არ აქცევს ამ მნიშვნელოვან კამპანიას. მეტყავეთა კლუბში გამოკიდებულია მხოლოდ ერთი პლაკატი, რომელიც მოუწოდებს მუშებს დაესწრონ პროექტების განსახილველად მოწვეულ კრებებს, მელითონეთა კლუბში კი ისიც არ არის.

სამეურნეო მუშაკების მონაწილეობა კამპანიაში ჯერ კიდევ სუსტია. ცალკე წარმოებებს ჯერ კიდევ არ აქვთ საბოლოო საკონტროლო ციფრები.

ასე, მაგალითად, ტყავტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკაში დღემდე შემუშავებული არ არის შრომის ნაყოფიერების აწევის სწორი ციფრები, ამასთანავე ფაბრიკის ადმინისტრაცია აუცილებლად სთვლის შემცირებული იქნეს შრომის ნაყოფიერება გათვალისწინებულ 19 პროცენტიდან 11 პროც.-დე, რასაც ასაბუთებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებით. ტრესტის ადმინისტრაცია კი წინადადებას იძლევა შრომის ნაყოფიერება გადიდებული იქნეს 14 პროც.-დე.

სამთოქიმტრესტში პროექტების განხილვას აგვიანდება, რადგან აქამდე არ არის სწორი ცნობები ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

განათლების მუშაკთა კავშირში, მიუხედავათ არა ერთი გაფრთხილებისა, განათლების კომისარიატის წარმომადგენლები არ გამოცხადნენ კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად ბიუჯეტის შესახებ, რის გამო კრებები ჩაიშალა. კრებებზე განსახკომი გზავნის არა პასუხისმგებელ მუშაკებს, არამედ ტეხნიკურ მომუშავეებს (ბუხჰალტრებს).

დირექტივების დამახინჯების ზოგიერთ შემთხვევებს ადგილი აქვს შრომის კომისარიატის ორგანოებშიც. ასე, მაგალითად, ბათომში შრომის კომისარიატის რწმუნებულის მოადგილემ გააფრთხილა კავშირი, რომ ყველა ხელშეკრულებებში დაწესებული უნდა იქნეს ორი კვირის შვებულება, იმისდამიუხედავათ, თუ როგორ იყო ეს გათვალისწინებული წინა ხელშეკრულებებში. საქ. შრომის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გააუქმა ეს შემცდარი დირექტივა.

ტრამვაის ადმინისტრაცია უარს ამბობს გაიღოს თანხები ტრამვაელთა ნაბეჭდ გაზეთის „ბუგელ"-ის გამოსაცემად, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

„მარგანეცის ამოღებას გავადიდებთ 94 პროც."

შარშან ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას უნდა დაემზადებია 750 ათასი ტონა ჩვეულებრივი და გარეცხილი მარგანეცი. დავალება მთლიანად შესრულებული არ ყოფილა: ამოღებულ იქნა 680 ათასი ტონა მარგანეცი, რაც გეგმის 90,7 პროცენტს შეადგენს. მაგრამ მარგანეცის ეს რაოდენობაც საგრძნობლად აღემატება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის იმდროინდელ ნაყოფიერებას, როდესაც ეს მრეწველობა ჰარიმანის ხელში იყო. 1928-29 წლის პროგრამის შეუსრულებლობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ კონცესიონერებმა მარგანეცის მრეწველობა დაგვიტოვა ნახევრად დაშლილ მდგომარეობაში.

მიმდინარე წელში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ უნდა მოგვცეს 1.250 ათასი ტონა მადანი, რაც შარშანდელთან შედარებით გადიდებას იძლევა 94 პროც. ეს ციფრი ცენტრალური პუნქტი იყო მემაღაროების მიერ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების განხილვის დროს. ჭიათურის მემაღაროები აცხადებენ: მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამას ჩვენ შევასრულებთ მთლიანად. ამისათვის საჭირო არ იქნება მუშების რიცხვის გადიდება. (ამჟამად ჭიათურაში მუშაობს 8.150 კაცი), მაგრამ აუცილებელია, რომ ადმინისტრაციამ მთელი 100 პროც. შეასრულოს კოლექტიური ხელშეკრულების პუნქტები და კოოპერაციამ ისწავლოს მუშაობა: კოოპერაციამ უნდა მოგვცეს ყველაფერი, რაც გვეკუთვნის და გაგვათავისუფლოს ჩვენ კერძო ვაჭრებისაგან.

—:—

20 ნოემბრამდე ჭიათურაში სწარმოებდა ძველი კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შემოწმება. ცალკე რაიონებში აღმოჩენილი იქნა უხეში გადახვევა კოლხელშეკრულების მუხლებიდან. ასე, მაგალითად, დარაჯები, დამლაგებლები, შიკრიკები და სხვა მუშაკები, რომლებიც გატარებული უნდა იყვნენ მესამე თანრიგში, ფაქტიურად ხელფასს იღებენ მე-5-6-7-8 თანრიგით. ადმინისტრაციას ისინი თვითნებურათ გადაყავდა უმაღლეს თანრიგში იმ მიზნით, რომ არ მიეცა მათთვის გასამრჯელო ზედმეტ საათებში მუშაობისათვის. ამით ადმინისტრაცია საკმაოდ დიდ თანხას იგებდა. კომპენსაციის მაგივრად მუშებს უმატებდენ თანრიგს, რაც ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას.

მეორეს მხრივ, დაბალი კვალიფიკაციის მთელი რიგი მუშაკები, რომლებიც ჩვეულებრივ მუშაობას ასრულებენ, უფრო მაღალ თანრიგებში არიან გატარებული, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში. ეს გარემოება, რაც ადმინისტრაციის თვითნებობის და ნათლიმამობის შედეგია, ანტაგონიზმს იწვევდა მუშათა შორის.

აღმოჩენილია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია არ ასრულებდა კოლხელშეკრულებით გათვალისწინებულ შრომის დაცვის ღონისძიებებს.

ყველა იმ საკითხების გამოსარკვევად, რომლებიც ეხება კოლხელშეკრულების ცალკე პუნქტების არშესრულებას ადმინისტრაციის მიერ, გამოყოფილია სპეციალური კომისია.

20 ნოემბრის შემდეგ ჭიათურის პროფაქტივის კრებაზე სწარმოებდა ახალი ხელშეკრულების დამუშავება; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელშეკრულების პოლიტიკურ მხარეს, სამეურნეო მუშაკების ვალდებულებას მუშების მიმართ და კავშირის ვალდებულებას საწარმოო პროგრამის შესრულების მხრივ. შემდეგ შედგენილ იქნა თვით ხელშეკრულების პროექტი. ამ ხელშეკრულების უფლებრივი ნაწილის დამუშავება დაუბრკოლებლად სწარმოებდა. რაც შეეხება ხელშეკრულების სატარიფო ნაწილს, აქ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებს. ასე მაგალითად, მიუხედავად კავშირის დაბეჯითებითი თხოვნისა, ტრესტმა არ მიაწოდა კავშირს ცნობები მუშების რაოდენობის შესახებ ცალკე თანრიგებისა და პროფესიების მიხედვით. ადმინისტრაციას ან არ აქვს ასეთი ცნობები, ან და არ უნდა მისცეს ისინი კავშირს, ამბობენ პროფმუშაკები, რომლებმაც მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს ჭიათურაში. ვინაიდან კავშირმა ვერ შესძლო ასეთი ცნობების მიღება, მას მოუხდა ჩამოევლო ცალკე რაიონები და სექციები და ჯამაგირების ნუსხის და სხვა დოკუმენტების მიხედვით შეედგინა ასეთი სიები.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის მიხედვით, იმ კატეგორიის მუშები, რომლებისგანაც არის დამოკიდებული უშუალოდ მადანის ამოღება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება და სხვ., მე-8 თანრიგიდან გადაყვანილი უნდა იქნენ მე-9 თანრიგში.

ხელფასის საერთო ფონდის სამი პროცენტი უნდა მოხმარდეს მთელი წარმოების ყველა მუშების ხელფასის მექანიკურად გადიდებას. ამას გარდა თანრიგები გაუდიდდება მუშების ჩამორჩენილ ჯგუფებს.

მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებები კოლხელშეკრულების განსახილველად ჩატარებულია რამდენიმე რაიონში. ამ კრებებს არ დასწრებია მხოლოდ ავადმყოფი და შვებულებაში მყოფი მუშები. კრებებზე მოსმენილი იქნა ადმინისტრაციის მოხსენება სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესახებ, და აგრეთვე ხელშეკრულების პროექტი, რის შემდეგაც იწყებოდა კამათი. ყველა გამოსული მუშები ამბობდნენ, რომ მიიღებენ ყველა ზომებს, რათა მთლიანად იქნეს შესრულებული საწარმოო პროგრამა, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ადმინისტრაციამ ენერგიული ზომები მიიღოს ყველა ტეხნიკურ დეფექტების აღმოსაფხვრელად წარმოებაში.

მუშები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ კოოპერაციის სუსტ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურა სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიწოდების მხრივ გათანაბრებულია მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან, კოოპერაციამ სრულებით ვერ შესძლო თავისი მუშაობის მოწესრიგება. სრულიად საკმარისი არ არის კოოპერატიულ სასადილოების რიცხვი. ზოგიერთ რაიონებში ასეთები სულ არ არის. სავაჭროებში არ მოიპოვება პირველი მოთხოვნილების საქონელი. ასეთი არ არის აგრეთვე მთელ რიგ რაიონებში, სადაც მუშათა რიცხვი 800—1000 კაცს აღწევს. ერთი კოლოფ ასანთის საყიდლათ მუშებს უხდებათ 5—6 ვერსის გავლა.

საექიმო დახმარება სუსტათ არის დაყენებული. თითქმის არც ერთ რაიონში არ არის პირველი დახმარების პუნქტები. ზოგიერთ ადგილებში კი არ არის საკაცეები, რომ შესაძლებელი გახდეს მუშების გამოტანა მაღაროებიდან კატასტროფის დროს. ავადმყოფობის დროს მუშა იძულებულია 6—7 ვერსი გაიაროს, რომ მიაღწიოს საექიმო პუნქტამდე.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციამ მიიღო ახალი ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების ყველა რაიონებში განხილვის დამთავრების შემდეგ მოხდება მისი ხელის მოწერა, დაახლოვებით 10 დეკემბერს.

ვ. ქ.

ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია

პარიზი, 3 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მთავრობები განაგრძობენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იმის შესახებ, თუ როდის უნდა იქნას მოწვეული ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია. ის კი დანამდვილებით არის ცნობილი, რომ საბჭოს სესია ლონდონში არ იქნება მოწვეული. (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

კომპარტიის მიტინგები

ვარშავა, 3 დეკემბერი. კვირას ვარშავაში გაიმართა მიტინგი ღია ცის ქვეშ. მიტინგზე გამოვიდა პოლონეთის სეიმის კომუნისტი დეპუტატი სიპულა. მიტინგის შემდეგ მუშები პოლონეთის კომპარტიის გაშლილი დროშებით გაემართნენ ქუჩაზე. მუშებს უნდოდათ გაემართათ დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციამ გაფანტა ისინი. (ადს)

ვარშავა, 3 დეკემბერი. კვირას ლაგევნიკში (ზემო სილეზია) გაიმართა მიტინგი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო ორი ათასმა მუშამ. მიტინგზე გამოვიდნენ სეიმის კომუნისტი დეპუტატები კრუზალსკი და გავრონი პოლიციამ ვერ გაბედა გაერეკა მიტინგი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიტინგი ლოძში

ვარშავა, 3 დეკემბერი. კვირას პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ ლოძში მოაწყო მიტინგი „პარლამენტარიზმის დასაცავად პოლონეთში". ათას ხუთასზე მეტმა მუშამ სცადა იმ შენობაში შესვლა, სადაც მიტინგი იყო, მაგრამ პოლონეთის სოციალისტური პარტიის სამხედრო რაზმმა მათ ცემა დაუწყო. რამდენიმე მუშა მძიმედ დაშავდა. შეტაკების შემდეგ აღშფოთებულმა მუშებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია პოლონეთის სოციალისტური პარტიის საქციელის წინააღმდეგ. (ადს)

უმუშევართა ცემა

ვარშავა, 3 დეკემბერი. პარასკევს ლიუბლინში ჩავიდნენ სეიმის კომუნისტი დეპუტატები გავრონი და სიპულა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლიუბლინის უმუშევრების მიერ გამართულ მიტინგში. პოლიციის უფროსმა მიტინგის ადგილზე გაგზავნა ცხენოსანი პოლიციის ორი რაზმი, რომელნიც თავს დაესხნენ მიტინგს. ამავე დროს პოლიციის აგენტები მისცვივდნენ და ცემა დაუწყეს დეპუტატებს. მძიმედ ნაცემ გავრონის განცხადებაზე, რომ ის სეიმის დეპუტატია, პოლიციის უფროსმა დაიყვირა: „ფეხებზედაც არც მკიდია კონსტიტუცია, ლიუბლინში მე ვარ უფროსი"-ო.

ბურჟუაზიული პრესა სცდილობს საქმე ისე დახატოს, ვითომ დეპუტატს სცემა არა პოლიციამ, არამედ „აღშფოთებულმა ბრბომ". ამავე დროს ეჭვი არავის ეპარება, რომ „აღშფოთებულ ბრბოს" როლს ასრულებდნენ პოლიციის გადაცმული აგენტები, რომლებიც პოლიციის ავტომობილებით გამოცხადდნენ მიტინგზე. (ადს)

უარყვეს „მუშათა" მთავრობის წინადადება

ლონდონი, 3 დეკემბერი. მთავრობის დამარცხება ლორდთა პალატაში, აგრეთვე უმნიშვნელო უმრავლესობა, რომელიც მთავრობის ერთმა წინადადებამ თემთა პალატაში მიიღო, თუმცა დიდ როლს არ თამაშობს, მაგრამ ამტკიცებს იმას, რომ მაკდონალდის მთავრობის მდგომარეობა არ არის სამედო. მთავრობის იმ რეზოლიუციამ, რომელიც მოითხოვდა კამათის მოსპობას უმუშევართა დაზღვევის კანონპროექტის პირველი მუხლის ირგვლივ, პალატამ მიიღო მხოლოდ 209 ხმის უმრავლესობით 196 ხმის წინააღმდეგ. ლორდთა პალატამ 37 ხმით 16-ს წინააღმდეგ მიიღო ოპოზიციის შესწორება. ამ შესწორებით ქვრივებს შეუმცირდათ პენსიის ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებული იყო თემთა პალატის მიერ უკვე მიღებული კანონპროექტით (ადს)

მღელვარების მიზეზები სამხრეთ-აფრიკაში

ლონდონი, 3 დეკემბერი. იოჰანესბურგიდან (სამხრეთ-აფრიკის კავშირი) მიღებული ცნობით, სამხრეთ-აფრიკის მთავრობის მიერ დურბანში მომხდარი ამბების გამოსარკვევად დანიშნული კომისიის მოხსენება სავსებით ააშკარავებს იუსტიციის მინისტრის პიროუს ცილისწამებას, თითქოს, მღელვარება ადგილობრივ მკვიდრთა შორის გამოიწვიოს „მოსკოვის ხრიკებს".

კომისიამ აღიარა, რომ დურბანის რაიონის მკვიდრნი მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში არიან და რომ „კომუნისტურმა პროპაგანდამ" „უმნიშვნელო როლი" ითამაშა მომხდარ ამბებში. (ადს)

ინგლისის კომპარტიის ყრილობა დაიხურა

ლიდსი, 3 დეკემბერი. ინგლისის კომპარტიის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ კომპარტიის ორგანო „უორკერს ლაიფ"-ი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდეს. ყრილობა დაიხურა. (ადს).

თემთა პალატაში
მემარცხენე ფრთის შესწორებები უარყვეს

ლონდონი, 3 დეკემბერი. თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთამ კვლავ გამოიჩინა ძლიერი აქტივობა უმუშევართა დაზღვევის კანონპროექტის გამო განახლებული კამათის დროს. მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთამ შეიტანა ორი შესწორება: ერთი გულისხმობს დახმარების გადიდებას უმუშევართა ბავშვებისათვის, მეორე კი— მათი ცოლებისათვის.

ამ შესწორებების წინააღმდეგ გაილაშქრა შრომის მინისტრმა მარგარიტა ბონფილდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შესწორებების მიღება ძალიან გაადიდებს ხარჯებსო.

შესწორებები უარყოფილ იქნა: პირველი —229 ხმით 28-ის წინააღმდეგ, ხოლო მეორე —210 ხმით 37-ის წინააღმდეგ. კონსერვატორებმა და ლიბერალებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს. (ადს)

კომპარტიის კანდიდატი

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. როგორც ბოგოტიდან (კოლუმბიის დედა-ქალაქი) იუწყებიან, კომპარტიამ ალბერტ კასტრილიონი წამოაყენა საპრეზიდენტო კანდიდატად მომავალ არჩევნებში. კასტრილიონი ხელმძღვანელობდა მუშების გაფიცვას ბანანის პლანტაციებზე 1928 წელს. სასამართლომ მას მიუსაჯა 25 წლის პატიმრობა. კოლუმბიაში დაწყებული დიდი მღელვარების გამო კასტრილიონი გაანთავისუფლეს. (ადს).

გაფიცვას განაგრძობენ

ვენა, 3 დეკემბერი. აფინიდან მიღებული ცნობით, გაზის ქარხნების მუშები გაფიცვას განაგრძობენ. ტრამვაისა და რკინის გზის მუშებმაც წარუდგინეს დამქირავებლებს მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები გაფიცვით იმუქრებიან. (ადს).

იმპერიალიზმის დამცველნი
ინგლისის მუშათა პარტია იმპერიალიზმთან მებრძოლი ლიგის წინააღმდეგ

ლონდონი, 3 დეკემბერი. მუშათა პარტიის აღმასკომმა წინადადება მისცა იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ჩაგვრასთან მებრძოლი ლიგის ინგლისის სექციის მდივანს რეჯინალდ ბრიჯმენს—გამოვიდეს ლიგიდან, თუ მას სურს დარჩეს მუშათა პარტიის ოფიციალურ საპარლამენტო კანდიდატად ეკსბრიჯში. თუ მან ამაზე უარი სთქვა, მუშათა პარტია მხარს აღარ დაუჭერს მის კანდიდატურას. (ადს).

სხვადასხვა

- ● იაპონიაში დაატუსაღეს ცნობილი აფერისტი ოსაკი სიმა, რომელიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა იაპონიის თევზის მრეწველობის ფირმების უთანხმოებაში საბჭოთა კავშირთან.
- ● კომკავშირელმა ანსელმა, რომელიც დატუსაღებულია სატუსაღო სანტეში (საფრანგეთი) პროტესტის ნიშნად გამოაცხადა შიმშილობა.
- ● ბელგიის მთავრობის შედგენა მიენდო ჟასპარს.
- ● უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანიის კომპარტიაში შევიდა 4.572 ახალი წევრი.
- ● ვილნოში (პოლონეთი) კომკავშირელებმა სატუსაღოს წინ მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელიც დაშალა პოლიციამ.
- ● საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა პოლონეთის მუშათა დელეგაციამ მოხსენება გაუკეთა მუშათა ფართო მასებს. მოხსენების შემდეგ მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელიც გაფანტა პოლიციამ.
- ● ნეშტის განკვეთამ გამოარკვია, რომ ამას წინად ჩინეთში გარდაცვალებულ იაპონელ ელჩს ხაბურის საკუთარი ხელით მოუკლავს თავი. (ადს)

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია
კამათი საბჭ. კავშირის სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საკავშირო ცაკის სესიის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. რიკოვის, კრჟიჟანოვსკის და ბრიუხანოვის მოხსენებების ირგვლივ. ეროვნებათა საბჭოში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს ის აქტუალური ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ნაციონალური ოლქების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების საზღვრებზე მდებარეობენ. საკავშირო საფოსტო-ტელეგრაფის სახალხო კომისარმა ამხ. ანტიპოვმა აღნიშნა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების და ელექტრომრეწველობის ორგანოების ის ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე დგანან წარმოების უდიდესი ზრდის უზრუნველყოფის და დაკავშირების საშუალებათა მოგვარების საქმეში კოლექტივიზაციის უდიდეს განვითარებისა და ახალი ქალაქების მშენებლობის გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს დონბასის, ურალის და ციმბირის წარმომადგენლებმა, რომლებმაც საბჭოს გააცნეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და მათ მიერ წამოყენებული ადგილობრივი და საკავშირო ხასიათის პრობლემები, როგორიცაა: თვითღირებულების შემცირება, მიწათმოწყობა, სატყეო მრეწველობის განვითარება და სხვა (ადს).

მოსკოვი, 4 დეკემბერი. საკავშირო ცაკის სესიის 3 დეკემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი საკონტროლო ციფრებისა და 1929—30 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების ირგვლივ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლევინმა, კურცმა და სხვ.

კამათის გაგრძელება გადაიდო 4 დეკემბრის დილისათვის.

4 დეკემბრის დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩუბარმა, ამხ. ტერ-ეგიაზარიანმა, ივანოვმა, ვოლოდკომ, პუგაჩკომ, მილიუტინმა და ი. ლარინმა, რომელმაც სხვებს ხელახლა გააცნო მის მიერ ზაფხულში აღძრული საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა დაწესებულებების სადგომები გამოყენებულ იქნას ორ ცვლად მუშაობისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ცაკის სხვა წევრებმაც.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა ცაკს აუწყა, რომ 1-ლ დეკემბერს სადგურ ლიუბერცში ტრაგიკულად გარდაიცვალა საკავშირო ცაკის და უკრაინის ცაკის წევრი, კალუგის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე პ. ხ. სავლეიევი. სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

ამხ. ჩანბას სიტყვა
ეროვნებათა საბჭოში

მოსკოვი, 4 დეკემბერი. ამხ. ჩანბამ, რომელიც სიტყვით გამოვიდა ეროვნებათა საბჭოში, განაცხადა:

— აფხაზეთი და აჭარისტანი წარმოადგენენ ერთად ერთ ადგილს, სადაც შეიძლება განვითარდეს სუბტროპიკული მცენარეები. თბილი ქვეყნების მთელი რიგი პროდუქტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემოგვაქვს, შეიძლება მივიღოთ აფხაზეთსა და აჭარისტანში. ომამდე რუსეთში უცხოეთიდან შეჰქონდათ 202,5 მილ. მანეთის, ჩაი, ლიმონები, მანდარინა, ფორთოხალი, პრობკის ხის კანი და სხვ. 202 მილიონი მანეთი კარგა მოზრდილი თანხაა. ყველა ამ კულტურების განვითარება წარმატებით შეიძლება აჭარისტანში და აფხაზეთში, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მიგვიქცევია ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეზე.

რა არის ახლა საჭირო სუბტროპიკულ რაიონების სასოფლო- მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის? პირველ ყოვლისა საჭიროა თანხების გადიდება სუბტროპიკულ კულტურების განვითარებისათვის. მეორე—საცდელი საქმის უზრუნველყოფა თანხებით აფხაზეთსა და აჭარისტანში. მესამე— საჭიროა აგროდახმარების გაძლიერება აფხაზეთის მოსახლეობისათვის, მეოთხე— საჭიროა სუბტროპიკული სასოფლო მეურნეობის შესასწავლი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა აფხაზეთში. (ადს)

ახალი ნავთიანი რაიონები
საუბარი აკად. გუბკინთან

მოსკოვი, 4 დეკემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში აკად. გუბკინმა განაცხადა:

„მთავრობის დავალება— ხუთწლედის დამლევისათვის 40 მილიონ ტონამდე ავიყვანოთ ნავთის მოპოვება, შეიძლება შესრულებული იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გაძლიერდება საკვლევი და საექსპლოატაციო მუშაობა ახალ ნავთიან რაიონებში. ამისათვის, საკავშირო გეოლოგიური თათბირი საჭიროდ სცნობს გაძლიერებულ საკვლევ სამუშაოთა ჩასატარებლად გამოიყოს კაბრისტანის საძიებლის რამდენიმე ნაკვეთი აზნევთის სარეწაოების რაიონში, შირაქის რაიონი, ვოზნესენსკის რაიონის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილი (მოლგაბეკის მთა და სხვ.) გროზნევთის რაიონში, სუჯის მთაგრეხილი და ნაზიანის რაიონი. დიდ იმედებს ვამყარებთ ახალნავთიან რაიონების ექსპლოატაციაზე და გამოკვლევაზე პირველ რიგში ურალის დასავლეთ ზოლში".

ა.-კავკასიაში ტვირთების გადმოზიდვის მოწესრიგება

მოსკოვი, 3 დეკემბერი. გადაზიდვის მომწესრიგებელმა კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო გადაზიდვის საერთო გეგმიდან ცალკე გამოიყოს ტვირთების გადაზიდვა შუა აზიასა და ამიერ- კავკასიაში. ამ ღონისძიების მიზანია ამ რაიონებში ტვირთების გადაზიდვის მოწესრიგება გზების გატარების უნარიანობასთან შეფარდებით, გადაზიდვის. მომწესრიგებელი ცენტრალური კომიტეტი ვაჭრობის კომისარიატთან და საკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით დააწესებს ტვირთების გადაზიდვის ყოველდღიურ ნორმას მათი მნიშვნელობისა და შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის სამეურნეო საჭიროებათა ნორმალურად დაკმაყოფილების საფუძველზე. (ადს)

ხანძარი ერევანში
დაიწვა სამკერვალო ფაბრიკა

ერევანი, 4 დეკემბერი. 3 დეკემბერს საღამოს 9 საათზე გამოურკვეველ მიზეზების გამო ცეცხლი გაუჩნდა „აიტნარკომპის" დიდი სამკერვალო ფაბრიკის ორსართულიან შენობას. ცეცხლის ჩაქრობა მოხერხდა მხოლოდ 4 დეკემბერს დილის 6 საათზე. 35 კაცისაგან შემდგარი ცეცხლის მქრობელი რაზმის, წითელ არმიელთა ნაწილების და მილიციის ღონისძიებებმა არ გამოიღო შესაფერი ნაყოფი, რადგან ღამით წყალსადენის მუშაობა შეჩერებულია.

დაიწვა მთელი შენობა და ქონებისა და ფაბრიკის მოწყობილობის დიდი ნაწილი. ხანძრის მიზეზი და ზარალი ირკვევა.

ავტომობილის კატასტროფა

ონი, 4 დეკემბერი. ონიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე დაიმტვრა ქუთაისიდან მომავალი ავტომობილი. მოკლულია ერთი მგზავრი, სასიკვდილოდ დაშავდა ერთი მგზავრი და შოფერი. სამი მგზავრი მსუბუქად არის დაშავებული.

გამოყოფილია კომისია კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად.

გურგენიძე.

სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე
ბარიტის დამუშავება ქუთაისში გაიზარდა 28 პროცენტით
თბ. დეპოს მუშები იბრძვიან შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ

შეცდომებს ნუ გავიმეორებთ

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა ხელახალი დადება მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებს შორის უკვე კარგა ხანია დაიწყო. ხელშეკრულებების განახლების შედეგები ჯერ-ჯერობით არ არის დამუშავებული, მაგრამ წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება ფაბრიკა-ქარხნებს შორის ვერ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ძველი შეცდომები ხელშეკრულების დადებაში ზოგიერთ ადგილებზე კვლავ მეორდება. მუშათა ფართო მასები არ არიან ჩაბმული ხელშეკრულებათა განახლებაში. ბევრ ადგილას ეს კამპანია კვლავ კაბინეტურად მიმდინარეობს. აი მაგალითები:

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის „წითელი ნახევარი მთვარის" საზოგადოება. ხელშეკრულების პროექტი უკვე შემუშავებულია, მაგრამ წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლებმა და მუშებმა, არც შეჯიბრებაზე და არც ხელშეკრულების პროექტზე, ჯერ-ჯერობით არაფერი იციან. ამიტომ ხელშეკრულების პროექტში გამოტოვებულია მთელი რიგი საკითხებისა ადგილებზე მუშაობის დარგში. ასევე ხდება მუშათა კლუბებშიც: ორჯონიკიძის სახელობის მუშ. კლუბმა შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის რამდენიმე მუშათა კლუბი, მათ შორის პლეხანოვის სახელობის კლუბიც. მაგრამ ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობას ეს საკითხი არ დაუსვამს კლუბის წევრთა საერთო კრებაზე და საფუძვლიანად არ დაუმუშავებია შეჯიბრების პირობები. პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბმაც ეს კაბინეტური გამოწვევა კაბინეტურადვე მიიღო და კაბინეტურადვე უპასუხა ორჯონიკიძის სახელობის კლუბს. ასე, რომ კლუბის აქტივი, არც პლეხანოვის და არც ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, სრულებით არ არის ჩაბმული კლუბების შეჯიბრებაში და ჯერ-ჯერობით არც იცნობენ შეჯიბრების პირობებს.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ბევრ ადგილას შეჯიბრების ხელშეკრულებები არ შეეფერებიან წარმოების ხასიათს. ხელშეკრულებებში არ არის შეტანილი ისეთი მუხლები, რომლებიც გააუმჯობესებენ მუშაობის პირობებს და ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ასეა მაგალითად, ქარხანა „ხის ნაწარმ"-ში და სხვ.

ასეთი ხელშეკრულებები ვერ გაამართლებენ შეჯიბრების დანიშნულებას. პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებები უნდა გადაიქცნენ ამა თუ იმ წარმოების საწარმოო პროგრამათა და შეგუებული უნდა იყოს წარმოების ხასიათს. შეჯიბრების ხელშეკრულებები წარმოებაში უნდა გადაიქცნენ მთავარ მამოძრავებელ ძალათ წარმოების პროცესისა. ამიტომ ხელშეკრულებების შემუშავებაში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი მუშა-მოსამსახურეები. უამისოდ ხელშეკრულებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება და ვერც შეჯიბრება გამოიღებს სათანადო ნაყოფს.

ვ. ნ.

რა მოგვცა შეჯიბრებამ
(ქუთაისის ბარიტის ქარხანა)

სოციალისტური შეჯიბრება ბარიტის მაღაროებში დაიწყო 15 აგვისტოდან. შეჯიბრება გამოცხადებული იყო როგორც თვითეულ მაღაროს მუშებს შორის, ისე ათისთავებს შორისაც. ბარიტის მაღაროებში გადასული არიან სამცვლიან განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე.

რა მოგვცა შეჯიბრებამ? აგვისტოში ამოღებულ იქნა 3.002,8 ტონა ბარიტი, დახარჯული კაც-დღე—6.919, თითო კაცზე დღიურად 433,9 კილო და გაცდენილი დღეები—159. სექტემბერში ამოღებულ იქნა 3.827 ტონა დახარჯული კაც-დღე 6604, თითო კაცზე ნამუშევარი დღიურად 579,5 კილო და გაცდენილი დღეების რაოდენობა—68. ასე, რომ როგორც ჩანს პირველსავე ერთ თვეში საგრძნობლად გაზრდილა შრომის ნაყოფიერება, უმატნია ამოღებულ მადანის რაოდენობას და თითქმის, ერთი სამად შემცირებულა დღეების გაცდენა.

ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაშია ბარიტის დამუშავების, დაფქვის საქმე. აქ შეჯიბრება დაიწყო ივლისიდან. ივლისის 1-დან 23-დე დაიფქვა 444,6 ტონა ბარიტი, დახარჯა 648 კაცდღე ე. ი. ერთ კაცზე 41,88 ფუთი. ოქტომბერში 1-დან 30-დე დაიფქვა 471,7 ტონა, დახარჯული კაცდღე—1064, ერთ კაცზე—27,05 ფუთი, ასე რომ, შრომის ნაყოფიერება აქ დაწეულა და შეჩერებულია დამუშავებული პროდუქციის რაოდენობაც.

ამის მიზეზი ორი გარემოებაა: ერთი—წისქვილის გამგე მოქ. გ. ჯიშკარიანი თავის უკაირათობით, ყალბი ტაბელებით, ზედმეტი დღეების გამოწერით და სხვ. მეორე—ადგილობრივი ელექტროსადგურის, რომელიც ხელშეკრულებით 14 საათის განმავლობაში უნდა აწვდიდეს დღიურად ენერგიასა და წყალს წისქვილს, აწვდის კი—8—10 საათის განმავლობაში.

ოხრის დასამუშავებლად და მის გადასაგზავნად მუშები გამოწვეულ იყვნენ ბათომის საღებავი ქარხნიდან. შეჯიბრების მიხედვით დღემდე უნდა დამუშავებული და გადაგზავნილი ყოფილიყო 21 ვაგონი ოხრა, გადაიგზავნა 35 ვაგონი, ანუ 14 ვაგონით მეტი. ამ მხრივ შეჯიბრებამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

გ.

ლოთების საჯარო გასამართლება
(თბ. დეპო)

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბში, თბ. დეპოს მუშების მოთხოვნილებით მოეწყო შრომის დისციპლინის დამრღვევების — მემანქანე ქამიერაშვილის და მისი თანაშემწე ბეტაძეს საჯარო-საჩვენებელი გასამართლება.

დილის ცხრა საათზე კლუბის დარბაზი სავსე იყო დეპოს მუშებით. 10 საათზე სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ენუქიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა. როგორც საბრალმდებლო ოქმიდან გამოირკვა ქამიერაშვილს და ბეტაძეს ბრალი ედებოდათ შემდეგში:

ამას წინად მემანქანე ქამიერაშვილს და მის თანაშემწეს, ხაშურიდან მოჰყავდათ სახალხო მატარებელი № 111, ისინი ხაშურშივე მთვრალები ყოფილან. სად. გორში მემანქანე და მისი თანაშემწე გადავიდნენ სამიკიტნოში და დაიწყეს ღვინის სმა. დაირეკა მეორე ზარი, არც მემანქანე და არც მისი თანაშემწე არ არის თავის ადგილზე. მატარებელი სადგურში 15 წუთი მეტი გაჩერდა.

ღვინით გალეშილმა მემანქანემ და მისმა თანაშემწემ რის ვაივაგლახით მატარებელი ჩამოიყვანეს სად. ქსანამდე. ამ მატარებლით მიემგზავრებოდა თბილისის დეპოს უფროსის თანაშემწე ამხ. ჩლაიძე, რომელმაც მთვრალი მემანქანე ქამიერაშვილი მოხსნა მანქანიდან და თითონ ჩამოიყვანა თბილისში მატარებელი. ამგვარად ამხ. ჩლაიძის მიერ მიღებული ზომებით მოსალოდნელი უბედური შემთხვევა თავიდან იქნა აცილებული.

ბრალმდებელმა—ამხ. ს. დოლიძემ, აუდიტორიას გააცნო ქამიერაშვილის და ბეტაძის დიდი დანაშაული და აღნიშნა, რომ მათ თავიანთი საქციელით შეარცხვინეს მემანქანეების სახელი და ჩირქი მოსცხეს თბილისის დეპოს მუშებს.—მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ამბობს ორატორი— ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის საშუალებითაც ამტკიცებენ შრომის დისციპლინას, ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და საერთოდ ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას, მემანქანე ქამიერაშვილი და მისი თანაშემწე ბეტაძე, უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას და ასეთი საშუალებით საფრთხეს უმზადებენ რკინის გზას. ეს არის მავნებლობა, რისთვისაც ქამიერაშვილი და ბეტაძე სამაგალითოდ უნდა იქნენ დასჯილნი.

დამცველი ამხ. ჟურული (მემანქანე) ბრალდებულებს სცნობს დამნაშავედ, მაგრამ მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

მხარეთა კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სხვა მუშებმაც, რომლებიც მოითხოვდნენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

დასასრულ ნახევარი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, სადაც აღნიშნულია, რომ მემანქანე ქამიერაშვილი და მისი თანაშემწე ბეტაძე, როგორც მავნებლები, გაძევებული უნდა იქნენ ტრანსპორტიდან. მაგრამ სასამართლო იღებს რა მხედველობაში მათ სოციალურ მდგომარეობას და აგრეთვე იმას, რომ ისინი პირველად არიან პასუხისგებაში მიცემული, სასჯელი შეუმსუბუქდათ და მიესაჯათ მემანქანეობიდან მოხსნა 5 წლის განმავლობაში და ზეინკლად გადაყვანა. დადგენილება საბოლოოა. განაჩენს აუდიტორია დიდის კმაყოფილებით შეხვდა.

გასამართლების შემდეგ რკ. გზის თბილისის უბკავშირთან და ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ ქართულ სანაგიტთეატრის მიერ, ამხ. ვ. ნინიძეს რეჟისორობით გაიმართა საჩვენებელი წარმოდგენა „თითო ჭიქა", რომელშიაც ნათლად არის გადმოცემული ლოთობის მავნებლობა, როგორც ჯანმრთელობისათვის, ისე წარმოებისათვის. ასეთი სააგიტაციო პიესები ხშირად უნდა იდგმებოდეს მუშათა კლუბებში.

კოლხიდელი.

გამოწვევა მივიღეთ

პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ მიიღო ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვია ბათომის რკ. გზის და თბილისის ახალი მუშათა კლუბებში.

აღნიშნულ კლუბებთან სათანადო ხელშეკრულების დასადებათ გამგეობამ გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კუდრიავცევი, ნასყიდაშვილი, ბახტაძე, კაპანაძე, რომნიძე და წამალაიძე.

რამ შეგვიშალა ხელი

საქართველოს სახ. სამრეწველო საამშენებლო საზოგადოების მუშა-მოსამსახურეებში სოც. შეჯიბრება ფართოდ გაიშალა. შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშათა მთელი აქტივი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ საზოგადოების უწყებებში გაუმჯობესდა ყოველგვარი საქმიანობა: განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა ნაყოფიერება, გაუმჯობესდა სამუშაო პირობები და სხ.

ამ დღეებში შესდგა საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც სოც. შეჯიბრების შედეგების შემოწმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა შემმოწმებელ ბრიგადის წევრი. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულება შესრულებულია 80 პროც. მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს შედეგების განხილვაში და აღნიშნეს ყველა ის მიზეზი, რომლებიც ხელს უშლიდნენ სოც. შეჯიბრების უფრო გაძლიერებას და დასახულ გეგმის მთელი ასი პროცენტით შესრულებას.

მუშების სიტყვით, ხელშეკრულების მთელი ასი პროცენტით შეუსრულებლობის ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ შეჯიბრებაში სუსტ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც ადმინისტრაცია, ისე ინჟინერ-ტეხნიკური [illegible] ნაკლები ყურადღება ექცეოდა საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებას და თვით საწარმოო თათბირის მონაწილეობაც სოციალისტურ შეჯიბრებაში არ არის დამაკმაყოფილებელი.

შეჯიბრებაში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალები. უამისოთ შეუძლებელია შეჯიბრების ფართოდ გაშლა და მიღებულ ვალდებულების მთელი ასი პროცენტით შესრულება.

დასასრულ კრებამ ერთხმად დაადგინა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს საზოგადოება „ახალმშენი", „ზაკგოსტროი" და „არმენგოსსტროი". პოლიტიკურ სამეურნეო ხელშეკრულების პროექტის შესამუშავებლად კრებამ გამოჰყო სპეციალური კომისია.

გ.

სოც. შეჯიბრება ზუგდიდის რაიონში ჩაიშალა
(ზუგდიდის რაიკომის მასალებიდან)

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის გამოკვლევა ზუგდიდის რაიონში უკვე დამთავრდა.

გამოკვლევიდან აღმოჩნდა რომ ზოგიერთ დაწესებულებების ხელმძღვანელებს სოც. შეჯიბრების ამოცანები ჯერ კიდევ არ შეუთვისებიათ. ამიტომ შეჯიბრების საქმე მთელ რაიონში საგრძნობლად მოიკოჭლებს.

პროფკავშირების ადგილობრივ ორგანიზაციებს ცენტრიდან მიღებული ჰქონია სახელმძღვანელო მასალები პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ სოც. შეჯიბრებაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელმძღვანელობა მეტის-მეტად სუსტია. როგორც ჩანს, პროფკავშირების ც. გამგეობები მარტო წერილობითი „კაზიონური" ხასიათის ცირკულიარების მიწოდებით კმაყოფილდებოდნენ. ასეთი კაზიონური დირექტივას თავისი დაღიც დაუჩენია სოც. შეჯიბრებისათვის.

ცენტრიდან მიღებული მასალების მიხედვით პროფკავშირების რაიონულ განყოფილებებს მიუცათ ადგილებზე საერთო ხასიათის ცირკულიარები, მაგრამ ამან სარგებლობა მაინც ვერ მოუტანა შეჯიბრებას. მაგ.: მიწა - ტყის პ-კავშირს დაუგზავნია ადგილებზე მიმართვა, რომ სოც. შეჯიბრებაში ადგილებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ პრაქტიკულად თუ როგორ გაატარონ ეს ცხოვრებაში, და რას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, ამის შესახებ ცირკულიარში, არაფერია ნათქვამი.

საერთოდ ზუგდიდის რაიონში სოც. შეჯიბრებაში ფართო მასების ჩაბმა სუსტია. გარდა ამისა შეჯიბრებაში არ არიან ჩაბმული წარმოება - დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი. პოლიტიკურ - სამეურნეო ხელშეკრულების დადება ხდებოდა კაბინეტურად, ხელშეკრულების პირობებს არ იცნობს ფართო მასა. ამის გამო თვითეული მუშა - მოსამსახურე და მშრომელი გლეხობა არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას შეჯიბრებაში. რაც მთავარია, არ ქონიათ ჩატარებული ფართე მასაში სათანადო ახსნა - განმარტება და არ წარმოებულა შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა.

მთავარი ნაკლი, რომელიც ახასიათებს სოც. შეჯიბრებას ეს არის ის, რომ ძალიან ნაკლებად არის გეგმებში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად და სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად სამაზრკომის პრეზიდიუმმა შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებანი:

გაძლიერებულ იქნეს მუშაობა წარმოებებში სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად ჩაბმული იქნეს ამ საქმეში მუშათა ფართო მასები.

სოფლად შეჯიბრების გატარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხებს; ღარიბი და საშუალო გლეხურ მეურნეობათა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და მათი კოლექტივებში ჩაბმის დაჩქარებას, სოფლად აგრო - ტეხნიკური ღონისძიებათა შეტანას, აგრომინიმუმის გატარებას, [illegible] საველიანობის გადიდებას, სამუშაო საქონლის მოშენებას, სას. - სამ. იარაღების უფრო ფართოდ გამოყენებას; სათიბი სივრცის გადიდებას, კულტურულ მცენარეთა (ჩაი, მანდარინი, თამბაქო, ბამბა და სხვ.) ნათესების ფართობის გადიდებას, სესხის გავრცელებას და სხვ.

ფართედ იქნეს ჩაბმული სოც. შეჯიბრებაში საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, კოოპერატივები, სკოლები, საავადმყოფოები სოფლის საბჭოები თავის სექციების სახით და სხვა დაწესებულება - ორგანიზაციები. არც ერთი დარგი არ უნდა დარჩეს სოც. შეჯიბრების გარეშე.

მიღებულ იქნეს ზომები, რათა შეჯიბრებაში გამოწვევის და ხელშეკრულების დადების შესრულებაში ჩაბმული იქნან ფართო მასები. შეჯიბრებაში გამოწვევის წინასწარი პირობები უნდა დამუშავდეს, მუშა - მოსამსახურეთა და გლეხთა ფართო კრებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შეჯიბრებაში გათვალისწინებულ საკითხების კონკრეტიულად ჩამოყალიბებას, გაეწიოს კონტროლი დასახულ ღონისძიებათა შესრულებას და წარმოებული იქნეს შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა.

დაევალოს კომკავშირს, პროფორგანიზაციებთან ერთად, აწარმოოს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა; ახალგაზრდობა ფართოდ ჩააბან სოც. შეჯიბრებაში [illegible]

ვარამ.

მინდის აკრეფა--საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია

ადგილობრივი ორგანიზაციები გულგრილად ეპყრობიან მინდის აკრეფის საქმეს.—კულაკი—მეწისქვილეები არ ასრულებენ სავალდებულო დადგენილებას სამინდე გამოსაღების ჩაბარების შესახებ.—ხაშურის და ვანის რაიონებში მინდის აკრეფა ძალზე სუსტად სწარმოებს.—სასწრაფოდ უნდა მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა გეგმით გათვალისწინებული სამინდე გამოსაღების შესაგროვებლად.—კულაკები უნდა ვაიძულოთ უკლებლივ შეასრულონ თავიანთი ვალდებულება.

მეტი ყურადღება მინდის აკრეფას

ხორბლეულის ადგილობრივი ფონდების გაძლიერების მიზნით, თავის დროზე გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს დადგენილება წისქვილების მეპატრონეთაგან მინდის აკრეფის შესახებ. ხსენებული დადგენილების მიხედვით წისქვილის მფლობელი ვალდებულია ფუთ ხორბალზე ჩააბაროს მინდის ამკრეფ ორგანოებს 2 ნახ. გირვანქა, ხოლო ფუთ სიმინდსა და ქერზე ოთხი გირვანქა მტკიცე ფასებში.

მინდის აკრეფის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს „ხლებსოიუზ"-ს, ამ მიზნით, ადგილებზე დაგზავნილია სპეციალური რწმუნებულები და ინსტრუქტორ-კონტროლიორები. „ხლებსოიუზმ"-ა ზოგიერთ რაიონებში მინდის აკრეფა დაავალა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს. გახსნილია სათანადო საწყობები, მოწყობილია მიმღები პუნქტები და შექმნილია თანამშრომელთა სპეციალური შტატი ამ საქმის ხელმძღვანელად.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მინდის მთლიანად აკრეფას ხორბლეულის ფონდის გადიდების საქმეში, ეს ჩანს თუ გინდ იმ ფაქტიდან, რომ მინდის გამოსაღებიდან საქართველოში უნდა შეგროვდეს 600 ათასი ფუთი ხორბლეული.

ყველასათვის აშკარა უნდა იყვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მინდის აკრეფას. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციები სათანადო ენერგიით მოეკიდებოდნენ ამ საქმეს.

მინდის აკრეფის მთავარი სიმძიმე აწვება კულაკებს, ვინაიდან შემოსავლიანი წისქვილების დიდი უმრავლესობა მათ ხელშია, თავის თავად ცხადია, კულაკები საბჭოთა ხელისუფლების ამ ღონისძიებას არ შეასრულებენ, თუ მათ წინააღმდეგ არ იქნება მიღებული ზომები.

როგორც ადგილებიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, გარდა კახეთის ოლქისა, ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით ძალზე ცოტაა გაკეთებული. მართალია რაიონების მიხედვით განაწილდა მინდის ასაკრეფი რაოდენობა; გაიცა განკარგულება მინდის შეგროვების შესახებ, მაგრამ წისქვილის მფლობელნი და განსაკუთრებით კულაკები არ ასრულებენ მთავრობის დადგენილებას, ყოველმხრივ ცდილობენ თავიდან აიცილონ მათზე შეწერილი ხორბლის ჩაბარება. კიდევ მეტი, ზოგიერთ კულაკს სულაც არ მიაჩნია სავალდებულოდ მთავრობის ხსენებული დადგენილება. ამ მხრივ დამახასიათებელია ქვემოდ მოთავსებული კორესპონდენცია ვანის რაიონიდან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მინდის აკრეფის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ კამპანიის მნიშვნელობა არ აქვთ შეთვისებული ადგილობრივ ორგანიზაციებს. საჭიროა მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა მინდის აკრეფის საქმეში. ყველა იმ მეწისქვილეების წინააღმდეგ, ვინც არ ასრულებს მთავრობის დადგენილებას, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, ხოლო ღარიბ გლეხობას ფართოდ განუმარტოთ მინდის აკრეფის კამპანიის უდიდესი მნიშვნელობა მათივე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ხ. მ.

რა აბრკოლებდა მინდის შეგროვებას

სამინდე გამოსაღების აკრეფის შესახებ „ხლებსოიუზი"-ს სამმართველოში ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობეს შემდეგი: წელს ამიერ-კავკასიაში პირველად სწარმოებს სამინდე გამოსაღების აკრეფა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით სულ ამიერ-კავკასიაში სამინდე გამოსაღებიდან უნდა აიკრიფოს ორი მილიონი ფუთი ხორბლეული. ამ რაოდენობიდან საქართველოზე მოდის 600 ათასი ფუთი. უმაღლეს ორგანოების დადგენილების მიხედვით, წისქვილის მფლობელნი ვალდებულია ფუთ ხორბალზე ჩააბარონ ამკრეფ ორგანოებს 2 ნახევარი გირვანქა, ხოლო ფუთ სიმინდსა და ქერზე—4 გირვანქა. ჩასაბარებელ ხორბლის მტკიცე ფასი საშუალოდ განსაზღვრულია 2 მანეთით, სიმინდის 1 მან. 80 კაპ.

1930 წლის პირველ იანვრისათვის გეგმის მიხედვით სამინდე გამოსაღებიდან უნდა აკრეფილიყო ამიერ-კავკასიაში 1.200 ათასი ფუთი, მაგრამ დღემდე, არსებული არაოფიციალური ცნობებით აკრეფილია მხოლოდ 400 ათას ფუთამდე, ხოლო ოფიციალური ცნობებით 308 ათასი ფუთი. კერძოთ საქართველოში სამინდე გამოსაღებიდან შეგროვებულია 100 ათას ფუთამდე.

გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია მთელ რიგ მიზეზებმა, მაგრამ ამათში უმთავრესი მიზეზები შემდეგია: მინდის აკრეფის გეგმის ფაქტიური შესრულებისთვის მუშაობა გაცხოველდა მხოლოდ ამ ორი თვის წინად, მანამდე კი ამ მიმართულებით ძალზე ცოტა იყო გაკეთებული. ამასთან ერთად მინდის აკრეფა არა ნაკლებ დააბრკოლა ადგილობრივი ორგანიზაციების გულგრილობამ და მშრომელ გლეხობაში მინდის გამოსაღების მნიშვნელობის შესახებ სათანადო ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩაუტარებლობამ.

ყველა ამან ძლიერ შეუშალა ხელი მინდის გამოსაღების ნორმის შესრულებას, მაგრამ ამჟამად მიღებულია გადამჭრელი ზომები ყოველგვარი დეფექტების აღმოსაფხვრელად და სამინდე გამოსაღების გეგმის განსახორციელებლად.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დანიშნულებას უნდა მოხმარდეს სამინდე გამოსაღებიდან შეგროვილი ხორბლეული. საოლქო და სამაზრო აღმასკომებს მიცემული აქვთ დირექტივა სამინდე გამოსაღებიდან შეგროვილი ხორბლეული გამოიყენონ ადგილობრივ საჭიროებისათვის და მტკიცე ფასებში მიაწოდონ ის ღარიბ გლეხობას. ეს ფასები განსაზღვრულია შემდეგი რაოდენობით: ფუთი ხორბალი უნდა გაიყიდოს 2 მან. და 29 კაპ.; ხოლო ფუთი სიმინდი 2 მ. და 9 კაპ.

ეს ფაქტი საუკეთესოდ ლაპარაკობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამინდე გამოსაღების აკრეფას თვით მშრომელი გლეხობისათვის და როგორი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა „სოიუზხლებ"-ს რწმუნებულებს ამ საქმის განხორციელებაში.

კულაკები გაურბიან მინდის ჩაბარებას

(ვანის რაიონი)

სახკომსაბჭოს დადგენილებით წისქვილის მეპატრონენი ვალდებულნი არიან საკრედიტო ამხ.-ბას განსაზღვრული ფასებში ჩააბარონ წისქვილებიდან შემოსავალი მინდი, რითაც უნდა შეიქმნეს სარაიონო ფონდი და სათანადო რაოდენობით დაგროვდეს მარცვლეული.

საამისო მუშაობა ადგილებზე მიმდინარეობს, გაცემულია განკარგულება, რომ ფუთ დასაფქვავ სიმინდზე აღებული იქნეს ოთხი გირვანქა სიმინდი. ამის კვალობაზე მეწისქვილეებს შეწერილი აქვთ ჩასაბარებელი სიმინდის წლიური ბეგარა და შეგროვილი სიმინდი ყოველ თვის ბოლოს უნდა შეიტანონ სარაიონო ბეღელში. მიუხედავათ ამისა, მინდის აკრეფა ფაქტიურათ არ სწარმოებს.

წისქვილების უმრავლესობა კულაკების და საბჭოთა ხელისუფლების კლასიური მტრების ხელშია და აქედან აშკარაა, რომ კულაკი მუდამ დაინტერესებულია ჩვენი სამეურნეო გეგმის ჩაშლაში.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ მაგალითს ვანის რაიონიდან. ცნობილია, რომ ვანი სიმინდის მოსავლის რაიონია. იშვიათია ისეთი წელი, რომ აქ საკმაოზე მეტი სიმინდი არ მოვიდეს. მიმდინარე წელს შედგენილი იყო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ვანის რაიონში აკრეფილი მინდიდან უნდა დაგროვილიყო 27.000 ფუთი სიმინდი, ამ გეგმის თუ გადაჭარბებით არა, სავსებით შესრულება მაინც შესაძლო იყო, რომ მთავრობის დადგენილებას სწორი და ურყევი გამტარებელი ყოლოდა ცხოვრებაში. სინამდვილეში დღეს 27.000 ფუთიდან არ არის აკრეფილი არც 1000 ფუთი.

ვინ არის ამაში დამნაშავე? აუცილებლად ადგილობრივი ორგანოები და ის ინსტრუქტორები, რომლებიც ოლქიდან ამ საქმეზე სპეციალურად არიან მომაგრებულნი. უკვე 7 თვეა მეწისქვილეები იღებენ დაწესებულ ნორმას (4 გირვანქას ფუთზე, წინეთ ორი იყო) და ეს შემოსავალი ემატება კულაკების და შეძლებულ გლეხების მეურნეობას. როცა ერთ ერთ კულაკს—დავით ახვლედიანს მიმართეს მინდისათვის, რომელსაც ოთხ თვალიანი მძლავრი წისქვილი აქვს, მან განაცხადა: „მთავრობის დადგენილება ჩემთვის სავალდებულო არ არის, თქვენ რა მოგიციათ, რომ მთხოვთო".

აი საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტრის ცინიკური პასუხი. კულაკის თავხედობა იქამდის მიდის, რომ მას სავალდებულოდ არ მიაჩნია მთავრობის დადგენილების შესრულება. მოულოდნელი არ არის ეს პასუხი ჩვენი კლასიური მოწინააღმდეგის მიერ, მაგრამ კულაკებს ჩვენ უნდა დაუკარგოთ ხალისი აბუჩად აიგდონ უმაღლესი ორგანოების დადგენილება.

ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები და აკრიბონ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის სიმინდი.

ჩ. ჭუღნია.

მუშაობა გაცხოველდა

(კახეთის ოლქი)

კარგა ხანია გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება მინდის აკრეფის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ძალზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

კერძოთ კახეთის ოლქში აგვისტოს შუა რიცხვებამდე ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა. მინდის აკრეფა დავალებული ჰქონდა ზოგიერთ სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს, მაგრამ ეს დავალება ქაღალდზე იყო დარჩენილი.

აგვისტოში „ხლებსოიუზ"-მა კახეთის ოლქში გამოგზავნა თავისი რწმუნებული და ორი ინსტრუქტორი-კონტროლიორი. წისქვილების აღრიცხვა სასწრაფოდ დამთავრდა. სულ კახეთის ოლქში აღრიცხულია 460 წისქვილი. ამ რიცხვიდან 11 მექანიკურია. დადებულ ხელშეკრულებების მიხედვით, ამ წისქვილების მფლობელებმა უნდა გადასცენ „სოიუზხლებ"-ს 150.000 ფუთი ხორბალი.

რწმუნებული შეეცადა წისქვილის მფლობელთათვის გაეადვილებინა პურის ჩაბარება. ამ მიზნით გაფართოებული იქნა მიმღებ წერტების ქსელი. თელავში, ახმეტაში და წნორისწყალზე მოეწყო საკუთარი საწყობები, დადებულ იქნა ხელშეკრულება 6 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან, რომ მათ ეკისრნათ თავიანთ საწყობებში მინდის პურის მიღება.

პირველ ხანებში მეწისქვილეები არ ასრულებდნენ პირობას: არ მოჰქონდათ ხორბლეული დანიშნულ ადგილებზე; მალავდნენ შემოსულ მინდის რაოდენობას და სხვა. ამიტომ „ხლებსოიუზი"-ს რწმუნებულმა მიმღებ პუნქტების გამგეობას დაავალა ისინი თვითონ მისულიყვნენ წისქვილებში. ურჩ მეწისქვილეების წინააღმდეგ, რომელნიც უფრო კულაკურ ელემენტებს წარმოადგენენ, ოლქის აღმასკომის საშუალებით (სათანადო დადგენილება) მიღებული იქნა ზომები სამმაგი რაოდენობით მინდის გამოსართმევად.

ამ ზომებმა გამოიღო ნაყოფი და დაიწყო საწყობებში ხორბლის ჩაბარება. 20 სექტემბრამდე ე. ი. 20 დღის განმავლობაში დღიდან მუშაობის გაცხოველებისა, შეგროვებული იქნა თელავის რაიონში—200 ფუთი, წნორისწყლის—750, ბაკურციხის—800, ლაგოდეხის—500, აფენის—500, დანარჩენებშიც 2.000 ფუთამდე ხორბლეული. ყოველ დღე საწყობებს ემატება პური.

ალაზნელი.

მინდი არ იკრიფება

(ხაშურის რაიონი)

ხაშურის რაიონში სამინდე გადასახადი დიდი ხანია გაწერილია, უკვე გავიდა მინდის ასაკრეფად წინასწარ დაწესებული სამი ვადა და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი გირვანქა ხორბლეული არ შემოსულა.

სახკომსაბჭოს დადგენილება მინდის გადადების შესახებ არ არის გატარებული ცხოვრებაში. მეწისქვილეები განგებ გაურბიან დადგენილების განხორციელებას. გარდა ამისა სახკომსაბჭოს ეს დადგენილება არ გაუცვნიათ მშრომელი გლეხობისათვის და მისი გატარება იწვევს გაუგებრობას.

სრული გაუგებრობაა სამინდე გამოსაღებზე დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილ უწყებებში. მაგ., ქვიშხეთში მცხოვრებ სოლო ქალიაშვილმა წისქვილი გადასცა აღმასკომს და გადასახადის უწყება კი ისევ მას გაუგზავნეს, როდესაც წისქვილის ფაქტიური პატრონი აღმასკომია.

სამინდე გამოსაღების აკრეფის საქმე საფრთხეშია. საჭიროა ზომების დროზე მიღება.

ქ. მ.

განმარტება

24 ნოემბერს ჩვენი გაზეთის (№ 271) ქრონიკაში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა: „ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებით, დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით დასავლეთ საქართველოში წისქვილებში მინდი შემცირებული იქნა შემდეგი სახით: ერთ ცენტნერ ხორბლის დაფქვისათვის გადაიხდიან 2 კილოგრამს, ხოლო ერთ ცენტნერ სიმინდის დაფქვისათვის 3 კილოგრამს".

ამ ცნობასთან დაკავშირებით ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატიდან რედაქციამ მიიღო შემდეგი განმარტება „სათანადო ოქმის შედგენის დროს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა. ეს საკითხი გადასათვალიერებლად შეტანილია ა.-კ. ცაკში. ჩვენ მიერ გათვალისწინებული იყო სამინდე გამოსაღების შემცირება მხოლოდ სიმინდსა და ქერზე 10 კილოგრამის ნაცვლად 7 ნახევარ კილოგრამამდე და არა 3 კილოგრამამდე ცენტნერზე. ამგვარად ზემოხსენებული ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს და საკითხი საქართველოში სამინდე გამოსაღების შემცირების შესახებ დასმულია გადასაწყვეტად ცაკში".

გავაძლიეროთ ანტირელიგიური მუშაობა

15 დეკემბრიდან იწყება „შობის" საწინააღმდეგო კამპანია

საეკლესიო დღესასწაულების მოახლოების გამო, საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

ახლოვდება ეგ. წოდ. შობის დღესასწაული, რომელსაც პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და გააძლიერონ ანტირელიგიური მუშაობა. სამშობო ღონისძიებანი შეტანილი უნდა იქნეს პროფკავშირების კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობაში.

მომავალ ანტიშობაო კამპანიის დროს პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ მომენტებს: რელიგიის უარყოფითი გავლენა კულტურული რევოლუციის წარმატებით განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში, იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების საჭიროება, რათა მუშათა კლასის ზოგიერთი ჩამორჩენილი ფენები რელიგიის გავლენისაგან განთავისუფლდეს, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის გაძლიერება და მისი მუშაობის გაფართოება.

ანტიშობაო კამპანიის ჩასატარებლად კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და წარმოება-დაწესებულებებში გამოყენებული უნდა იქნეს კულტმუშაობის შემდეგი ძირითადი სახეები: ლექციები, მოხსენებები და საუბრები ანტირელიგიურ და სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო თემებზე საოჯახო საღამოები. კითხვა-პასუხის საღამოები იმავე თემებზე, ცოცხალი გაზეთები სათანადო შინაარსით, ანტირელიგიური და კულტურულ-განმანათლებელი კინო-სურათების ჩვენება და სხ.

ანტიშობაო კამპანიის განმავლობაში ძირითადმა პროფუჯრედებმა, მუშათა კლუბებმა, და წითელმა კუთხეებმა უნდა მოაწყონ მასიური ექსკურსიები ადგილობრივ მუზეუმებში და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში (თბილისში—რევოლუციის მუზეუმში, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მუზეუმებში და სხ) ექსკურსიებს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ანტირელიგიური ხასიათი.

გარდა ამისა ცხადდება უღმერთოთა კავშირის ერთთვიური დეკემბრის 15-დან 1930 წ. იანვრის 15-დე, რომელიც მიზნათ ისახავს: გავრცელებული იქნეს ანტირელიგიური ლიტერატურა პროფკავშირების წევრთა შორის, ჩატარდეს ხელისმოწერა გაზეთ „ბეზბოჟნიკზე". შევსებული იქნეს პროფკავშირების ბიბლიოთეკა-სამკითხველოები სათანადო ანტირელიგიური ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით, მოეწყოს სათანადო გამოფენები, ჩაბმული იქნეს პროფკავშირების წევრები უღმერთოთა კავშირის წრეებში, მოეწყოს უღმერთოთა კავშირის ახალი წრეები და უჯრედები, მოეწყოს კლუბებსა და წითელ კუთხეებში უღმერთოთა კუთხეები და სხ. ანტირელიგიურმა მუშაობამ გამოხატულება უნდა ჰპოვოს პროფკავშირების პრაქტიკულ მუშაობაში.

აღნიშნული კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით პროფესიონალურ ორგანიზაციებს ევალებათ ამთავითვე შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას, ფართოდ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ამ საქმის წარმატებასათვის (ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, უღმერთოთა კუთხეები, წრეები, კედლის გაზეთები და სხ.). ანტიშობაო კამპანიის პრაქტიკული ჩატარება დაწყებული უნდა იქნეს დეკემბრის 15-ს და გაგრძელდეს 1930 წლ. იანვრის 25-მდე.

რადგან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები დიდ შედეგებს იძლევა, ამიტომ საქართველოს პროფსაბჭო ანტიშობაო კამპანიის წარმატებით ჩატარების და საერთოდ ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერების მიზნით წინადადებას აძლევს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კლუბებს და წითელ კუთხეებს შემოიღონ სოციალისტური შეჯიბრება საპროფკავშირო ორგანიზაციებს და კლუბებს შორის როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მეზობელ რესპუბლიკების (აზერბეიჯანის და სომხეთის) ორგანიზაციებთან.

კამპანიის დასრულების შემდეგ პროფესიონალურ ორგანიზაციებს ევალებათ არა უგვიანეს 20 თებერვლისა წარმოადგინონ კულტგანყოფილებაში ცნობები კამპანიის შედეგების შესახებ.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ამერიკელი ინჟინრების ერთი ჯგუფი მოემგზავრება მოსკოვში

როგორც აღნიშნული იყო, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტს ადგენს ექვსი სხვადასხვა საზღვარგარეთული ფირმა. მათ შორის ამერიკულმა ფირმამ—„ელექტრობის გენერალური კომპანიის"-მ უკვე დაამთავრა ამ პროექტის შედგენა.

გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში მიღებულ იქნა ცნობა, რომ მოსკოვში მოემგზავრება ამერიკელი ინჟინრების ერთი ჯგუფი, რომელსაც თან მოაქვს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტი. ამერიკელი ინჟინერები პროექტს წარუდგენენ გზათა სახალხო კომისარიატს, სადაც მოხდება მისი განხილვა საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით.

ამერიკელ ინჟინრებს მოსკოვში მოელიან 10 დეკემბრისათვის. ამ დროისათვის მოსკოვში იქნება ამიერ-კავკ. რკინის გზის წარმომადგენლებიც, რომლებიც აგრეთვე მიიღებენ მონაწილეობას პროექტის განხილვაში.

15 მილიონი მან. მელიორაციისათვის

გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეიმუშავა სარწყავ სისტემის გაფართოების გეგმა.

პირველ რიგში ჩატარებულ იქნება არსებული არხების შეკეთება, მათი გაწმენდა, მიღებული იქნება ღონისძიებები არხების დასაცავად და ჰიდრომეტრიულ საგუშაგოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სარწყავი სისტემის და არხების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული იქნება სპეციალური მუშაობა ბორჩალოს რაიონში, ქუთაისში, გორში და კახეთში.

მთავარი ყურადღება მიექცევა ბორჩალოს მებამბეობის რაიონებში მორწყვის გაძლიერების საქმეს.

პირველ რიგში ჩატარდება ხრამ-ალგეთის სამერაბოს რეკონსტრუქცია, გაყვანილი იქნება ახალი სარწყავი მაგისტრალი და პატარა დამხმარე არხები. გაზაფხულიდან ხრამ-ალგეთის სამერაბოსთან მოირწყვება დამატებით 2000 ჰექტარი მიწა.

მთელ საქართველოში 1929-30 წელს სარწყავი სისტემის გასაუმჯობესებლად და არხების რაციონალურ ექსპლოატაციისათვის დაიხარჯება 6.000.000 მანეთი.

ალაზნის არხის სავსებით გაყვანა დაჯდება 9 მილიონი მანეთი. ამ არხს სიგრძე ექნება 82 კილომეტრი და მორწყავს 47.000 ჰექტარს.

თბილის ოლქის ტელეფონიზაცია

თბილისის აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე თბილისის ოლქის ტელეფონიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ე. გავაშელმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ტელეფონიზაციის მნიშვნელობას ოლქში კულტურულ-ეკონომიურ განვითარების საქმეში და სხდომას გააცნო ოლქში ტელეფონის ქსელის გაყვანის 5-წლიანი გეგმა.

გეგმის მიხედვით, უახლოეს 5 წლის განმავლობაში მთელ ოლქში გაყვანილი იქნება ტელეფონის ქსელი, რის შემდეგ რაიონებს საშუალება ექნებათ უშუალო კავშირი იქონიონ როგორც ცენტრთან, ისე ურთიერთ შორის.

თბ. ოლქის ტელეფონიზაციის საქმეზე სულ დაიხარჯება 685.280 მანეთი. აქედან 159.300 მანეთს გაიღებს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი და თბ. აღმასკომი—159.300 მ., გარდა ამისა, ტელეფონიზაციისათვის თბ. აღმასკომი გაიღებს 366.000 მანეთის საჭირო მასალებს.

წელს ტელეფონის ქსელი გაყვანილი იქნება შემდეგი მიმართულებით: თბილისი—საგარეჯო, ბარმაქსიზ-კუშჩი, სარვანი-ლიუქსემბურგი, მცხეთა-ნატახტარი, მაღაროსკარი-შუაფხო. ამ ადგილებში ტელეფონის ქსელის გასაყვანად დაიხარჯება 67.500 მანეთი.

შემდეგ წელს (1930-31 წ.) ტელეფონის ქსელი გაყვანილი იქნება: თიანეთი-ერწო, ყინვალი—მაღაროსკარი, თბილისი-მცხეთა, ლიუქსემბურგი—ატელნის-კაპანახჩი, თიანეთი-ზემო-თიანეთი, თიანეთი—არტანი, მაგლისი — პროუტი, გომბორი — სართიჭალა, საგარეჯო — სართიჭალა, სართიჭალა—ხაშმი, მცხეთა—მუხრანი, ნატახტარი—გალავანი, თბილისი—კოდა, ასურეთი-ალბულაღი, სხო-ახალციხე, ბაშკიჩეთი—დმანისი, სარვან—ოფრეთი, ლიუქსემბურგ—იმირასანი—კვეში, თბილისი—მანგლისი, მაგლის—ბეშთაშენი, წავკისი—ასურეთი.

აღნიშნულ მიმართულებით ტელეფონის ქსელის გასაყვანად დაიხარჯება 220.000 მანეთი, დანარჩენ ადგილებში ტელეფონის გასაყვანად 1931-32 წელს 270.000 მ. და 1932-33 წელს—129.300 მანეთი.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა და სათანადო ორგანიზაციებს დაავალა დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას.

საქ. პროფსაბჭოში

პროფორგანიზაციების წმენდა გადადებულია

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს პროფესიონალური ორგანიზაციების წმენდის ვადა გადადებულია 1930 წლის 1-ლ იანვრამდე.

რადიო სოფლად

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სამთო-მადნო მუშათა პროფკავშირმა გადასდეს 926 მანეთი სოფ. მექვენაში (ქუთ. ოლქი), ანასეულში (ოზურგ. მაზრა) და შრომაში ხმა-მაღლა მოლაპარაკე რადიო-აპარატების მოსაწყობათ.

მრეწველობის კონიუნქტურული მიმოხილვა

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება 1928-29 წლის განმავლობაში საქ. მრეწველობის კონიუნქტურის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ განვლილი საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობას მოუცია 40.872.000 მანეთის საერთო პროდუქცია გარდა მარგანეცის მრეწველობის პროდუქციის ღირებულებისა. წინა წელს, ე. ი. 1927-28 წელს, კი მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა 28.139.000 მანეთს.

გასულ საბიუჯეტო წელს მრეწველობისათვის შემუშავებული პროგრამა შესრულებულია 4,4 პროცენტის გადამეტებით.

მოხსენების გარშემო პროფსაბჭომ მიიღო პრაქტიკული ხასიათის რეზოლიუცია.

სამეცნიერო ნივთების შემოზიდვის უფლება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, საზღვარგარეთიდან წიგნების და ინსტრუმენტების შემოტანის უფლება საქართველოში ეძლევა შემდეგ ორგანიზაციებს: გეოლოგიურ ინსტიტუტს, ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტს, საქართველოს ექსპერიმენტალურ აგრონომიის ინსტიტუტს, სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტს, დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ინსტიტუტს, სანიტარია-ჰიგიენის ინსტიტუტს, ამიერ-კავკ. ნაგებობათა ინსტიტუტს, საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტს, ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს, საქართველოს წიგნთა პალატას, თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის სადგურებს, ოზურგეთის ჩაის საცდელ სადგურებს, შრომისა და ჰიგიენის ლაბორატორიას, ტყავტრესტის ლაბორატორიას, ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს, ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტს, ექსპერიმენტალურ ვეტერინარიის ინსტიტუტს, პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტს, თვალის სნეულებათა ინსტიტუტს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქიმიურ ლაბორატორიას, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს, სოხუმის ტროპიკულ ინსტიტუტს და სოხუმის ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტს.

ახალი საბავშო ბაღები

განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა ნება დართოს გაიხსნას საბავშო ბაღები.

ბაღების ან ცალკე ჯგუფების გახსნის ნება მიეცემათ მხოლოდ საზოგადოებრივ, კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებს და იმ მოქალაქეთ ცალკე ჯგუფებს, რომელნიც საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ.

ბაღების გახსნის ნებართვებს იძლევიან განათლების კომისარიატის ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

პედაგოგიურ და საერთო ხელმძღვანელობას ბაღებს გაუწევენ სოციალურ აღზრდის დაწესებულებები.

საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა მათ მიერ გახსნილ საბავშო ბაღების ხარჯები, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ანგარიშის მიხედვით, უნდა შეიტანონ განათლების ორგანოებში, რომლებიც დანიშნულებისამებრ ამ თანხებს მოახმარენ საბავშო ბაღებს.

მოქალაქეთა ცალკე ჯგუფების მიერ გახსნილ საბავშო ბაღების და ჯგუფების ხელმძღვანელები ვალდებული არიან საბავშო ბაღის, ან ჯგუფის შემოსავალ-გასავლის დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინონ შესამოწმებლად სახ. განათლების ორგანოებს განსაზღვრულ ვადებში.

ახლად გახსნილი ყველა ბაღი და ჯგუფი შედის სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა საერთო ქსელში.

უნდა მოვემზადოთ 29--30 წლის სააღმშენებლო სეზონისათვის

დირექტივები არ შეუსრულებიათ

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის და მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა არაჩვეულებრივი ზრდის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სააღმშენებლო წარმოება. მაგრამ დაინტერესებული ორგანიზაციები მას საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. თუ ავიღებთ, მაგ., 1929 წლის სააღმშენებლო სეზონს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად მთელ რიგ ამომწურავ და თავის დროზე მოწოდებულ დირექტივებისა სააღმშენებლო სეზონის მომზადების და მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების შესახებ უმრავლეს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ეს დირექტივები შესრულებული არ არის და 29 წლის სააღმშენებლო სეზონი მოუწყობლად და სტიქიურად ჩატარდა.

გაძვირება გაიაფების მაგივრად

მშენებლობის ღირებულების შემცირების მხრივ ამ სეზონში ერთგვარი მიღწევები გვაქვს მხოლოდ პროექტების შედგენის ნაწილში: შემცირება აქ უდრის 6 პროც. (ნაცვლად 8 პროცენტისა), რაც შეეხება 7 პროც. წარმოების რაციონალიზაციის და მასალების გაიაფების ანგარიშზე მშენებლობის თვითღირებულების დაკლებას 7 პროცენტით, ამ დარგში არ შეიძლება მოველოდეთ დადებით შედეგებს.

ასეთი დასკვნა დასტურდება შემდეგით: ავიღოთ, მაგ. თუ როგორ სწარმოებდა სააღმშენებლო მასალების თვითღირებულების „შემცირება" გზატკეცილების სამმართველოში: 27—28 წ. კუბომეტრ ქვის დამზადება ჯდებოდა 2 მან. და 78 კაპ., 28—29 წ. 2 მან. და 92 კაპ.; კუბომეტრ ქვის დამტვრევა 27—28 წ. ჯდებოდა 2 მან. 23 კაპ.; 28—29 წ. 2მან. და 26 კაპ.; მრგვალი ხე-ტყე კუბომეტრი 27—28 წ. ჯდებოდა 49 მან. 20 კაპ.; 28—29 წელში—55 მან. და 45 კაპ.; დახერხილი ხე-ტყე 27—28 წ. ჯდებოდა 75 მან. 42 კაპ.; 28—29 წელში—76 მან., კირი 27—28 წელში ღირდა 85 კაპ., 28—29 წ. 70 კაპ.; ქვიშა—საჟენი 27—28 წ. ღირდა 85 მან., ამჟამად კი ღირს 70,80 და 100 მან. (ბინათ-კავშირის ხაზით); კუბო-საჟენი ქვიშა ღირდა 27—28 წ. 40 მან., 28—29 წ. კი ჯდება 120 მან. და მეტი (გაძვირება 400 პროც. უდრის!); აგურის მოსაზიდავად 27—28 წ. იხდიდნენ 10 მან., წელს კი—20 მან., იყო შემთხვევები 30—40 მანეთის გადახდისაც (აგურის ქარხნების სამმართველო).

ამრიგად, გაიაფების მაგივრად ჩვენ საქმე გვაქვს მშენებლობის საგრძნობ გაძვირებასთან.

სააღმშენებლო მასალის გაძვირების მთავარ ელემენტს წარმოადგენს ტრანსპორტი. დღემდე არ არის დაარსებული სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაცია, რაც საჭიროა სააღმშენებლო მასალების გადატან-გადმოტანისათვის; ეს საქმე მთლიანად კერძო პირების ხელშია.

პარალელიზმი სააღმშენებლო მუშაობაში

კასპის ცემენტის ქარხანას აშენებს სამი სააღმშენებლო ორგანიზაცია: მოსკოვის სააღმშენებლო ორგანიზაციას გადაცემული აქვს შენობების და ფარდულების აშენება; ამ ორგანიზაციას ჰყავს თავის დირექტორი, ორი იურის-კონსულტი, მთავარი ინჟენერი და მისი მოადგილე. მოსკოვის ორგანიზაცია სდებს ხელშეკრულებას „ახალმშენ"-თან და სცემს შენობებს უკანასკნელზე მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

ბატონ-პატრონად ს.მ.უ.ს-იც ითვლება. ამგვარად კასპის ცემენტის ქარხნის შენებაზე ჩვენ სამი სააღმშენებლო კანტორა გვაქვს, რომელთა ტექნიკურ აპარატის შენახვა ჯდება: მოსკოვის კანტორის—105 ათასი მანეთი, „ახალმშენ"-ის—74 ათ. მანეთი და საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოსი—6.500 მანეთი წელიწადში. ერთ შენობას თვალყურს ადევნებს სამი ორგანიზაცია, რომლებზედაც იხარჯება 186.800 მან. გარდა ამისა, თბილისში შენდება ტრამვაელთა სახლები, მუშაობას აწარმოებს „ახალმშენი" და თბილისის აღმასკომი, და ორივე ამ ორგანიზაციას ჰყავს თავისი დამოუკიდებელი ტექნიკური აპარატი.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში, ყოვლად შეუძლებელია მშენებლობის გაიაფებაზე ლაპარაკი.

როგორ მზადდებოდა მშენებლობა 28—29 წლისათვის?

სეზონის მომზადება უმზგავსოდ წარმოებდა. სააღმშენებლო ორგანიზაციებს თავის დროზე არ მოუთხოვიათ მუშა-ხელი და სააღმშენებლო მასალები, რის გამო სათანადო ორგანოებს საშუალება არ ჰქონდა მომზადებისა და მშენებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგ. „ახალმშენ"-მა 29 წლის მშენებლობის შეკვეთა მიიღო მხოლოდ ივლისის დამლევში, ე. ი. ორი თვით ადრე მშენებლობის სეზონის დამთავრებამდე. აქედან ცხადია, რომ „ახალმშენ"-ი ვერ შესძლებდა მშენებლობის დაძლევას და, მართლაც, ვერ შესძლო თავის დროზე პროექტების შედგენა, სამუშაოთა ნახაზების დამუშავება და სააღმშენებლო მასალებით მომარაგება. მშენებლობა ნაწილობრივ ჩაიშალა და მიმდინარეობდა არაორგანიზაციულად.

მშენებლობის პროექტების შედგენა წელს ხდებოდა დიდი დაგვიანებით, რამაც შეაფერხა მშენებლობის თავის დროზე გაშლა. მუშგლეხინის მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მთავრობის დირექტივა პროექტების წარმოდგენის ნაწილში ბევრ სააღმშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული არ არის. მაგ., თბილისის აღმასკომის ტროპოლოგიურ ინსტიტუტის შენობის პროექტი ყველაზე დაგვიანებით იქნა შედგენილი; საკურორტო სამმართველოს სასტუმროს შენობის პროექტი ბორჯომში წარდგენილ იქნა აგვისტოში; ხაშურის და გურჯაანის აგურის ქარხნების პროექტი დაგვიანდა და წარდგენილ იქნა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადის შემდეგ. გარდა ამისა ჭიათურის ელსადგურის, ტყიბულის წყალსადენის, კარდანახის სარდაფის, საქართველოს ზეთის სახდელ და ყველის სახარშ ქარხნების და სხვ. პროექტები წარდგენილ იქნა დაწესებულ ვადების შემდეგ.

როგორ ხდებოდა პროექტები? ამის ნათელსაყოფად საკმარისია ორიოდე მაგალითის მოყვანა: საავადმყოფოს 122 ოთახიდან, რომელიც ამჟამად თბილისში შენდება, მხოლოდ ორი ოთახი გამოდგა წესიერად აშენებული, დანარჩენი 120 კი არა. ავლაბარში შენდება თეატრი, რომლის პროექტი დამტკიცებული იქნა მხოლოდ 7 თვის შენების შემდეგ; მოედანი კი დაგებულია და მასალები მოზიდული, როცა დაიწყეს თეატრის შენება, ამ მოედანზე საჭირო შეიქნა შენობის ქუჩაზე გადმოტანა—2 მეტრის სივრცეზე. ამის შემდეგ, მხოლოდ 13 თვის განმავლობაში გახდა შესაძლებელი მისი დამტკიცება, რომ ამ მოედანზე თეატრი არ დაეტევოდა.

29—30 სამეურნეო წლის სააღმშენებლო სეზონი

მშენებელთა პროფკავშირმა მოახდინა აღნიშნულ სეზონისათვის მზადების ზერელე გამოკვლევა და მოისმინა სამეურნეო ორგანოების მოხსენებები სპეციალურად მოწვეულ რესპუბლიკანურ სატარიფო-საეკონომიო თათბირზე, 18 სააღმშენებლო ორგანიზაციის და საქართველოს სააღმშენებლო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. საქართველოს სააღმშენებლო კომიტეტის, „ახალმშენ"-ის, ბინათ-კავშირის, საკურორტო სამმართველოს, გზა-ტკეცილების სამმართველოს და სხვების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ არც ერთ ორგანიზაციას, გარდა საქართველოს სახმშენმრეწვისა, 29—30 წლის სააღმშენებლო სეზონის მომზადება არ უწარმოებიათ. არ არის განაცხადი მშენებლობის მწარმოებელ ორგანიზაციებისა, არ არის პროექტები, არ არის სამუშაოთა ნახაზები, არ არის გამოკვლეული საჭირო მუშა-ხელის რაოდენობა, არც ერთ ორგანიზაციას არ უზრუნვია 29 წლისათვის კვალიფიციურ მუშა-ხელის დამაგრებაზე, არ არის მომზადება სააღმშენებლო მასალების მოსამარაგებლად. ქაღალდზე დარჩა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დირექტივა, რომ სააღმშენებლო ორგანიზაციებმა პროექტების შედგენა დაამთავრონ არა უგვიანეს ა.-წლის პირველ დეკემბრისა, იმ ანგარიშით, რომ დამტკიცდეს ასეთები არა უგვიანეს 15 დეკემბრისა და სამი დღის შემდეგ გაიგზავნოს შესათანხმებლად საკონტროლო ორგანოებში.

მშენებლობის ნაკლოვანებათა მიზეზები

ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა იხაა, რომ არც ერთ ორგანიზაციას არა აქვს განსაზღვრული და საბოლოო ბიუჯეტი. წარსული წლების გამოცდილების მიხედვით, როცა ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები იკვეცებოდა ცენტრში 50-დან 70 პროცენტამდე, სამეურნეო ორგანიზაციები ვერ ჰკიდებდნენ ხელს პროექტების შედგენას იმის შიშით, რომ ვერ შესძლებდნენ მათ განხორციელებას, ამიტომ ისინი უცდიდნენ ცენტრიდან საბოლოო ბიუჯეტის მიღებას.

თუ ავიღებთ წარსულ სამეურნეო წელს, ჩვენ დავინახავთ, რომ სააღმშენებლო ორგანიზაციები ფულის მოთხოვნას თავის დროზე ადგენდნენ, ამ მოთხოვნებს სათანადო ორგანოები ამტკიცებდნენ, თანახმად დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვისა, სდგებოდა პროექტები, მაგრამ როცა საჭირო იყო მშენებლობის დაწყება ცენტრიდან იღებდნენ შეკვეცილ ბიუჯეტს, რომელიც სრულებით არ შეეფარდებოდა აქ მიღებულ პროექტებს. ამის შემდეგ აუცილებელი ხდებოდა სააღმშენებლო გეგმის და მიღებულ პროექტების მეტი ნაწილის შეცვლა, რაც თავდებოდა მხოლოდ სააღმშენებლო სეზონის დასასრულს (ნატახტარის წყალსადენი).

სააღმშენებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ბიუჯეტის თავის დროზე დამტკიცებისა; მათი უმეტესობა მოსკოვში მტკიცდებოდა მხოლოდ მაისში, რის შემდეგ ერთი თვე უნდებოდა თბილისამდე მოღწევას. საკურორტო სამმართველოს წელს საკონტროლო ციფრებით უნდა ჰქონოდა სამი მილიონი მანეთი, დაამტკიცეს მხოლოდ 700 ათასი მანეთი და ისიც არასაბოლოოდ. (საკურორტო სამმართველოს წარმომადგენლის განცხადება).

მეორე მიზეზი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენდა 29—30 წ. სააღმშენებლო სეზონის გახსნაზე, არის მთავრობის დირექტივების შეუსრულებლობა ფინსახკომის ორგანოების მიერ სავალდებულო მინიმუმის გაცემის შესახებ სააღმშენებლო ორგანიზაციებზე, ე. ი. გაუცემლობა იმ თანხების—85 პროცენტისა, რაც გათვალისწინებულია მშენებლობის წლიურ გეგმით 30 წლისათვის. გარდა ამისა, სერიოზულ შემაფერხებელ გარემოებად მრავალი წლის მშენებლობის სეზონის მომზადებისათვის უნდა ჩაითვალოს არამტკიცე ფინანსიური ბაზა და სააღმშენებლო ორგანიზაციებში საბრუნავ თანხების უქონლობა („ახალმშენი" და საქ. სახმშენმრეწვი). ამ ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შესძლეს მთავრობის დირექტივების შესრულება, რომელიც წინადადებას აძლევს საფინანსო ორგანოებს უზრუნველჰყონ მთელი მშენებლობის ღირებულების 10 პროც., რის გამო მათ საშუალება არა აქვთ გაშალონ სააღმშენებლო საქმე და დააყენონ იგი სათანადო დონეზე.

უკანასკნელი მომენტი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სააღმშენებლო საქმეზე, არის ის, რომ სააღმშენებლო ორგანოები მიღებულ თანხებს არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯავენ. იყო შემთხვევები, როცა მშენებლობისათვის გაღებული თანხები საუწყებათაშორისო ორგანოების მიერ იხარჯებოდა სხვა საჭიროებებზე. „ახალმშენ"-ს ერგება მთელ რიგ ორგანიზაციებიდან შესრულებულ სამუშაოებისათვის ორასი ათასი მანეთამდე, რისი აღება მან ვერავითარი გზით ვერ შესძლო და რის გამო ფერხდება მისი გეგმიანი მუშაობა.

მუშათა მასების მონაწილეობის გარეშე

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მიღებული გვაქვს ჩვენ გამოკვლევის შემდეგ, შეიძლება განვაცხადოთ, რომ სამრეწველო-ფინანსიური გეგმები არ შუქდებოდა აღმშენებელთა ფართო მასებს შორის, გეგმები სდგებოდა და ტარდებოდა ცხოვრებაში მუშათა მასის აქტივობის და შემოქმედებითი ძალების მობილიზაციის გარეშე. ფაბრიკების, ქარხნების, სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელ ბინების და სხვ. აღმშენებელ მუშებმა არ იციან თუ რას აშენებენ ისინი და ვისთვის. სამართლიანი არის აღმშენებელთა განცხადება, რომ ისინი არ არიან გაცნობილი ყველა ამას. ისინი ამბობენ, რომ ჩვენი აზრი ადმინისტრაციისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ჩვენ თვით მივმართეთ ადმინისტრაციას, რათა მან მოეწვია საწარმოო თათბირი აღმშენებლობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხების განსახილველად, მაგრამ ადმინისტრაცია უარს ამბობს და გვიპასუხებს: არ გვცალია ისეთი წვრილმანი რამეებისათვის, როგორიცაა საწარმოო თათბირი და ამის წინააღმდეგ კავშირი ზომებს არ იღებს,—აი მუშათა განცხადებები ბათომის, სოხუმის, გუდაუთის და თბილისის ორგანიზაციების გამოკვლევის დროს. ამრიგად, პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა, როგორც ჩანს, სავალდებულო არ ყოფილა ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებისათვის. მუშათა წინადადებები უშედეგოდ რჩება და ამას საკავშირო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ყველა ეს ნაკლი აღნიშნულ იქნა თათბირის დელეგატების მიერ, რომლებმაც, გარდა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ აღნიშნულ მომენტებისა, აღმოაჩინეს მთელი რიგი უმსგავსოებანი, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთში, აჭარისტანში, ქუთაისში, გორში და სხვ.

რესპუბლიკანურმა თათბირმა აღნიშნა და დაადასტურა, რომ 30 წლის სააღმშენებლო სეზონისათვის მომზადება არ სწარმოებდა, ხოლო 28—29 სეზონში მშენებლობა სტიქიურად სწარმოებდა და რომ არ ყოფილა შესრულებული დირექტივა მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ნაწილში და სხ.

ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად

თათბირმა მშენებლობის მომზადების შეფასებასთან ერთად, დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ 29—30 წლის სააღმშენებლო გეგმის შეუფერხებლად შესრულებას. აი ეს ღონისძიებანი:

1. უზრუნველყოფილ იქნას სააღმშენებლო ორგანიზაციები 85 პროცენტიან მინიმუმით, რაც მათ საშუალებას მისცემს მშენებლობის გეგმიან ვარაუდის დასახვის და შედგენისათვის. 2. საქმრეწვშენი და „ახალმშენი", რომლებიც ამჟამად მუშაობას აწარმოებენ საბრუნავ თანხების უქონლობის პირობებში, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნან საბრუნავი თანხებით მოსამზადებელი მუშაობის დასაწყებად და მთავრობის დირექტივის განსახორციელებლად 30 წლის მშენებლობის ღირებულების 10 პროცენტის გაღების ნაწილში. 3. მშენებლობისათვის გაღებული თანხები არავითარ შემთხვევაში არ იხარჯებოდეს არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ და ამაში დამნაშავეებმა უნდა აგონ სათანადო პასუხი; ამ მხრივ საკონტროლო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი მუშაობა. 4. სამეურნეო ორგანოებმა დაამთავრონ პროექტების შედგენა, გატარება და დამტკიცება იმ ანგარიშით, რომ 30 წლისათვის დასახული მშენებლობის პროექტები მოთავებული იქნას არა უგვიანეს 30 წლის პირველ იანვრისა. არ იქნას დაშვებული პროექტების კაბინეტურად შედგენა; შედგენილი გეგმები გამოტანილი იქნას მუშა აღმშენებელთა ფართო მასების განსახილველად, გამოყენებულ იქნას მუშების წინადადებები, აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა. ამავე დროს საჭიროა გეგმების შედგენაში ჩაბმულ იქნან ინჟ.-ტეხ. ძალები. 5. სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების უქონლობა ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან მარაგის გადაზიდვის საქმე მთლიანად კერძო პირების ხელშია, რისთვისაც ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა გაიღონ სათანადო თანხები სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების დასაარსებლად. 6. ყველა სააღმშენებლო ორგანიზაციებმა ამ თავითვე უნდა დაიმაგრონ მომავალი წლისათვის აუცილებელი კვალიფიციური მუშა-ხელი; ამავე დროს სამეურნეო ორგანოებმა უნდა დასდვან შრომსახკომის ორგანოებთან, არა უგვიანეს 15 თებერვლისა ხელშეკრულებები აუცილებელ მუშა-ხელის მოწოდების შესახებ. 7. ვინაიდან ტეხნიკური პერსონალის ხარისხობრივი შემადგენლობა და შერჩევა წარმოადგენს მშენებლობის წარმატებით ჩატარების ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, სამეურნეო ორგანოებმა უნდა მიაქციონ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება და უზრუნველჰყონ მშენებლობა აუცილებელი კადრით, ინჟ. ტეხნ. ძალების ახალი კადრების ჩაბმის გზით და ი.ტ.ს. აქტიური მონაწილეობით. 8. მშენებლობის წარმატებით ჩატარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს მისი უზრუნველყოფა სააღმშენებლო მასალებით, მიუხედავად ამისა ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სააღმშენებლო საქმეზე.

ჩვენ ვაყენებთ ისეთი ორგანიზაციის მოწყობის საკითხს,—როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, რომელმაც ხელი უნდა მოჰკიდოს სააღმშენებლო მასალების დამზადებას, ვინაიდან დღემდე არსებული მდგომარეობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველჰყოფს დადებით შედეგებს და მნიშვნელოვნად გააძვირებს მთელ მშენებლობას. 9. ანგარიშთწარმოების მუშაკთა კადრის უქონლობის გამო, ანგარიშიანობა მშენებლობაში ორივე ფეხით მოიკოჭლებს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი მაგალითები, საკმაოა გადავათვალიეროთ „ახალმშენი"-ს და საქსახმრეწვშენ"-ის ანგარიშიანობა, რომ დავრწმუნდეთ ამ მხრივ საქმის ცუდ მდგომარეობაში. საჭიროა ახლავე იქნას დაწყებული ანგარიშწარმოების მუშაკთა მომზადება და გადამზადება სპეციალურ კურსების შექმნის გზით. 10. რაციონალიზაციის, ტიპიზაციის და სტანდარტიზაციის საკითხებს პროექტების შედგენის დროს დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რისთვისაც ჩვენ მოვითხოვთ სასწრაფოდ იქნას განხორციელებული ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივა საპროექტო ბიუროს მოწყობის შესახებ უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან. 11. მშენებლობის ყველა საკითხების გასაშუქებლად და 30 წლის სეზონის მოსამზადებლად ჩვენ მოვითხოვთ სრულიად საქართველოს სააღმშენებლო ორგანიზაციების თათბირის მოწვევას აღმშენებელთა კავშირის მონაწილეობით, როგორც ცენტრიდან, ისე ადგილებიდანაც.

მუშგლეხინის მიერ წარმოებულ გამოკვლევამ მშენებლობის თვითღირებულების შემცირების შესახებ (კავშირის ც. გ. ინიციატივით) უნდა მიიპყროს საკავშირო საზოგადოების ყურადღება; ამ გამოკვლევაში აღმშენებელთა ფართო მასები უნდა იქნან ჩაბმული. 12. მშენებელ მუშათა საკავშირო ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ სააღმშენებლო სეზონის მომზადების გამოკვლევას ადგილებზე მშენებელთა მასის ყურადღების მიპყრობით ამ საქმისადმი.

აი,—დაახლოებით ყველა ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა მომავალ სააღმშენებლო წლისათვის მოსამზადებლად და 30 წლის სოციალისტურ მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

ნ. ღლონტი.

საბჭოთა სოფლებს ასეთი სახელწოდება არ შეეფერის

სოფლის რაიონებისა და ქალაქების სახელწოდებათა დიდმა ნაწილმა დროთა განმავლობაში დაკარგა ყოველივე შინაარსი. მიუხედავად ამისა, გაუგებარი და თანამედროვე ეპოქისათვის შეუფერებელი სახელები დღემდე ხმარებაში არიან და ამ ნიადაგზე მრავალ კურიოზსაც აქვს ადგილი. შევეხოთ თუ გნებავთ, სოფლის უჯრედს: უკანასკნელნი ატარებენ იმ სოფლების სახელწოდებებს, რომელშიაც ისინი არსებობენ. ზოგიერთი სოფლებს კი სარწმუნოებრივი ან და გაბატონებულ გვარეულობის სახელწოდებები აქვთ. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში არის უჯრედები: „ამაღლების", „სამების", ფაკე-ჯვრის", „ნათლისმცემლის", მიქელ-გაბრიელის", „ჯვარცმის", მთავარ მოწამის" ზუგდიდის მაზრაში: გულის-კარის-ჯვარის, სენაკის მაზრაში—„ბეთლემის", „ლეხანდრის", საკაჭარავოს", „ნაესაკავოს", „სანოდიოს", „სახოშტარიოს", და „სამიქაოს", ქუთაისის ოლქში: „საწირის", „გელათის", „დვალიშვილების", „საპაიჭაძეოს"; კახეთის მაზრაში— „ეშმაკის ყურის" და სხ.

ზემოაღნიშნულ სოფლების სახელწოდებათა შეცვლის საკითხი დიდი ხანია აღმართულ იქნა ჟურნალ „სოფლის კომუნისტში", მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ არ გადადგმულა.

თუ ისეთი დიდი ისტორიული ქალაქის სახელწოდება, როგორც ლენინგრადია, სამჯერ შეიცვალა, ჩვენ უფლება გვაქვს დავსვათ საკითხი იმ ადგილების სახელების გამოცვლის შესახებ, რომელთა დღევანდელი სახელწოდება სრულიად არ შეეფერება საბჭოთა სოფელს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა 1925 წელში გამოსცა წიგნი ს. ს. ს. რ. ადმინისტრატიულ დაყოფის შესახებ, სადაც ჩამოთვლილია ყველა თემები და სოფლები. ამ წიგნში შეხვდებით აუარებელ რელიგიურ და ფეოდალურ სახელწოდებებს. ჩვენ ვასახელებთ ასეთ სოფლებს ოლქებისა და მაზრების მიხედვით და ვფიქრობთ მათ შესაფერ ყურადღებას მიაქცევს სათანადო ორგანო.

ახალქალაქის მაზრაში არის სოფლები: ტაძრისი, გიორგი-წმინდა, ელია-წმინდა, მიქელწმინდა, წყურთა ჯვარი,ანდრია-ჯვარი;

გორის ოლქში: წითელი საყდარი, (ეს „წითელი" ალბად ახალი მიმატებულია, მაგრამ „საყდარს" არც სიწითლე უხდება) ღვთის მშობელი, ციხის ჯვარი, წითელ საყდარი (მეორე), მცხეთის ჯვარი, ძაძ-მონასტერი, ძლევის-ჯვარი, მეჯვრის ხევი, [illegible] ჯვარი, პატარა გარე ჯვარი, თიღვამწმინდა, უფლის ციხე, დიდი [illegible] ჯვარი, პატარა [illegible] ჯვარი, [illegible], დიდი ჯვრები, პატარა ჯვრები.

ყოფ. დუშეთის მაზრაში: მჭადის ჯვარი, ჯვარი წმინდა, გიორგი წმინდა, ამილახვარიანთკარი, შალიკაანთკარი და სხვ.

კახეთის ოლქში: აღდგომა, ჯვარბოსელი,

თბილისის ოლქში: საყდრიონი, გიორგი წმინდა, ნინოწმინდა, მარიამჯვარი, სამადლო;

ზუგდიდის მაზრაში—ალავერდის კარი;

ოზურგეთის მაზრაში: მიქელგაბრიელი, ახალ-საყდარი, ვაკე-ჯვარი, ქვემო ვაკე ჯვარი, ფიჩხის ჯვარი, ჯვარცმა, შუა ამაღლება, სამება, ამაღლება, ქვემო ამაღლება, ზემო-ამაღლება, მთავარ მოწამე;

ქუთაისის ოლქში: ჯვარისა, მიქარწმინდა, კვირიკეწმინდა, ნიკორ-წმინდა, მამაწმინდა, ამაღლება, დედალვთისა, დვალიშვილები, სოლომინაო, მცხეთა, საყდარი, ჯვარეწირი, მირონ-წმინდა, ივანწმინდა, ხევის ჯვარი, ალავერდი, დარბაიძეები, თაბაგარები, კენჭაშვილები, კაპანაძეები, სისვაძეები, გოგოლაშვილები,—მაჭარაშვილები;

სენაკის მაზრაში: საბოკუჩაო, საგვაზაო, საკაჭარაო, სესაკიო, სახოშტარიო, საგამსახურდიო, სასარიო, საგვარამიო, სალომიო, საგრიგოლიო, საკალანდარიშვილო, საგვიჩიო, სალემიჩაო, საჯოჯიო, საგუგუნავო, სადადიანო, საჩიქობაო, საადამიო, საწულეისკირიო, საელიავო, სახარებავო, საგეგეჭკორო.

ასეთივე მდგომარეობაა აჭარისტანშიაც, სადაც 289 სოფლიდან 52—(18 პროც.) ატარებს საგვარეულო სახელწოდებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ შეუფერებელ სახელწოდებიან სოფლების რიცხვი საქართველოში დიდია. ამ მოვლენას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში არ მიქცევია ყურადღება. ჩვენ ვიმყოფებით სოფლის სამეურნეო და კულტურულ გარდაქმნის პერიოდში, რომელიც ითხოვს სასტიკ ბრძოლას ყოველგვარ მავნე ნაშთებთან, სწორედ ამიტომ ეს დავიწყებული საკითხიც უნდა იქნეს მოგვარებული სათანადო ორგანოების მიერ. ამ საკითხის დასმა განსაკუთრებით დროული და მიზანშეწონილია ამჟამად, როდესაც უკვე ჩატარდა საქართველოს ახალი დარაიონება. საჭიროა გადაისინჯოს ასეთი სოფლების სახელწოდება და ადგილობრივი ორგანოების (საბჭო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა). ინიციატივით მოხდეს მათი შეცვლა.

დ. გლაგიძე.

აფხაზეთი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თამბაქოს კონტრაქტაცია

სოხუმი, 4 დეკემბერი. აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა შეიმუშავა 1930 წლის კონტრაქტაციის გეგმა, რომლის მიხედვით კონტრაქტაცია უნდა შეეხოს 17.000 ჰექტარ მიწას. წელს ჰექტარ მიწაზე გაცემული ავანსის რაოდენობა მიყვანილი იქნება 800 მანეთამდე.

თვითეული სასოფლო ამხანაგობასთან მიმაგრებული იქნება განსაკუთრებული აგროტეხნიკოსი.

საკონტრაქტაციო კამპანია დაიწყება 15 დეკემბერს და უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 აპრილისა.

„კოდორის მშენებლობა"

სოხუმი, 4 დეკემბერი. „კოდორის მშენებლობისათვის" საჭირო ყველა წინასწარი სამუშაოები უკვე დამთავრებულია.

სდგამენ კონვეიერებს და ხე-ტყის სახერხ ჩარჩოებს. შენდება ფარდული დასახერხი მასალების დასაწყობად. ფარდულმა უნდა დაიტიოს 40 ვაგონი მასალა.

ქარხნისა და ყველა მისი განყოფილებების აგება უკვე 85 პროცენტით არის დამთავრებული.

მომარაგებულია ნედლეულის სახით 40.000 ცალი ხე. ეს ნედლეული საკმარისი იქნება 270 დღის განუწყვეტელი მუშაობისათვის. ნედლეულის მომარაგება გრძელდება.

ქარხანა უნდა ამუშავდეს 15 იანვრიდან.

რა უშლის ხელს კოლექტივიზაციას

სოხუმი, 4 დეკემბერი. რადგან უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის სოფლის კოლექტივიზაციის ზრდის საქმეში დიდი გარდატეხა მოხდა, ამიტომ თამბაქოს მოედნის კოლექტივიზაციის 1930 წლის საკონტროლო ციფრი 7-დან 18,5 პროცენტამდე, ე. ი. 2830 ჰექტარამდე შეიძლება ავიდეს.

ადგილებიდან მოდის ცნობა, რომ ათობით იქმნება თამბაქოს ახალი კოლექტივები.

არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ახალი კოლექტივებისათვის არ იკმარებს ინსტრუქტორებისა და აგრონომების არსებული კადრი.

კოლექტივიზაციისაკენ მასიური მისწრაფება, რომელსაც რაიონებში აქვს ადგილი, შეიძლება შესუსტდეს, თუ არ მოგვარდება და არ გაძლიერდება ძველი და ახალი კოლექტივებისათვის საჭირო სამსახურის გაწევის საქმე.

ცაკის და სახკომსაბჭოს მუშაობის ახალი წესი

სოხუმი, 4 დეკემბერი. საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დაადგინა: აფხაზეთის უზენაესი საბჭოთა ორგანოების აპარატის გამარტივების, შემცირების და მშრომელ მასებთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით, მოხდეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს რეორგანიზაცია მათი ერთ ორგანოში გაერთიანების გზით.

ამ რეორგანიზაციის დროს არ უნდა შეილახოს აფხაზეთის კონსტიტუცია და ეროვნული მიღწევები და ხელუხლებელი უნდა დარჩეს სახალხო კომისარიატები. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი არსებითად უნდა შესდგებოდეს იმავე სახალხო კომისრებისაგან.

ნ. ფერუბა.

ქუთაისის ოლქში

საოლქო საფინანსო განყ. წმენდის შედეგები

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ოლქის საოლქო საფ. განყოფილების აპარატის წმენდა დამთავრდა. მოხსნილია სამსახურიდან 21 თანამშრომელი, 7-ს გამოეცხადა საყვედური; მოხსნილთა შორის არიან შემდეგი პირები: სამფინგანის გამგის მოადგილე ვალიკო ჯანელიძე, რომელსაც ბრალდება ინტრიგანობა, ვაჭრების თამასუქების გადახურდავება, ვაჭრებთან კავშირი და პროტექციონიზმი; საგადასახადო ქვეგანყოფ. გამგე გრიგოლ ხუროძე, რომელსაც ბრალად ედება ვაჭრებისაგან ნისიათ საქონლის წამოღება და საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯება; ინსტრ. ჟორჟოლიანი, რომელიც აღმოჩნდა მევახშე; ფინინსპექტორები თოფურია, ჯაკობია, ჩიქოვანი და გეგელაშვილი, რომლებსაც ბრალდება ვაჭრებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა, მათთან „ძმა-ბიჭური" ქეიფი, ვაჭრებისათვის გადასახადების შემსუბუქება და სხვა ბოროტმოქმედებანი. დანარჩენი თანამშრომლები მოხსნილი არიან სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის, ბიუროკრატობისა და საქმის გაჭიანურებისათვის.

ს. მესხი.

ხელოვნება

„გრძნობათა შეთქმულება" რუსულ მუშათა თეატრში

მთავარი, რაც ყურადღებას იწვევს ამ დადგმაში—ეს არის რეჟისორის გონიერი მუშაობა. არავითარ „შემოქმედებითი სტიქიას", არავითარ „აღმაფრენას", ძველი თეატრისათვის დამახასიათებელ მხოლოდ ინტუიციაზე დამყარებას—თქვენ აქ ვერ ნახავთ. რეჟისორი გრიპიჩი მათემატიკური სისწორით მოქმედობს.

„პროვინციალურ თეატრებში" ყალბი სანტიმენტალური განცდებით უფრო სურთ ხოლმე მაყურებლის დაპყრობა, ვიდრე თეატრალური კულტურით. „გრძნობათა შეთქმულების" დადგმით რუსული მუშათა თეატრი არღვევს ამ მავნე ტრადიციას.

მაგრამ ის რაც ვთქვით დადგმის შესახებ, არ ნიშნავს, რომ გრიპიჩის ამ დადგმას არავითარი ნაკლი არ აქვს. არის ნაკლი და, პირველ ყოვლისა, იდეური ხასიათის. ამ ნაკლის ავტორი დამდგმელთან ერთად ავტორიც და ნიჭიერი მსახიობი ლიუბოშიც არის.

ეს პრინციპიალური ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ პიესაში ძველი ქვეყნის და ახალის ბრძოლა ჩვენ ქვეყანაში ეხლა მიმდინარე კლასთა ბრძოლისაგან განყენებულია და სცენაზე იბრძვიან არა კლასთა ან საზოგადოებრივ ფენათა კონკრეტული წარმომადგენლები, არამედ განყენებული იდეები. „მიწიერი" ცოტაა, მეტია „ფილოსოფიური".

გარდა ამისა კლასთა ბრძოლა საერთოდ ვერ არის სწორად გაგებული. ეს გასაგებიც არის! პიესის ავტორი მხოლოდ თანამგზავრია და არა პროლეტარული მწერალი და ამიტომ ის ნამდვილი კლასობრივი მტრის მაგიერ მხოლოდ ობივატელს ხედავს. რახან არ არის წარმოდგენილი კომუნიზმის ნამდვილი მტერი, არ არის არც ნამდვილი მოპირდაპირე ბოლშევიკი. ბოლშევიკიც და მტერიც გამარტივებულია.

ორი ძმა: ერთი კომუნისტი და საქმის კაცი, მეორე ზედმეტი ადამიანი, „ძველი ქვეყნის გრძნობათა ბელადი" და ობივატელი. პირველი ჩვენი აღმშენებლობით არის გატაცებული, ის შენების ენტუზიასტია, მეორე კი ეზო-ეზო დადის და ძველ ხალხს დაეძებს ძველი გრძნობების, (სიყვარულის, იჭვიანობის, შურის და სხვა) შესაკრებად. „სქესობრივი კონტრ-რევოლიუციისა" და კომუნიზმის წინააღმდეგ ამ ძველ „გრძნობათა შეთქმულების" მოსაწყობად.

რომელ დერეფანში, ოთახში ან სამზარეულოშიც მეშჩანები ბუდობენ, სადაც კი დარჩა საწყალი და სასაცილო „მეოცნებენი" და „რომანისტები" ძველებური სიყვარულის გმირები—აი აქ გაჩნდება მეორე ძმა, შეთქმულების ბელადი და თავისი ძმის, კომუნისტის წინააღმდეგ ლაშქრობისკენ მოუწოდებს.

მაგრამ ამ მასხარა ბელადს, კომუნისტი ძმა ყველაფერს ხელიდან აცლის. კომუნისტი საქმეს აკეთებს. აქ კომუნისტის საქმიანობას საქმოსნური (ДЕЛЯЧЕСКИЙ) თვალთახედვით უდგება ავტორი და ამაშია თანამგზავრისთვის დამახასიათებელი გადახვევა. კომუნისტი ძმა სახალხო კვების ტრესტს ხელმძღვანელობს, ის ჩვენი დროის გმირია და, რა თქმა უნდა, მოწინავე ახალგაზრდობის თანაგრძნობა მისკენაა. ამიტომ არის, რომ „შეთქმულების ბელადის" ნაშვილები ქალიშვილი თავის მამობილს სცილდება და კომუნისტ „ბიძას" შეიყვარებს.

შეთქმულების „ბელადს" კი მხოლოდ წარსულის მიერ დამახინჯებული ერთი „ახალგაზრდა" ფსიხოპატი კავალეროვი შერჩენია ხელში, რომლის საშუალებითაც მას თავისი კომუნისტი ძმის მოკვლა სურს.

მაგრამ უძლურება კავალეროვისა არ არის საკმარისი ასეთი „დიდი ისტორიული მკვლელობისთვის".

ამ მთავარ ხაზების გარდა პიესაში ბევრი სხვა შემავალი საინტერესო მოტივებია.

მსახიობები თავის სიმაღლეზე დგანან. ამრიგად კარგ დადგმასთან ერთად კარგი თამაშია.

მოხდენილად არის გაკეთებული მაკეტები და ცალკე სცენები, თანამედროვე და კონსტრუქტივისტული ავეჯი, მათი უბრალოება და მოქნილობა, დეკორაციის სიმცირე, მაგრამ მათი მეტად მოხერხებული გამოყენება, ერთი და იგივე საგნის სხვადასხვანაირი შინაარსი, სპექტაკლის ცოცხალი ტემპი და მსახიობების მოქნილობა, თვით სცენაზე ერთი და იგივე დეკორაციის მაყურებლის თვალის წინ გადასხვაფერება (სიზმრის მშვენიერი სცენა, რომელიც მეიერხოლდის „რევიზორის" ერთ სცენას მოგვაგონებს)—ყოველივე ეს ამ დადგმას ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად აქცევს. „გრძნობათა შეთქმულება" საგულისხმო მიღწევაა.

პლ. ქიქოძე.

„დღეს, ხუთშაბათს 5 დეკემბერს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება

საქ. ა.ლ. კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის აქტივის საერთო-საქალაქო კრება

დღის წესრიგი: მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ.

კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის, თბილისის საოლქო კომიტეტის და ქალაქის რაიკომის წევრები კრებაზე შევლენ თავიანთი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები ბილეთებს მიიღებენ სათანადო რაიკომებში.

საქ. ა.ლ.კ.კ. თბ. საოლქო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

დეფიციტიანი საქონლის განაწილება

გუშინ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილების წარმომადგენლის ამხ. ბუაძის მოხსენება დეფიციტიანი საქონლის განაწილების ახალი წესის შესახებ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დაეთანხმა კოოპერაციისა და ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლისაგან შემოტანილ წინადადებას, რომ ჯერ-ჯერობით დატოვებულ იქნეს უცვლელად საქონლის განაწილების არსებული წესი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს მიიღო დადგენილება, რომ ცალკე იქნეს გამოყოფილი და შესწავლილი ბავშვებისათვის საკვები პროდუქტების განაწილებისა და დარიგების საკითხი.

ბზიბის კომბინატი

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა განიხილა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს შუამდგომლობა ბზიბის სატყეო კომბინატის საამშენებლო სამმართველოს მოწყობის შესახებ. პრეზიდიუმმა საჭიროთ დაინახა, რომ აღნიშნული კომბინატის მშენებლობა მიენდოს საზ-ბა „დრევსტროი"-ს, რომელმაც თავისი აპარატი უნდა იყოლიოს კომბინატის მშენებლობის სახელმძღვანელოდ.

200.000 მან. აგურის ქარხნებისათვის

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გაანაწილა საკავშირო ფონდიდან მიღებული 200.000 მანეთი საქართველოში არსებულ ფინანსიურათ სუსტ აგურის ქარხნებისათვის. აღნიშნული თანხებიდან ხაშურის აგურის ქარხანას ერგო 60.000 მან. გურჯაანისას—60.000 მან., ოზურგეთისას—40.000 მან. და ზუგდიდისას—40.000 მანეთი.

ამასთანავე ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა შუამდგომლობით მიმართა საკავშირო ს.მ.უ.ს., რომ აღნიშნული თანხა სასწრაფოდ იქნას გადმოგზავნილი დანიშნულებისამებრ.

თბილისის ალმასკომში

- კომუნალურ სახლების შესაკეთებლად გადაიდო 250.000 მანეთი.
- მუშათა ახალი სახლების ასაგებათ თბ. ალმასკომმა გადასდო ნახევარი მილიონი მანეთი.

ახალი ტეხნიკუმები

- აბრეშუმის მრეწველობის ტეხნიკუმი. გაიხსნა ქიმიურ-საფეიქრო ტეხნიკუმთან (სამოსწავლო-ტეხნ. ქ. № 4). განცხადებების მიღება დაწყებულია.
- სამთო-გეოლოგიური ტეხნიკუმი გაიხსნა ქიმიურ-ფარმაცევტიულ ტეხნიკუმთან (ბელგიის ქ. № 4). განცხადებების მიღება სწარმოებს.

სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

- საამშენებლო მასალათა ლაბორატორია. ამთავრებს რიონჰესის, ძორაჰესის, ნატახტარის და აზნავთმშენისაგან მიღებულ მასალების დამუშავებას.
- 17.000 მან. ხელსაწყოების შესაძენად. ინსტიტუტის გამგეობამ ფიზიკური კაბინეთისათვის სხვადასხვა ხელსაწყოების შესაძენად გადასდო 17.000 მან.
- სტუდენტები პრაქტიკაზე—ამიერ-კავკასიის და რუსეთის ყველა ქალაქებში ინსტიტუტმა გაგზავნა საზამთროდ საწარმოო პრაქტიკაზე მიმავალ სტუდენტთა სიები.
- სასწავლო გეგმების გადამუშავება—ინსტიტუტის გამგეობამ დაიწყო სასწავლო გეგმების გადამუშავება

—:—

ხელოვნების ქრონიკა

მ. ნალბანდიანის დაბადების 100 წლის თავი

8 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში პუბლიცისტ მ. ნალბანდიანის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო.

- ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი".
- ვიქ. გაბესკირიას ლექსების წიგნი. რედაქციამ მიიღო ვიქ. გაბესკირიას ლექსების პირველი წიგნი.
- „ღვარძლი". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი".
- მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „გრძნობათა შეთქმულება".

სასამართლო

6 ყაჩაღის დახვრეტა

როგორც ვსწერდით, უზენაეს სასამართლოს სესიამ ქ. თელავში ექვს გაუსწორებელ ბანდიტს: ივანე ბერელაშვილს, გიორგი თანდილაშვილს, ვასილ ავგაროზიშვილს, არჩილ ახალმოსულიშვილს, გიო ოხანაშვილს და ვასილ ლობნელიშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი— დახვრეტა.

მსჯავრდადებულებმა შეწყნარება სთხოვეს საქართველოს ცაკს.

ცაკმა შუამდგომლობა უშედეგოდ დასტოვა. განაჩენი ექვსივე ყაჩაღის მიმართ მოყვანილია სისრულეში.

—:—

კომკავშირელი ქალის წამება

ახალგაზრდა, ცოცხალი, ენერგიით სავსე კომკავშირელი ქალი ნინა ოვანესოვა თავისტოლ ამხანაგებში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა.

კომკავშირის უჯრედი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. ოვანესოვა იყო დაუზარებელი, აქტიური ყველაფერში, ხალისით ასრულებდა ყველა დავალებას. უჯრედში მუშაობა, მეცადინეობა ტეხნიკუმში, კრებები, თათბირები, მოხსენებები—აი რით იყო სავსე ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარ კომკავშირელ ქალის ყოველდღიური საქმიანობა.

მაგრამ ეს იყო მანამდე, სანამ მას გაიცნობდა ვიღაც ვიგინდარა ისაკულოვი.

ისაკულოვი ძველი ყოფა-ცხოვრების ღირსეული შვილი, მოკლებული ყოველგვარ მისწრაფებას საზოგადოებრივ საქმიანობისადმი, ნახევრად ხულიგანი, ზნედაცემული და გადაგვარებული ტიპი მახეს უგებს კომკავშირელ ქალს, აყენებს გავლენის ქვეშ და თანდათანობით თავის მონად აქცევს მას.

რომ კომკავშირელი ნინა ოვანესოვა უკვე მონაა ისაკულოვის, რომ ისაკულოვმა ახალგაზრდა ქალს წაართვა ყველაფერი, რაც მას ოქტომბრის რევოლუციამ მისცა,—აშკარა გახდება, როცა წაიკითხავთ ამ „ხელშეკრულებას"(!)

...„1928 წ. 25 ნოემბერი: მე ქვემოდ ხელის მომწერი ნინა ნიკოლოზის ასული ოვანესოვა, ვაძლევ მოქ. ისაკულოვს ხელწერილს მასში, რომ ნებაყოფლობით დაუკავშირდი მას. მე უნდა ვიყო მისი ერთგული არ მოვატყუო არაფერში, უნდა შევასრულო მისი ყველა ბრძანება.

საკითხი პირველი

...„მე ოვანესოვამ არ უნდა გავბედო ისაკულოვის მოტყუება, მისი გაჯავრება, ყველაფერში მას უნდა ვემორჩილებოდე. ისაკულოვს სრული უფლება აქვს ჩემთან დარჩეს კვირაში სამჯერ. მე არავინ არ უნდა მომეწონოს თბილისში...; არ უნდა ვიფიქრო გათხოვებაზე. . სადაც წავალ—იქნება ეს კინოში, სასწავლებელში, თუ უჯრედში ნებართვა უნდა ავიღო ისაკულოვისაგან... თუ რამეში მოვატყუე ისაკულოვი, მას უფლება აქვს შური იძიოს ჩემზე"...

საკითხი მეორე

...„როცა ჩემს სახლში მივდივარ და ისაკულოვს ვეუბნები, უნდა ვიმეცადინეო მეთქი, ეს უნდა იყოს ჭეშმარიტება... წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს ვაგებ ისაკულოვის წინაშე... მე არ მქვს უფლება ბნელ ქუჩებში ან ქალაქის გარეუბანში ვინმესთან გავიარო.::

ნინა ოვანესოვა":

აი როგორ ტიპთან გვაქვს საქმე ისაკულოვის სახით. აი როგორ აჰყარა მან ადამიანის უფლებები კომკავშირელ ქალს... აი როგორ გათახსირებამდე მივიდა ისაკულოვი.

ისაკულოვი ნინას ისე უყურებს, როგორც ნივთს. ქალმა უნდა დააკმაყოფილოს მისი უინი და შეასრულოს ყველა ბრძანება... ის არც ცოლია, არც რაიმე ვალდებულებას კისრულობს ისაკულოვი მის წინაშე. უბრალო მიზეზი საკმარისია, რომ ქალს მხეცურად სცემოს ისაკულოვმა. ისაკულოვი ცალკე ცხოვრობს. და როცა მოესურვება მაშინ ინახულებს ქალს.

ნინა აღარ არის ისეთი ცქრიალა, ნინას ისე ხშირად ვეღარ ჰხედავენ უჯრედის სხდომებზე... თუ მოვა, სახე ჩამოსტირის.—სრულ გულგრილობას იჩენს ყველაფერისადმი. დაავადმყოფდა ქალი. უჯრედი მას სამკურნალოდ გზავნის სოხუმში.

ისაკულოვი დადის და კომკავშირელებში ავრცელებს ჭორებს, რომ ნინა ზნედაცემული ქალია, რომ მან ვენერიული ავადმყოფობა დამართა და სხვ...

უჯრედი ფეხზე დადგა. ზნედაცემულ ქალს რა უნდა უჯრედში! მიღებულ იქნა ზომები სინამდვილის გამოსააშკარავებლად და მალე ყველაფერს ფარდა აეხადა.

აღმოჩენილ იქნა ზემოდმოყვანილი სამარცხვინო დოკუმენტი. ისაკულოვის მიერ შეთხზული ჭორი ნ. ოვანესოვას ავადმყოფობის შესახებ მტკნარი სიცრუე გამოდგა. გამოირკვა, რომ ისაკულოვი რამდენიმე წლის განმავლობაში აწვალებდა და სცემდა ნინას, ჰყავდა დაყენებული ტერორის ქვეშ, მიზნად ისახავდა მის ჩამოშორებას საზოგადოებრივ, პარტიულ საქმიანობისაგან და სხვ.

ამის გამო ამხმაურდა პრესაც. ამ უმზგავსოების შესახებ პრესაში რამდენიმე ფილეტონი იყო მოთავსებული და ისაკულოვის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გუშინ დამთავრდა მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში ისაკულოვის საჯარო გასამართლება.

პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია. სასამართლოში გამოცხადდა კომკავშირელების დელეგაცია, რომელმაც ითხოვა ისაკულოვის სასტიკად დასჯა.

პროკურორმა ამხ. ძაძამიძემ თავის ვრცელ სიტყვაში დაახასიათა ბრალდებული, როგორც ძველი ცხოვრებიდან დარჩენილი მუწუკი, და განაცხადა, რომ „ისაკულოვშჩინის" წინააღმდეგ ბრძოლა ეს არის ბრძოლა ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან, რაშიაც პროლეტარულ სასამართლოს დიდი როლის თამაში შეუძლია.

პროკურორმა სავსებით დადასტურებულად სცნო ბრალდებულისადმი წარდგენილი მუხლები 158ა, (სისტემატიური ცემა ფიზიკური და სულიერი ტკივილების მიყენებით) და 176, (ცილისწამება) და მოითხოვა მკაცრი სასჯელი.

საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ამხ. პატერსკიმ ხაზი გაუსვა პროცესის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მანაც მკაცრი სასჯელი მოითხოვა.

მაგრამ რატომღაც, ალბად იმიტომ, რომ სასამართლომ ვერ აუღო ალღო საქმის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მივიღეთ ძალიან რბილი განაჩენი—6 თვით იძულებითი მუშაობის დაკისრება ისაკულოვისათვის.

აუდიტორია უკმაყოფილო დარჩა განაჩენით. უკმაყოფილო დარჩება ამ განაჩენით კომკავშირი და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობაც.

პროკურორის პროტესტი შეაქვს უზენაეს სასამართლოში და მოითხოვს განაჩენის გაუქმებას.

გერ.

ახალი საავადმყოფო

მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისში გაიხსნება საქ. წითელი ჯვრის ახალი საავადმყოფო (ყოფ. გერმანელთა საავადმყოფო).

საავადმყოფოში იქნება ხუთი განყოფილება: თერაპევტიული, ქირურგიული, სამეანო, გინეკოლოგიური და რენტგენის კაბინეტი.

გარდა ამისა საავადმყოფოსთან გაიხსნება პოლიკლინიკა ვენერიული, ტუბერკულოზის, ყურის, ყელის და ცხვირის, ნერვოპატოლოგიური, თვალის და ბავშვთა სნეულების (პედიატრიის) კაბინეტებით.

საავადმყოფოსთან დაარსებულ იქნება ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საავადმყოფოს დირექტორად დაინიშნა ამხ. ი. მამულია, ქირურგიული განყოფილების გამგეთ პროფ. ა. მაჭავარიანი, თერაპევტიული განყ. გამგეთ—პროფ. ალადაშვილი, გინეკოლოგიური განყოფილების გამგეთ—პროფ. ღამბარაშვილი, სამეანო განყ. გამგეთ—პროფ. თიკანაძე და რენტგენის კაბინეტის გამგეთ—ექ. გ. ნაზარიშვილი.

ცალკე განყოფილებებისათვის ექიმ ორდინატორების შესარჩევად გამოიყო საკონკურსო-საშტატო კომისია საავადმყოფოს დირექტორის ამხ. ი. მამულიას თავმჯდომარეობით. გარდა ამისა, აღნიშნულ კომისიას დაევალა პოლიკლინიკისათვის ექიმების შერჩევა.

საავადმყოფო მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

საექიმო დახმარებით სარგებლობის წესი ჩვეულებრივია. ისეთივე როგორც სხვა საავადმყოფოებში, მხოლოდ საავადმყოფოს პოლიკლინიკაში დაწესებულია გადასახადი (თითო მანეთი დღეში).

ავიაქიმში

ჟურნალი „ავიაქიმელი"

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ჟურნალ „ავიაქიმელი"-ს გაუმჯობესების შესახებ.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ჩაბმულ იქნას ჟურნალში სამუშაოდ ავიაქიმის აქტივი და ჟურნალი გამოსცეს ორ კვირაში ერთხელ.

პრეზიდიუმმა ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ხომაშურიძე, დოიჯაშვილი და წილოსანი.

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს ავიაქიმი ამჟამად აწარმოებს წიგნების გამოცემას. თავდაცვის დარგში დღევანდლამდე გამოცემულია მრავალი წიგნი სახელმძღვანელო ავიაქიმის ორგანიზაციებისათვის და პოპულიარული ბროშურა სოფლისათვის.

ავიაქიმის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის შექმნა, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას წიგნების გამოცემის საქმეს. კოლეგიაში შევიდნენ: ამხ. ს. ბუაჩიძე, ხომაშურიძე, წილოსანი, იაგნეტინსკი და პატარიძე.

საჩუქრები შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მებრძოლებს

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა ფართედ გაშალა კამპანია საჩუქრების შესაგროვებლად შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის მებრძოლებისათვის. ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აღნიშნულია, თუ როგორი წესით უნდა სწარმოებდეს საჩუქრების გადაგზავნა.

საქართველოს ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე იქონია მსჯელობა საჩუქრების შეგროვების შესახებ და დაადგინა გამოჰყოს სპეციალური კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ამ საქმეს.

რკინისგზებზე

დაწინაურება გზის გამგეობის აპარატ'ში

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ გზის გამგეობის აპარატ'ში აარჩია თექვსმეტი ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობა, რომლებზედაც გადაწყვეტილია დაწინაურებულ მუშების წამოყენება.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა ეს თანამდებობები.

ზოგიერთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობებზე წამოყენებული იქნებიან ახალგაზრდები და ქალები.

საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას მიცემული აქვს წინადადება დააჩქაროს გზის გამგეობის აპარატში დანარჩენ თანამდებობათა შერჩევა.

ახალი ჩიხი

ქუთაის-გელათის შუა გაიხსნა რკინის გზის ახალი ჩიხი, რომელიც ემსახურება რიონჰესის სამუშაოებს.

ღამის სანატორიუმი

1930 წლის იანვარ'ში ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა ტუბდისპანსერთან გაიხსნება ღამის სანატორიუმი.

დაჯახება

გუშინ ყარადაღაში ერთმანეთს დაეჯახა საქონლის ორი მატარებელი.

დაჯახების დროს დაიმტვრა 15 ვაგონი და ლიანდაგიდან გადავარდა ორი ცისტერნა.

მშენებლობის ქრონიკა

— ამ დღეებში გაიხსნება სადისპეტჩერო ტელეფონითი კავშირი თბილის-ხაშურის შუა.

— დამთავრდა სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხნის ელექტროფიკაცია. ელექტროფიკაციაქმნილია ყველა ცეხები, გარდა ლითონის სატკეცი ცეხისა. აგრეთვე დამთავრდა თბილისის და ნავთლუღის წყალსაქაჩავების ელექტროფიკაცია.

— ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანილია სადეპოს? ავჭალა. მზათაა ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად სად. მცხეთა.

ვინ მოიგო?

1926 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მე-13 ტირაჟი

მოსკოვი, 4 დეკემბერი. 1926 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მე-13 ტირაჟზე გათამაშებულ იქნა 850 ორას მანეთიანი მოგება, 250—სამას მანეთიანი, 79—ათასმანეთიანი, 10 ხუთიათას მანეთიანი, 5—ათიათას მანეთიანი, 3—ოცდაათიათას მანეთიანი, 2 — ორმოცდაათი ათას მანეთიანი და ერთი — ასიათას მანეთიანი

გარდა ამისა, გაბათილებულ იქნა 16.800 ობლიგაცია ნომინალური ღირებულების ე. ი. 100 მანეთის გადახდით.

მოგება და გაბათილება ხვდა შემდეგი ნომრისა და სერიის ობლიგაციებს.

შენიშვნა: ციფრთან დასმული გაკვირვების ნიშანი ნიშნავს იმას, რომ ამ სერიის დანარჩენი 49 ნომერი გაბათილებულია.

სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა	სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა
0013	1—50	100	0015	26!	1000
0046	1—50	100	0054	1—50	100
0057	1—50	100	0068	1—50	100
0090	1—50	100	0102	1—50	100
0110	1—50	100	0146	1—50	200
0162	1—50	100	0211	46!	5000
0217	1—50	100	0265	1—50	100
0280	48!	5000	0319	1—50	100
0335	06!	1000	0349	1—50	100
0371	27!	1000	0423	11!	1000
0432	1—50	100	0440	46!	1000
0481	1—50	100	0487	16!	1000
0500	09!	1000	0564	1—50	100
0581	1—50	100	0613	1—50	100
0621	1—50	100	0651	1—50	100
0653	23!	1000	0673	09!	1000
0679	1—50	100	0692	1—50	100
0694	1—50	100	0729	1—50	100
0750	04!	1000	0793	1—50	100
0815	1—50	100	0858	1—50	100
0860	1—50	100	0887	28!	1000
0888	1—50	100	0899	1—50	100
0918	1—50	100	0924	1—50	100
0954	1—50	100	1030	32!	1000
1054	32!	1000	1056	41!	5000
1085	1—50	100	1122	1—50	100
1126	32!	1000	1143	1—50	100
1144	1—50	100	1150	1—50	100
1174	1—50	100	1179	1—50	100
1188	1—50	100	1211	1—50	100
1239	1—50	100	1240	1—50	100
1242	29!	1000	1255	1—50	100
1272	1—50	100	1304	1—50	100
1325	31!	1000	1365	1—50	100
1384	1—50	100	1387	1—50	100
1397	36!	1000	1400	1—50	100
1417	1—50	100	1437	1—50	100
1439	25!	1000	1448	40!	1000
1451	1—50	100	1468	1—50	100

სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა	სერიების №№	ობლიგ. №№	მოგების თანხა
1473	1—50	100	1481	1—50	100
1503	1—50	100	1515	1—50	100
1548	48!	1000	1594	1—50	100
1568	1—50	100	1607	43!	1000
1612	1—50	100	1618	1—50	200
1626	29!	1000	1636	1—50	100
1641	1—50	100	1647	29!	50000
1667	1—50	100	1668	50!	1000
1670	1—50	100	1690	1—50	100
1747	1—50	100	1749	1—50	100
1750	25!	1000	1826	08!	10000
1836	1—50	100	1859	45!	10000
1865	1—50	200	1868	23!	25000
1881	1—50	100	1889	48	1000
1906	1—50	100	1958	12!	5000
2040	1—50	100	2065	23!	5000
2066	1—50	100	2068	1—50	100
2104	1—50	100	2147	1—50	100
2165	1—50	100	2183	1—50	100
2200	1—50	100	2210	12!	1000
2223	1—50	100	2229	12!	1000
2232	04!	1000	2235	1—50	100
2264	1—50	100	2300	21!	1000
2336	09!	1000	2367	1—50	100
2380	1—50	100	2382	1—50	100
2400	1—50	100	2412	1—50	100
2422	28!	1000	2446	46!	1000
2449	1—50	100	2451	21!	25000
2458	15!	1000	2459	17!	1000
2487	1—50	100	2490	1—50	100
2504	41!	10000	2519	1—50	100
2534	1—50	100	2543	1—50	100
2574	12!	1000	2580	23!	5000
2614	1—50	100	2625	1—50	100
2675	1—50	100	2703	1—50	100
2714	1—50	100	2736	1—50	100
2755	1—50	100	2741	1—50	100

(დასასრული იქნება)

მეცნიერება და ტეხნიკა

ხელოვნური წვიმა

ლენინგრადში არსებობს სამეცნიერო- მელიორაციული ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად აწარმოებს ხელოვნური წვიმის გამოწვევის მეტად საინტერესო ცდებს. როგორც „სელსკო-ხოზიაისტ. გაზეტა" იუწყება, ეს ცდები დაიწყო 1926 წელს, როგორც კი გერმანიიდან მიღებული იქნა შესაფერი აპარატურა. ცდები ჩატარებული იქნა აზერბეიჯანში, სომხეთში და ნოვოჩერკასკთან.

სომხეთში ხელოვნური წვიმის ცდები ჩატარებულ იქნა ბამბის ნათესების მოსარწყავათ. პირველივე ცდებმა დაამტკიცა, რომ ისეთ გვალვიან კუთხეში, როგორიც სომხეთია, ხელოვნურმა წვიმამ საეჭვოა, რომ ჰპოვოს ფართო გავრცელება, რადგან მორწყვის ჩვეულებრივი წესი უფრო მეტ შედეგებს იძლევა.

რაც შეეხება ხელოვნური წვიმის გამოყენებას ხორბლეულ კულტურების მიმართ, შესაფერმა ცდებმა დაამტკიცა მისი სრული ეკონომიური მიზანშეწონილობა.

მიმდინარე წელს სამეცნიერო- საირიგაციო ინსტიტუტმა დიდი ცდები ჩაატარა ვოლგის იქითა მხარეში. ცდების ჩასატარებლად გამოყოფილ იქნა მიწის სამი ნაკვეთი: ერთი სრულიად არ ირწყვებოდა, მეორე ირწყვებოდა ხელოვნური წვიმით, მესამე— ჩვეულებრივი წესით.

რუსეთის მიწსახკომის სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა ნათესები და აღმოჩნდა, რომ ხელოვნური წვიმით მორწყულ ნაკვეთზე მოსავალი 40 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მოურწყავზე; ჩვეულებრივი წესით მორწყულზე კი— მხოლოდ 12 პროცენტით.

ამჟამად ლენინგრადის სამეცნიერო- საირიგაციო ინსტიტუტი ამუშავებს ხელოვნური მორწყვის მასიურად გამოყენების საკითხს. მორწყვის ახალი წესის ფართოდ გამოყენებას აბრკოლებს საჭირო აპარატურის სიძვირე.

დორნიე „ДХ"-ის შესახებ

სამეცნიერო-საავიაციო საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე ბერლინში კონსტრუქტორმა დორნიემ გააკეთა მოხსენება თავის უზარმაზარ აეროპლან „ДХ"-ის შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი საათის განმავლობაში ფრენდა 160 მგზავრით და 19 კაცისაგან შემდგარ ეკიპაჟით.

აეროპლანი 54-ჯერ გამოსცადეს ფრენის დროს. ამ გაფრენის დროს შეამოწმეს აპარატის ყველა თვისებები. დორნიეს სიტყვით, გამოცდის შედეგებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი დატვირთვის პირობებშიაც კი აეროპლანი თავისუფლად სცილდება წყლის ზედაპირს (179 მგზავრით აეროპლანი 50 წამში აფრინდა) და ასევე თავისუფლად ეშვება. 12 მოტორის ამუშავებას სჭირდება 4—5 წუთი. მოტორების ძალოვნობის 76 პროც. გამოყენების დროს აეროპლანს შეუძლია 23,3 ტონა ტვირთის წაღება იმ დროს, როცა დორნიეს მხოლოდ 20 ტონა ჰქონდა გათვალისწინებული. აეროპლანის მოქმედების მაქსიმალური რადიუსი უდრის 3.600 კილომეტრს, ეკონომიურად ყველაზე უფრო მიზანშეწონილი— 1000—1500 კილომეტრს. საექსპლოატაციო ხარჯები (ამორტიზაციის, დაზღვევის და სხ. გამოკლებით) შეადგენს 15—18 მარკას თითეულ კილომეტრზე ანუ 1,5—2 მარკას თითეულ ტონა კილომეტრზე.

შემთხვევები

ქურდი დარაჯი

დაპატიმრებულია ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს დარაჯი ანდრო კონსტანტინეს ძე ცხოვრებაშვილი, რომელიც ხსენებულ დაწესებულებიდან სისტემატიურად იპარავდა საკანცელარიო ნივთებს. გაჩხრეკისას ცხოვრებაშვილის ბინაზე იპოვნეს სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები.

საქონლის გატანა ყალბი ჩეკებით

დაპატიმრებულია მცირეწლოვანი დიმიტრი დიმიტრის ძე დოგოროვი, რომელსაც ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის №3 მაღაზიიდან ყალბი ჩეკებით გაჰქონდა სხვადასხვა საქონელი.

მკვლელობა

ერევან ალიხანოვმა ხანჯლით მოჰკლა თავისი ცოლი ელენე აკოპოვა. მკვლელი დაპატიმრებულია.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: პეტრე დანიელის ძე პლატნიოვი და სერგო გრიგოლის ძე ბარანოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი ხალიჩა და ტომრები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ამხ. სანიშვილთან.

პალტოების მოპარვა

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ქალაქში გახშირდა პალტოების დაკარგვის შემთხვევები. სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებებიდან პალტოები იკარგებოდა სამუშაო საათებში. იყო შემთხვევები, როცა ერთი დაწესებულებებიდან დაიკარგა ხუთზე მეტი პალტო.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ პალტოებს იპარავდა აკოპ ავეტის ძე შახბაზიანი, რომელიც გუშინწინ დააპატიმრეს.

როგორც ირკვევა, შახბაზიანი ნაქურდალ პალტოებს დაკლებულ ფასებში ჰყიდდა და კლიენტებს ეცნობოდა, როგორც „უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი".

შახბაზიანი გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც მიჰყიდა პალტოები. 15 ნაქურდალი პალტო აღმოჩენილია და ჩაბარდა კუთვნილებისამებრ.

შახბაზიანმა ექვსი თვის განმავლობაში სულ მოიპარა 50 პალტო.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 5 დეკემბერი

დილით—მუშათა შუადღე. ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს—თბილისის 10 კილოვატიან რადიო სადგურიდან, 1060 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება შემდეგი:

პიონერისა და მოწაფის საათი: „საქართველოს პიონერთა რადიო-ლაშქრობა"—ქართულ ენაზე. რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე. გადაცემა სოფლისათვის: აღმოსავლური მუსიკის კონცერტი. საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ—ქართულ ენაზე. გაზეთი „წითელი მეომარი"—რუსულ ენაზე. დროის შემოწმება და საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა, მუშათა დამკვრელ ბრიგადების საკავშირო ყრილობის ტრანსლიაცია მოსკოვიდან. უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 5 დეკემბერს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშათა სექციიდან: ესტატე ჯორბენაძე, სარქის ბიბოევი, გარეგინ ანდრიასოვი, გიორგი თამასოვი, გიორგი მაევსკი, ირაკლი სიხარულიძე, გიორგი გიკაშვილი, ი. მასურაძე, დიმიტრი ემელიანოვი, პოლოს ადეოიანი, გიორგი არგანიშვილი, მიკირტიჩ ბებუშანცი, ესტატე ივანოვი, ანდრო მარქაროვი, ლაზარე ონანოვი, ისაკ სიმონოვი, სიმონ სიმონოვი, გარეგინ ტარასოვი, არტემ პეტროსიანი, არამ სკელიახსკი.

შავ მუშათა სექციიდან: პოლოს კოლესნიკოვი, გიორგი გვერთაური, ანდრო ტაბატაძე, მელიქ ფირცხალავა, ნიკოლოზ ჯაოშვილი, არსენ ხუბეროვი, გიორგი გაგლოევი, პავლე რეხვიაშვილი, შალვა მრევლიშვილი, ერვანდ სარქისოვი, მიხეილ ლევაძიძე, ნიკოლოზ ჰოლიაშვილი, შალვა გარაყანიძე, შაქრო ხატიაშვილი.

რკინისგზელთა სექციიდან: დავით ინაშვილი, მარიამ იტრაშვილი, ნიკოლოზ ქოვლერი, იოსებ ბუკუტაშვილი, ბაგრატ გარუაშვილი, დიმიტრი მარგიშვილი, სათენიკ გასპაროვი, ტაბუ ტამლიანი, ანნა შვერაშვილი.

ახალგაზრდათა სექციიდან: ერვან არტემინი, თინა ხუბეროვა, ლიდა ერმაზიანი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ალექსანდრე ვაშაკიძეს

კითხვა:

ვცხოვრობ ნაქირავებ სახლში. სახლი მოითხოვს შეკეთებას, რადგან სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. სახლის პატრონი არ აკეთებს. როგორ მოვიქცე?

პასუხი:

მოსთხოვეთ სახლის პატრონს შეაკეთოს სახურავი. თუ მან უარი განაცხადა შეკეთებაზე, უფლება გაქვთ თქვენი ხარჯით შეაკეთოთ და გამოუქვითოთ ბინის ქირაში, ან და სასამართლოს წესით გადაახდევინოთ. (სამ. სამ. კოდ. 159 მუხ.)

სირბილაძეს

კითხვა:

რვა წლის წინად მამა მიმაბარა ხელოსანთან მოწაფეთ. ხელოსანმა ხელობა არ მასწავლა და 1 წ. და 10 თვე სახლში ხელზე მოსამსახურეთ მამუშავა. შემიძლია თუ არა სასამართლოს წესით მოვითხოვო ჩემი ნაშრომის ანაზღაურება?

პასუხი:

ძიების აღძრის ვადა უკვე გასულია. სასამართლო უშედეგოთ დასტოვებს თქვენს ძიებას.

სოფელ არგვეთის (საჩხერის რაიონი) შვიდწლედის მასწავლებელ კონდრატი აბაშიძეს:

კითხვა:

ვიყავი ზედ-სიძეთ შესული ერთ გლეხთან. 7 წლის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას ვიღებულობდი ადგილების და ვენახების დამუშავებაში, სასოფ.-სამეურნეო ინვენტარის შეძენაში, შენობების დახურვა-შეკეთებაში, სახლის ავეჯის ყიდვაში და სხვა. 1928 წლის 21 მაისს მოხდა განქორწინება მაჩის წესით, რის შემდეგ კავშირი კომლთან გაწყვეტილი მაქვს. განქორწინების შემდეგ ჩემ ყოფილ მეუღლეს ეყოლა შვილი, რომლის სარჩოთ ჩემი ყოფ. მეუღლის ძიების გამო აღმასრულებელი ფურცლით, ყოველ თვიურად ვიხდი 20 მანეთს. კომლის წევრები არავითარ წილს კომლის ქონებიდან არ მაძლევენ. მე არავითარი უძრავ-მოძრავი საცხოვრებელი არ გამაჩნია და ერთად-ერთ საარსებო წყაროს (მყავს მეუღლე და ჩვილი ბავშვი) წარმოადგენს მასწავლებლობის ხელფასი (55 მანეთი საშუალოდ). გეკითხებით, მერგება თუ არა წილი კომლის ქონებიდან და თუ მერგება რა რაოდენობით და ან რა წესით უნდა მივიღო იგი?

პასუხი:

რადგან თქვენ კომლის მეურნეობაში იღებდით მონაწილეობას და კომლიდან გასვლის დღიდან არ გასულა სამი წელი, თანახმად მიწის კოდექსის 40 მუხლისა შეგიძლიათ მოითხოვოთ სასამართლოს წესით ხვედრი წილი იმ კომლის წევრთა საერთო სარგებლობის მიწიდან და ქონებიდან, ხოლო მიწიდან წილის მოთხოვნა შეგიძლიათ იმ შემთხვევაში,თუ მიწის გაყოფა, განაწილება მიწ. კოდ. 48 მუხლის მიხედვით შესაძლებელია და არ ხართ შესული იმავე კომლში (მიწ. კოდ. 40 მუხლის შენიშვნა).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხ.ს.პ.ი. კ.პ. (ბ) ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ფაკულტეტების კომუჯრედების ბიუროების გადარჩევები შესდგება შემდეგ დღეებში.

დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება სამთო-ქიმიურ ფაკულტეტის კ.პ. (ბ) უჯრედის ბიუროს გადარჩევა.

ხვალ, 6 დეკემბერს, მექანიკური ფაკულტეტის კ.პ. (ბ) უჯრედის ბიუროს გადარჩევა. ამავე დღეს საღამოს 8 საათზე მოხდება საამშენებლო ფაკულტეტის კ.პ. (ბ) უჯრედის ბიუროს გადარჩევა.

უჯრედების [illegible] (ბ) წევრ-კანდიდატთა და ა.ლ.კ.კ. წევრ-[illegible] დიდატთა დასწრება [illegible].

სახ. უნივ. თავდაცვა-ავიაქიმის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა საერთო კრება.

რუსთაველის თეატრის დირექცია მსახიობებთან და მუშა მოსამსახურეებთან ერთად აუწყებენ საზოგადოებას ქუთაისის სახ. დრამის

მსახიობ **შალვა ჩხეიძის**

უდროოდ გარდაცვალებას.

ნ. 3456

რუსთაველის თეატრის მსახიობები: აბაშიძე, აფხაიძე, ბერიაშვილი, ბაგრატიონი, გოძიაშვილი, კანდელაკი, კობახიძე, ლალიძე, ლორთქიფანიძე, სალარაძე, ქანთარია, ნ. ს. ალექსი-მესხიშვილი, წულუკიძე თ., ე. კედია, თაყაიშვილი, წულაძე, ჯაფარიძე და ყაზაიშვილი აუწყებენ საზოგადოებას თავის უახლოეს მეგობრის და ამხანაგის, ქუთაისის სახ. დრამის მსახიობ

შალვა ჩხეიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

4573

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის რეჟისურა და მსახიობები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქუთაისის სახელმწიფო დრამის ახალგაზრდა მსახიობ

შალვა ჩხეიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

4582

თავზარდაცემული მშობლები: ფაცია და აქვსენტი, ძმა ლუდუკი ცოლშვილით და ბიძა იასონ სვანიძეები; სიძეები: დავით შამუგია ცოლით შაშიკოთი და მიშა ქავთარაძე, ცოლი პაშა—შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათთვის დაუვიწყარ

ავთანდილ აქვსენტის ძე სვანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 8 დეკემბერს, ქ. ფოთში საკუთარ სახლში, ნიკოლაძის ქ. № 147.

დამწუხრებული დედა ეკატერინე და დაი ვერა ყიფიანები, მეუღლე სერგო გიორგის-ძე ლამბაშიძე შვილებით: ელიკო და გოგი, სიძე დავით მოსეს-ძე და შვილისშვილი გიზო უღრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პატივი სცა უდროოდ გარდაცვალებულ

ოლია რომანის ასული ლამბაშიძის

ხსოვნას.

4578

დამწუხრებული შვილები კოტე, ვერა, ვაყო, ანდრო რძლით ლიუბა, დეიდა ნატალია არეშიძე, სიძეები: ვიქტორ ნაცვალაძე მეუღლით და საშა ივანიძე მეუღლით იუწყებიან მათთვის ძვირფას

ივანე ბეჟანის-ძე დუმბაძის

დაკარგვას. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე დღეს, 5 დეკემბრს, 3 ნახ. საათ. გამოსვენება კალინინის ქ. № 3-დან.

4576

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები: ნინო ზიმინა, სერგო ბერიძე, ქრისტ. გიორგაძე, გივი გურგენიძე, არჩილ გვარამაძე, მიხ. გელაძე, ივ. მელიქიძე, ილია მასურაძე და გიორგი სამსონიძე ეგლოვებიან ძვირფასი მეგობრის

ქეთო ჩილინგარიშვილი-ნიჟარაძის

უდროოდ დაკარგვას.

4566

ღრმად დამწუხრებული ცოლშვილი აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ 2 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სოფ. გუბში გარდაიცვალა

სოლომონ იოსების-ძე წერეთელი

დაკრძალვა სოფ. გუბში 5 დეკემბერს, 1 საათზე.

4548

დამწუხრებული ცოლი პოლია, შვილი იურიკი, დედა ეკატერინე, დები: ნინა და მარო, სიძე დორეთე გუგუნავა, დისშვილები: ბორია და გოგა ცოლის და ლიდია იუწყებიან დაუვიწყარ

მიშა ივანეს-ძე შოსტის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ახალ-სენაკში, 7 დეკემბერს. 4572

მცხეთის კოოპერატივის გამგეობა ღრმა მწუხარებით გამოსთქვამს კოოპერატივის თანამშრომლის

ლევან მამულაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება სოფელ მცხეთაში ა. წ. 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

(ი)

თავზარდაცემული მეუღლე სირინოხი, შვილები ვლადიმერ, სევერიანე, დავით და შალიკო ცოლებით თამარი, ქსენია, ნინა, ოლია, შვილისშვილებით: თამარა, ირაკლი, დარეჯანი, თენგიზი, ციალა, თამაზი და ლამარა კიკნაძეები აუწყებენ ნათესავ-მეგობართ და ამხანაგებს ძვირფასი და დაუვიწყარი

ირაკლი გლახუას-ძე კიკნაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 2 საათზე. დაკრძალვა ბორჯომში სამშაბათს, 10 დეკემბერს, დღის 4 საათზე. (დ) 2-1

მწუხარებით აღსავსე ძმები: იოსები, ვანო და ვასიკო კიკნაძეები ცოლშვილით, და პეპელა ქმარშვილით, ვასილ და ტატიანე ლორთქიფანიძე, სონია კიკნაძე შვილებით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 4 დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ირაკლი გლახუას-ძე კიკნაძე

დაკრძალვა ქალ. ბორჯომში, სამშაბათს 10 დეკემბერს, დღის 4 საათზე. (დ) 2-1

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

დღეს, 5 დეკემბერს, მე-10 აბონემ. მე-3 წარმ.
ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი.**

პარასკევი, 6 დეკემბ. 2 აბონ. მე-4 წარმ. უკანასკ. მ. პ. მაქსაკოვას მონაწ. **კარმენ**

ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. შესატანების გადახდის უკანასკნელი ვადა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 აბონემ. სალარო № 3-ში, 9, 10, 11, 12 სალარო № 4-ში (ქანდარა) 8 დეკემბრამდე ჩათვლით. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე.

ნ. 3440

კინო-აპოლო
დღეს და ყოველდღე
ცნობილი ფილმი
ინჟენერი ელაგინი
დამსახ. არტ. ნ. ფ. მონახოვის,
ფ. ნიკიტინის
ვ. მიასნიკოვას
მონაწილეობით.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—94.

ხუთშაბათს 5 დეკემბერს
მხოლოდ სამი გასტროლი
ჩინეთის ილიუზიების თეატრის
ლიუ-ფუ

საკუთარი დეკორაცია, რეკვიზიტი, ბუტაფორია, განსაკუთრებული ტანსაცმელი.

ცდები ხდება ყოველგვარ მექანიკურ მოწყობილობის გარეშე და სრული განათებით, რაც ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას. აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი.

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ნ. 3455

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს,
სერია ა მე-3 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
აბონემენტის უკანასკნელი წარმოდგენა
პ. იალცევი **ღვარძლი**
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.

ანონსი: მეორე პრემიერა 7 დეკემბერს—„ლამარი"

აპოლო — ცნობილი ფილმი **ინჟენერი ელაგინი** მონახოვის და ნიკულინის მონაწ.

სოლეი — **ლუ-ლუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.

მინიონი — მხატვრული ფილმი **მეტოქენი** ჟანონის და ლენსკაიას მონაწილ.

პალასი — მე-2 კვირა **იმპერიის ნამსხვრევი** ნიკიტინის მონაწილეობით

არფასტო — სეზონის საუკეთესო ფილმი **კაენი და არტემი** მ. გორკის ნაწარმ. მიხედვ.

დარბაზი — მხატვრული ფილმი **ფუმპე** ა. ი. ხეიფეცის გასტროლები

მალე: „რ ღ ვ ე ვ ა"

0—5

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ი
რესპუბლიკის სახალხო არტისტი
ი. მ. მოსკვინი
დამსახ. არტ.—ა. პეტროვსკი
„ „ —მ. თარხანოვი
მსახიობი ქალი—სტრელკოვა
მხატრულ სურათში
თანამდებობანი და ადამიანები
(ჩეხოვის ალმანახი)
მალე საუკეთესო კინოებში
ნ. 3458

პროვინციის სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის **საჭიროა** რუსული ენის მცოდნე მთავარი **ბუხგალტრები** ჯამაგირი შეთანხმებით.
მისამართი: ცეკავშირი, საორგანიზაციო განყ. შტაბის ქ. № 4—6.
ნ. 3457

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. გამყრელიძე

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 8 დეკემბერს, დილის 11 საათზე, სოფ. სომიწოში, ალექსანდრე ვარლამის-ძე ჩიკვილაძის ეზოში პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მის, ჩიკვილაძის ქონებას: 1) ერთ ტანისამოსის შკაფს შეფასებულს 30 მან., 2) ერთ გრამოფონს ათი ფირფიტით შეფასებულს 25 მან. 3) ორ ხარს შეფას. 400 მან. და 4) ერთ თელის ქოხ-ბოსელს, დახურულს ყავრით, გადასატანად შეფასებულს 1000 მან. ონის რაიალმასკომის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ჭრებალოს უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივლისს 1929 წ. თარიღით № 1700 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე.

ნ. 3458

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის აღმასრულებელი
დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 1929 წელს 14 დეკემბერს დღით 2 საათზე ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე № 19 **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ეპიფანე გრიგოლის-ძე რუსაძეს ორსართულიანი ქვიტკირის და ხის სახლს, რომელიც შეიცავს ზედა და ქვედა სართულში 7 საცხოვრებელ ოთახს ფარდულით და სამზარეულოთი, ორი თვალი ამა ოთახებიდან ჩამონგრეულია, დახურულია ყავრით და თუნუქით. სახლი შეფასებულია 1000 მანეთათ (ათასი) და იყიდება მოსკოვის უძრავი ქონებათა სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმათ მოსკოვის სასამართლოსა 9 მაისის 1925 წელს № 1624 საჯარო ვაჭრობა იწარმოებს თანახმათ ს.ს.კ. 318 მუხ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს სასამართლოს აღმასრულებელთა ცნობები თანახმათ სამ. პრ. კოდ. 311 და 312 მუხ. და საწინდარი 10 პროც.

ნ. 3459

იმ უცნობს,

რომელსაც გადავეცი ხუთი (5) მანეთი თევზის ცხიმის სასყიდლათ ვსთხოვ დამიბრუნოს უკანვე აღნიშნული თანხა. შემდეგ მისამართით: წყნეთის ქ. № 21, აბუთაძეს. 4567

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 – სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—13

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ამის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიოროს) 19. იღებს დილით 10-დან 4-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროსპ. № 116. აპტეკის „იოლ"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, სად. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67.

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—47 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს სად. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2-დან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. [illegible]) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და [illegible] (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან [illegible]მდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდიი, მამაკაცები [illegible] საათამდის. 25—1

ი. გაგირჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალარეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და სად. 6-დან 8 საათამდე. [illegible] პრ. 65. 25—4

ნ. გ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 980 ალექსანდრე იაკინთეს-ძე ბეჟიტი[illegible]ლის სახელზე. 4565
— სამხედრო წიგნაკი გიორგი ჩილაურის სახელზე. 4565
— მუშკოოპის წიგნაკი № 74110 რიფსიმე ყაზარის ასული გერმისაშვილის სახელზე. 4570
— ლომბარდის ქვითარი № 065781. 4571
— „ზაკტპოს" წიგნიკი № 31449 ალექსანდრე გაბუნიას სახელზე. 4564
— მუშკოოპის წიგნაკი № 47184 ლევან გრიგორის-ძე მგელაძეს სახ. 4536
— კავშირის წიგნაკი № 101928 ალექსანდრე გიორგბერიძეს სახელზე. 4574
— საწევრო წიგნაკი № 135, გაცემული დარჩელის კოოპერატივის მიერ აკაკი ჩარგაზიას სახელზე. 4574
— „ზაკტპოს" წიგნაკი № 43426 გერონტი ქურდოვანიძეს სახელზე. 4574
— განათლების მუშა კავშირის წიგნაკი № 5884 მიხეილ კიწმ[illegible]შვილის სახელზე. 4577
— კომპარტიის საწევრო ბილეთი № 0856142, 1-ლი ინდუსტრიალიზ. ობლიგაც. სერია 110734 № 19, განათლების კავშირის წიგნაკი და ს[illegible] ფეიქრო კავშირის წიგნაკი თებრო ჯავახიშვილის სახელზე. 4575
— სამხედრო წიგნაკი დიმიტრი ლეჟავას სახელზე. 4579
— მუშკოოპის წიგნაკი № 26564 გრიგოლ მელიტონის-ძე სტუ[illegible]ს სახელზე. 4580
— საწევრო წიგნაკი № 182 მოცემული გორის საკრედ. ამხან. „მეურ[illegible]" მიერ ვანო პავლეს-ძე ქელეხსაშვილის სახელზე. 4583
— სამხ. წიგნაკი გძელვადიანი შვებულების შესახებ ილია სერგოს-ძე ბა[illegible]დნიაკოვის სახელზე. 4583
— საბჭ. და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 20583 [illegible] კოსტას-ძე ლვინჯილიას სახელზე. 4584
— კოოპერატივის წიგნაკი გაცემული ბაღდადის კოოპერატივის მიერ [illegible] კვეტენაძეს სახელზე. 4587
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 5012 გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ ვარლამ მიხეილის ძე ჯაოშვილის სახელზე. ნ. 345
— საბინაო წიგნაკი გაცემული ქუთაისის სამისამართო ბიუროს მიერ ილიკო აბვლედიანის სახელზე. ნ. 345
— საპენსიო წიგნაკი გაცემული სამტრედიის დამზღვევ სალაროს მიერ მარიამ ივანეს ასულ ჩიხლაძეს სახელზე. 345[illegible]